

საქართველოს ბიბლიოთეკა

13
ქვეყნული
ბიბლიოთეკა

1239
2002



№ 2 2002





ბიბლიოთეკა და საზოგადოება 4

ოფიციალური განყოფილება

საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული ქსელის კონსორციუმის დებულება 7

საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული:

მასალების მიმოხილვა 11

კვირეულის შესახებ წერენ

გურამ თაყნიაშვილი – ღონისძიება, რომელმაც გამოაფხიზლა ქართული საბიბლიოთეკო სამყარო... 32

გულნარა სტურუა – “თქვენი ბიბლიოთეკა” – საქართველოს ბიბლიოთეკები მოდერნიზაციის გზაზე 34

დავით როსტომაშვილი – მშენებლების სამყაროში..... 37

თანამედროვე ტექნოლოგიები ბიბლიოთეკებში

გენადი მახარაძე – ინერგება სიახლე..... 39

თავისუფალი დაშვების იდეას – საყოველთაო აღიარება..... 40

ალექსანდრე ლორია – ჩვენი კომენტარი ამ თემაზე..... 45

უცხოელის თვალით

გრეგორ ნაიგი, მაღლენ აალგო- თანხების მოზიდვა 47

ალენ პორი – თავდაპირველად აღმოჩენილი ვიყავი ქართველი მძღოლების გარეშის მანერით.. 50

ბიბლიოთეკების ისტორია

ირაკლი ღარიბაშვილი, თამარ ცხაკაია – ალექსანდრიის ბიბლიოთეკა 53

ალექსანდრე ლორია – ცოცხალი ისტორიიდან..... 55

თენგიზ ჩხიგუნძე – ბაქოს ქართული სკოლისა და ბიბლიოთეკის ისტორიიდან 58

კორესპონდენციები

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კულტურის მინისტრთა შეხვედრა – კოლოქვიუმი..... 59

რეცენზია

ქეთევან სულაქველიძე – გერმანულ - ქართული ლექსიკონი 60

მკითხველები გვწერენ

ქეთევან გუგუშაშვილი – წუხილი ღუმელში 61

ინფორმაციები

ნატო მჭედლიშვილი – ბავშვთა აღზრდის სპეციალისტებისათვის 61

დარეჯან კოტეგიშვილი – სიბრძნის საუნჯე 62

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები 63

ჩვენი შემოქმედება

ციალა ბრეგვაძე – მოთხრობები..... 63

შედეგების სამეფოს მეხოტბე..... 64

რას არ გაიგონებ..... 64

Библиотека и общество	4
Официальный раздел	
Положение консорциума интегрированной сети библиотек Грузии.....	7
Неделя библиотек Грузии	
Обзор материалов.....	11
О проведении недели пишут	
Гурам Такниашвили – Мероприятие, пробудившее библиотечный мир Грузии.....	32
Гульнара Стуруа – «Ваша библиотека»: библиотеки Грузии на пути модернизации.....	34
Давид Ростомашвили – В мире прекрасного.....	37
Современная технология в библиотеках	
Геннадий Махарадзе – Внедряется новшество.....	39
Идее свободного доступа – всеобщее признание.....	40
Александр Лория – Наш комментарий на эту тему.....	45
Глазами иностранца	
Тревон Найт, Мадлен Аальто –Привлечение капитала.....	47
Ален Пор – Вначале я был возмущён манерой езды грузинских водителей.....	50
История библиотек	
Ираклий Гарибашвили, Тамара Цхакаиа – Александрийская библиотека.....	53
Александр Лория – Кое-что из истории.....	55
Тенгиз Чхитунидзе – Из истории грузинской школы и библиотеки в Баку.....	58
Корреспонденция	
Встреча министров культуры стран Южного Кавказа – коллоквиум.....	59
Рецензия	
Кетеван Сулаквелидзе – Немецко-грузинский словарь.....	60
Нам пишут	
Кетеван Гугешашвили – Молчаливое сожаление.....	61
Информация	
Нато Мchedlishvili – Специалистам воспитания детей.....	61
Дареджан Котетишвили – Кладезь мудрости.....	62
Хроника библиотечной жизни Грузии: события, факты.....	63
Наше творчество	
Циала Брегвадзе – Рассказы.....	63
Певец царства шедевров.....	64
Чего только не услышишь.....	64



საქართველოს
წიგნების ეროვნული ცენტრი

Library and Public..... 7

OFFICIAL PART

Regulations of Georgian Integrated Library and Information System Consortium 7

GEORGIAN NATIONAL LIBRARY WEEK

Review of the Materials..... 11

WHAT HAS BEEN WRITTEN ABOUT THE WEEK

Guram Takniashvili – The Event, Which Awakened the Library World of Georgia 32

Gulnara Sturua – “Your Library” – Libraries of Georgia on the Way of Modernization 34

David Rostomashvili – In the World of Beauty..... 37

Genadi Makharadze – Implementation of Innovation..... 39

Universal Approval to the Free Access Idea..... 40

Alexandre Loria – Our Commentary on this Theme..... 45

FOREIGNER’S VIEW

Trevor Knight, Madeleine Aalto - Fundraising..... 47

Alain Port – First I Was Annoyed with the Georgian Car Drivers..... 50

THE HISTORY OF THE LIBRARIES

Irakli Garibashvili, Tamar Tskhakaia – The Library of Alexandria 53

Alexandre Loria – A little bit from the History..... 55

Tengiz Chkhitunidze – From the History of Georgian School and Library in Baku 58

CORRESPONDENCES

Meeting of the Ministers of Culture of South Caucasian Countries – Colloquy 59

REVIEW

Ketevan Sulakvelidze – German – Georgian Dictionary..... 60

WHAT THE READERS WRITE TO US

Ketevan Gugeshashvili – Sorrow in Silence..... 61

INFORMATION

Nato Mchedlishvili – For the Specialists of the Children’s Education..... 61

Darejan Kotetishvili – Treasure of Wisdom..... 62


Chronicle of the Georgian Librarian Life: Events, Facts..... 63

OUR ART

Tsiala Bregvadze – Stories..... 63

The Praiser of the Masterpieces’ Realm..... 64

Did You Know?..... 64



ცივილიზებული საზოგადოება ბიბლიოთეკის გარეშე არასდროს ყოფილა. როგორც შეუძლებელია საზოგადოება ხელისუფლების ორგანოების, სასწავლებლების, არქივების, სხვადასხვა ყოფითი დაწესებულების გარეშე, ასევე შეუძლებელია ის ბიბლიოთეკის გარეშე არსებობდეს. სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი იყო მისი გამოყენების პირობები, დანიშნულება, ამოცანები და ფუნქციები. ასე იყო შუამდინარეთიდან მოყოლებული ჩვენს ეპოქამდე, ყველა კონტინენტზე ყველა ეპოქაში. ასე იყო ჩვენშიც – საქართველოში. ყველგან, სადაც ცივილიზაციის უმაღლესი გამოვლენა, დამწერლობა. არსებობდა, საზოგადოების მოთხოვნილებაც თან ახლდა, რომ ყოველივე ეს დაცული და მოვლილი ყოფილიყო.

საქართველოში საუკუნეების განმავლობაში საბიბლიოთეკო, წიგნის და განათლების საქმე ძირითადად სასულიერო საზოგადოების ხელში იყო. თუმცა მას ხელისუფლების ხელიც არ აკლდა, მოგვიანებით კი სწორედ მეფენი გამოდიოდნენ საბიბლიოთეკო საქმის მესვეურებად.

როგორც ცნობილია, საქართველო გვიანფეოდალურ ხანაში მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. მიუხედავად ამისა, ამ ხანის ბოლო პერიოდში მოხდა ლიტერატურისა და მეცნიერების აღორძინება, რასაც საბიბლიოთეკო საქმის გამოცოცხლებაც მოჰყვა. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. მე-19 საუკუნის დასაწყისისთვის საქართველოში საბიბლიოთეკო საქმე საგრძნობლად დაქვეითდა, დაიცალა ეკლესია-მონასტრების წიგნსაცავები, ხოლო ევროპულ ბიბლიოთეკების სტანდარტები ჯერ კიდევ უცხო იყო ქართული საზოგადოებისათვის, თუმცა მოთხოვნილება მათზე თანდათან მაინც იკიდებდა ფეხს. ნიშანდობლივია, რომ ამგვარი მოთხოვნილება წინ უსწრებდა კიდევ რუსეთთან შეერთებას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პოლიტიკური ძლიერება თითქმის მიწასთან იყო გასწორებული კრწანისის შემდეგ. ცნობილია, რომ მანამდე იოანე ბაგრატიონი (ბაგონიშვილი) თავის “სჯულდებაში”, რომელიც სახელმწიფოს მოწყობის პროექტს წარმოადგენდა, განსაკუთრებით შეეხო ბიბლიოთეკების არსებობის აუცილებლობას. იგი გამოკვეთილად წერდა: “... აგრეთვე იყოს ბიბლიოთეკის სახლი. ყოველი საერო და საეკლესიო წიგნი, რაც შეიძლე-

ბოდეს, იქ იცვებოდეს. აგრეთვე სახეები და მაგალითები მხაგვრობებისა, შენებულებათა და სხვათა ხელოვნებათა, და ვისაც ენებოს, მივიდოდნენ და თავისის ხარჯით იქ გადიწერდნენ და გარდაიღებდნენ სახეთა, რომ გარე გაგანით წიგნი არ დაიკარგოს”. (ი. ბაგრატიონი, სჯულდება: (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი). – თბ., 1957. – გვ. 57).

მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი ქართველი ხალხის კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებები, როცა მოწინავე საზოგადოების წარმომადგენელი ახალგაზრდებს რუსეთის სასწავლებლებიდან არ იყვნენ დაბრუნებულნი, მოთხოვნილება საბიბლიოთეკო საქმეზე საკმაოდ დაბალია. საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილი თუ სარგებლობს საოჯახო სალონებში თავმოყრილი წიგნებით (ალ. ჭავჭავაძე, მაიკო ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი და სხვ), მაგრამ აქა-იქ გამოჩენილი პაგარ-პაგარა სახალხო ბიბლიოთეკები და წიგნსავაჭროები მაინც იწვევენ საზოგადოების ინტერესის გაღვივებას, როგორც, მაგალითად, ეს კოგოვას ბიბლიოთეკაზე ითქმის. მდგომრეობა რაღაცა ურად იცვლება 1832 წლის შეთქმულების მონაწილე რესირებული ინტელიგენტების დაბრუნების შემდეგ. მიუხედავად ამისა, ოფიციალურ წრეებში დომინირებს აზრი, რომ საქართველოში არ არის საჭირო საჯარო ბიბლიოთეკები, რადგანაც მოთხოვნილება საზოგადოებაში ამაზე თითქმის არ არისო. სწორედ ამის საპირისპირო მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ 1842 წ. “გვილისის კერძო ბიბლიოთეკის” დაარსება დ. ყოფიანის თავკაცობით, ხოლო 1846 წ. “გვილისის საჯარო” ბიბლიოთეკის გახსნა.

სურათი მთლიანად იცვლება საქართველოში თერგდალეულთა დაბრუნების შემდეგ. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და მათი თანამოაზრენი უკვე სავსებით ცვლიან ქვეყნად პოლიტიკურ და კულტურულ კლიმატს. ძლიერდება საზოგადოებაში მოთხოვნილება საბიბლიოთეკო მომსახურებაზე. ამ მოძრაობას შემდეგში ხალხოსნური მოძრაობაც დაემატა, რამაც ერთი-ორად გააძვირებდა საქართველოში

წიგნიერების აგმოსფერო.

70-90-იან წლებში ბიბლიოთეკების შექმნის ინიციატივით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ინტელიგენცია გამოდის. ეს საქმე თითქმის მთლიანად თვითმმართველობისა და საგანმანათლებლო საზოგადოებათა ხელშია მოქცეული. ისინი მემდგომი ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერის გარეშე იძულებულნი არიან მიაქციონ ყურადღება სახალხო ბიბლიოთეკებს, რადგანაც ამაზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა ხალხში. საზოგადოება დაქინებით ითხოვს ბიბლიოთეკების გახსნას, მათი საქმიანობის გაუმჯობესებას. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც ამ დროისათვის ბიბლიოთეკები ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ კულტურულ-საგანმანათლებლო ღირებულებას წარმოადგენენ. აქ ხდება საზოგადოების თავშეყრა, სჯა-ბაასი, წიგნების გავრცელება, ინფორმაციების გადაცემა, როგორც ეს დამახასიათებელი იყო. მაგალითად, ივანოვის ბიბლიოთეკისთვის თბილისში. მას სისტემატურად სტუმრობდნენ ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, ძმები არწრუნები და სომხური გაზეთის “შმაკის” თანამშრომლები, ცნობილი რევოლუციონერები და, რაც მთავარია, დაბალი ფენების წარმომადგენლები – მუშები და ხელოსნები. პერიოდული ორგანოები გულისყურით ეკიდებოდნენ ამ დაწესებულებას. როცა ბოქაულმა ეს ბიბლიოთეკა ვალის გამო დაკეცა, დროება შეშფოთებით აღნიშნავდა: “საზოგადოება ძალიან უკმაყოფილო არის, რომ ის მოკლებული შეიქმნა ერთად-ერთ ხეირიან ბიბლიოთეკას, რომელიც თბილისში იმყოფებაო” (1876, №50).

საზოგადოების ერთიანობის, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე უსამღეროდ გაზრდილი მოთხოვნების გამოხატულება იყო 1879 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნა. ქართველი მოწინავე ადამიანები მხარში ამოუდგნენ ამ საზოგადოებას, ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენლები მართავდნენ მას. მის მთელ მოქმედებაში გაცხადებული იყო ქართველი ხალხის ნება, ამ საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ბიბლიოთეკების საქმის განვითარებაზე მრუნვა ითვლებოდა. ცნობილია, როგორ მრუნავდა ილია ჭავჭავაძე ძველ ხელნაწერთა და სიგელ-გუჯართა შეგროვებასა და კატალოგიზაციაზე. მას მოსაზრებებიც კი აქვს გა-

მოთქმული, რა ელემენტებისაგან უნდა შედგებოდეს ცალკეულ ხელნაწერთა აღწერილობანი. პრესის მეშვეობით ბევრი მოქალაქე საქმიან რჩევა-დარიგებას იძლევა, აყენებს წინადადებებს, აღწერს არსებულ ფითარებას, ითხოვს დახმარებას ბიბლიოთეკების გახსნასა თუ ხელშეწყობაზე. მრავალი მამულიშვილი გამოდის სხვადასხვა ინიციატივით, მოწოდებით, წინადადებით. თეორიულ მოსაზრებებსაც კი გამოთქვამენ, როგორც მაგალითად პ. წულაძე, ლ. წულაძე, თ. კანდელაკი, პ. უმიკაშვილი და სხვები. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნსაცავის მოწყობასთან დაკავშირებით მეთოდიკურ პოლემიკაში ებმებიან ცნობილი მეცნიერები: მ. ჯანაშვილი, თ. ჟორდანი, ე. თაყაიშვილი.

80-იან წლებში საზოგადოება საკმაოდ გააქტიურებულია. მათი თავგამოღების შედეგად თბილისს 1888 წელს კიდევ ერთი – კაიდანოვას იაფუფასიანი ბიბლიოთეკა შეემატა, რომელმაც დიდხანს იარსება და წარუშლელი კვალი დატოვა საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაზე.

უამრავი წერილი მოსდიოდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და პერიოდულ ორგანოებს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ბიბლიოთეკის გახსნაზე დახმარების აღმოჩენის ან არსებული ბიბლიოთეკისათვის ხელის შეწყობის თხოვნით. პაგიმრებიც კი ახერხებენ დაქინებული მოთხოვნის შედეგად პაგარა ბიბლიოთეკების გახსნას საგუსალოებში. ინიციატივას ბიბლიოთეკის გახსნაზე იჩენდა ან ადგილობრივი მმართველობა (მოსახლეობის მკაცრი მოთხოვნის შემდეგ), ან თავკაცები, რომლებიც მხარში ედგნენ ხალხს და მათ განათლებაზე მრუნვავდნენ. შეიძლება ითქვას, ბიბლიოთეკები ქალაქად თუ დაბა-სოფლებში სწორედ ხალხისა და მათი მეთაურების დაქინებითი მოთხოვნით იხსნებოდა, და თუ იხურებოდა რეპრესიების თუ სილაგაკის გამო, საზოგადოება ყოველთვის აღსდგებოდა ხოლმე მათ გადასარჩენად. ცხადია, ეს მათ მაგერიალური სახსრების გაღებად უჯდებოდა, მაგრამ არაფერს იშურებდნენ ამისთვის. ამ თვალსაზრისით ნათელი მაგალითია ბათუმის მოწინავე საზოგადოების მიერ წარმოდგენის გამართვა ბიბლიოთეკის სასარგებლოდ, რასაც სათავეში მოწინავე ადამიანები ედგნენ (დ. კლდიაშვილი, მ. შარაშიძე, გ. წერეთელი). ბათუმელი ნოქრები 5 წელი აგროვებდნენ თანხას თავიანთი ბიბლიოთეკის გასახსნელად.

ქუთათურების თავგამოდებული ცდის შედეგად მოხდა, მაგალითად, 1894 წელს ხელოსნების მიერ აქ ბიბლიოთეკის გახსნა. ამგვარი თავგამოდების ნაყოფი იყო აგრეთვე სოხუმში სახალხო ბიბლიოთეკის გახსნა. ბევრი რამ დაწერილა პრესაში მის შესახებ. გმოითქვა საზოგადოების დიდი წუხილი მისი დაქვეითების გამო. ამაზე მისი გამგე “ცნობის ფურცელში” გულისგვივლით აღნიშნავდა: “...საწყენია ეს ამბავი. ამოდენა ქალაქს, სადაც ორი-მესამედი მცოვრებთა ქართველობაა, ერთადერთი ქართული სამკითხველო ჰქონდეს და მაინც ვერ ილღერძელოსო” (1896, №420).

საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას სასწავლებელთა ბიბლიოთეკებს აქცევდა. ბიბლიოთეკის გარეშე სკოლის დაარსება ნოსენსად ითვლებოდა. ამ მხივ დამახასიათებელია “ივერიაში” ახალციხელის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც ავტორი წერს: “თვით სკოლებსაც ეკარგებათ მნიშვნელობა და ამრი იქ, სადაც წიგნსაცავი არ არის დაარსებული” (1891, №62).

მართლაც, რა სკოლაა სკოლა, რომელშიც ბიბლიოთეკა არ არის. არაერთი არ გუშენგი არ შეიძლება არსებობდეს ამის საწინააღმდეგოდ. დღეს სკოლის ბიბლიოთეკა აღარ არის ის, რაც ადრე იყო. საგრძნობლად გაიზარდა მისი ფუნქციები, მოწინავე ქვეყნებში ის წარმოადგენს მედიათეკას, სკოლის კულტურულ-საგამანათლებლო და ინფორმაციულ ცენტრს. თანამედროვე საზოგადოებამ უნდა აღიაროს ეს და მკაცრად მოითხოვოს სკოლებში არამც თუ აღსდგეს ბიბლიოთეკების საქმიანობა, არამედ გარდაიქმნას ის უახლესი ტექნოლოგიებისა და კონცეფციის საფუძველზე.


საბიბლიოთეკო საქმეზე მრუნვას როგორც ადრე, ასე შემდეგაც საეკლესიო პირები იჩენდნენ. აქ შეიძლება დავასახელოთ არა მარგო თბილისში გახსნილი “ქართული საღრმთო წიგნის საკითხავი კაბინეტი”, რომლითაც ყველას შეეძლო ესარგებლა, არამედ მაგალითისათვის შეიძლება მოვიშველიოთ 1904 წ. ჭელიშის მონასტერში გამართული წარმომადგენლობითი კრება, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად, ბიბლიოთეკის გამართვამეც იმსჯელა, რის შედეგადაც რაჭის სამღვდელთაათვის საბლალოჩინო “საზოგადო წიგნსაცავი” გაიხსნა.

საბიბლიოთეკო საქმის განვითარებით

დაინგერესებულნი იყვნენ გარდა ჩვენს მიერ სხეული მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეებისა, სხვა ცნობილი ქართველი მეცნიერები: თეიმურაზ ბაგონიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, დავით და გიორგი ჩუბინაშვილები, დავით ბაქრაძე, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე და მრავალი სხვა. ამ საქმეში ქართველებს უცხოელებიც ედგნენ მხარში. განსაკუთრებით საყურადღებოა მარი ბროსეს მოღვაწეობა, რომელმაც ბევრი გააკეთა საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის. ბევრი მეცნიერის კოლექციები შეერწყა ჩვენს ბიბლიოთეკებს. ბიბლიოთეკებისათვის საკუთარი წიგნების გადაცემა ყველაზე დიდი გამოვლენაა საზოგადოების მონაწილეობისა საბიბლიოთეკო საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების დროს, როდესაც უმთავრეს საბიბლიოთეკო ქსელს სახემწიფო განაგებდა, საზოგადოების მაგერიალური ხელშეწყობა უკვე აღარ წარმოადგენდა ისეთ მწვავე საჭიროებას, როგორც მანამდე, მაგრამ საზოგადოების ყურადღება და ბრუნვა ბიბლიოთეკებზე არ შეწყვეტილა. არასამთავრობო ორგანიზაციებს – პარტიულ და პროფკავშირულ ქსელში უმდიდრესი ბიბლიოთეკები გააჩნდათ, მათი მაგერიალურ-ტექნიკური ბაზა ძლიერი იდეოლოგიური წნეხის პირობებში სავსებით შესაგყბისებოდა არსებულ მოთხოვნილებებს. რაც შეეხება საზოგადოების მონაწილეობას საბიბლიოთეკო საქმეში, იგი სავსებით ბალანსირებული იყო სახემწიფო ინგერესებთან. არსებობდა საბიბლიოთეკო საბჭოები, ბიბლიოთეკის აქტივისტები, მოქმედებათა საკოორდინაციო სისტემა. საბიბლიოთეკო საქმის დაქვეითებასთან ერთად, შეიმჩნევა საზოგადოების უკმაყოფილების გამოხატვა ძირითადად მასშედიანში. იყო ფაქტები, როდესაც მოსახლეობამ დაიცვა თავისი ბიბლიოთეკა გაუქმებისა თუ დარბევისაგან. ამგვარ მოვლენას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც ჰქონდა ადგილი, როცა განსაკუთრებით გახშირდა ბიბლიოთეკებზე თავდასხმა სხვადასხვა ჯურის ორგანიზაცია-დაწესებულებებისა და კორპორაციებისაგან მათი მიგაცების მიზნით.

საზოგადოების მონაწილეობას საბიბლიოთეკო საქმეში ჩვენში საკმაოდ მდგრადი ტრადიცია ჰქონდა. საქარხნო-საფაბრიკო, კულტურის სისტემის ბიბლიოთეკები, კულტურული კომ-



პლექსები, და სხვა არაგრაფიკული ფორმები ყველაზე დიდი საშუალება იყო მასებთან ურთიერთობისა. სამწუხაროდ, ამჟამად საკმაოდ დაკლებულია საზოგადოების მხარდაჭერა ბიბლიოთეკებისადმი. ვით წარსულში, ჩვენს ბიბლიოთეკებს ამჟამადაც ესაჭიროება როგორც მაგერიალური, ისე სოციალური დახმარება. თითბე ჩამოსათვლელია ფაქტები, როდესაც მოსახლეობა ხმას იღებს ბიბლიოთეკების დახურვაზე, მათ შეკვეცა-შეერთებაზე, შევიწროებაზე. იმაზე ხომ ზედმეგია, საერთოდ, ლაპარაკი, ვინმე მაგერიალურად დაეხმაროს მათ. უცხოელები იმეგებენ გრანტებს, ჩვენში კი არავის ახსენდება, ხელი გაუმართოს ბიბლიოთეკას. ავგორთა ერთ ნაწილს ისიც კი არ აგონდება, მათი გამოცემული წიგნების რამდენიმე ცალი ბიბლიოთეკებისათვის გაიმეგოს.

საზოგადოების ძალისხმევა როგორც

არასდროს, სწორედ დღეს არის საჭირო, არ შეიძლება გულგრილად ვუცქიროთ იმას, თუ როგორ ნადგურდება ჩვენი სულიერი საუნჯე, როგორ ქვეითდება მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების დონე. ამიგომაც უნდა მივესალმით საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის შექმნას, პროფესიული ქურნალის დაარსებას, რაც სწორედ საზოგადოების აქტიური მოქმედების გამოხატულებაა. ვისაც მიაჩნია, რომ ბიბლიოთეკა ეს ეროვნული სულიერი სიმდიდრის ნაწილია, მეცნიერების, განათლების, წარმოების განვითარების ხელშეწყობის უდიდესი საშუალებაა და ჩვენი საზოგადოების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის დედა ღერძია, მთელი ძალისხმევით უნდა ედგეს დღეს ბიბლიოთეკებს მხარში, რაც ჩვენი კულტურული აღორძინების საწინდარია.



ოფიციალური განყოფილება

საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული ქსელის კონსორციუმის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული ქსელის კონსორციუმი (შემდგომში კონსორციუმი) შექმნილია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებულ “საქართველოს ბიბლიოთეკების დირექტორთა საკოორდინაციო საბჭოსა” და “საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის” (შემდგომში ასოციაციის) ერთობლივი გადაწყვეტილებით.

კონსორციუმი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის, ასოციაციის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

თავისი მიზნებიდან გამომდინარე, კონსორციუმის მოქმედების არე ვრცერდება როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 2. კონსორციუმის მიზნები

კონსორციუმის ძირითადი მიზნებია:– საქართველოში ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების

ხელშეწყობა, მოსახლეობაში მისი საჭიროების შეგნების ამაღლება, საქართველოში მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდების პირობების ამაღლება;

– საქართველოს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებისათვის ქმედით და დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული საინფორმაციო-საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურის შექმნა და ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა, როგორც საქართველოს ბიბლიოთეკებსა და საინფორმაციო ცენტრებიდან, ასევე ქვეყნის გარეთ არსებულ საინფორმაციო წყაროებიდან;

– საქართველოს კულტურული, სამეცნიერო, ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვა, საქართველოს ინტელექტუალური და მხატვრული მოქმედების განვითარების ხელშეწყობა;

– საქართველოს ბიბლიოთეკების და საინფორმაციო ცენტრების ინტეგრირება საერთაშორისო საინფორმაციო სისტემაში, ქვეყნის გარეთ მყოფი მომხმარებლისათვის საქართველოს შესახებ

ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა, საქართველოს შემოქმედების გავრცელების პირობების შექმნა.

მუხლი 3. კონსორციუმის ამოცანები და საქმიანობის ფორმები

2-ე მუხლში მოყვანილი მიზნების მისაღწევად კონსორციუმი საქმიანობას აწარმოებს შემდეგი ფორმებით:

- შეიმუშავებს საქართველოს ინტეგრირებული კომპიუტერული საბიბლიოთეკო-საინფორმაციო ქსელის განვითარების კონცეფციას;
- შეიმუშავებს ამ საინფორმაციო სისტემის განვითარების პრინციპებს და კოორდინაციას უწევს სამუშაო პროექტებს,
- შეიმუშავებს ასოციაციის პოლიტიკას საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების დარგში,
- შეიმუშავებს და ახორციელებს პროექტებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვისათვის,
- ამყარებს საქმიან ურთიერთობებს სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ,
- ეწევა ყველა იმ საქმიანობას, რომელიც ეთანხმება კონსორციუმის მიზნებს და კანონით არ არის აკრძალული.

მუხლი 4. კონსორციუმის წევრობა

4.1. კონსორციუმის წევრი შეიძლება იყოს იურიდიული პირი: ბიბლიოთეკა, საინფორმაციო ან ბიბლიოგრაფიული ცენტრი, საბიბლიოთეკო-საინფორმაციო დარგში მომუშავე ორგანიზაცია, რომელიც აღიარებს კონსორციუმის მიზნებსა და ამოცანებს, იცავს წინამდებარე დებულების მოთხოვნებს.

4.2. წერილი კონსორციუმში გაწევრიანების სურვილის შესახებ შეგანილ უნდა იქნეს ასოციაციის შესაბამის (საწევრო ან სამდივნო) კომიტეტში.

ეს მოთხოვნა განხილული უნდა იქნეს კონსორციუმის უახლოეს საერთო კრებაზე.

კონსორციუმის წლიური საწევრო გადასახადის ოდენობას და გადახდის წესს განსაზღვრავს კონსორციუმის საერთო კრება.

4.3 კონსორციუმის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

- საკუთარი განცხადების საფუძველზე, რომელსაც მიიღებს და დაადასტურებს ასოციაციის გამგეობა, ან კონსორციუმის ნებისმიერი წევრის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე და კონ-

სორციუმის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

აღნიშნული განცხადების საფუძველი შეიძლება იყოს:

- ა) წევრის საქმიანობა ეწინააღმდეგება კონსორციუმის დებულებას, მიზნებს ან ლაზავს მის ღირსებას,
- ბ) უხეშად ირღვევა კონსორციუმის დებულებით ან საერთო კრების გადაწყვეტილებით წევრზე დაკისრებული ვალდებულება,
- გ) დაუშვებს ისეთი ინფორმაციის გადაცემას მესამე პირისთვის, რომელიც კონსორციუმის მიერ მიჩნეულია კონფიდენციალურად,
- დ) თუ ხანგძლივი დროის განმავლობაში არ მონაწილეობს კონსორციუმის საქმიანობაში.

4.5. კონსორციუმის წევრობა არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანიზაციას.

მუხლი 5. კონსორციუმის წევრთა უფლება-მოვალეობანი

5.1. კონსორციუმის წევრს უფლება აქვს:
– თანასწორ საფუძველზე მონაწილეობდეს კონსორციუმის მუშაობაში,

- მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია კონსორციუმთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ,
- აღნიშნოს თავის წარდგენაში კონსორციუმის წევრობა.

5.2. კონსორციუმის წევრი მოვალეა:
– იმოქმედოს კონსორციუმის დებულების შესაბამისად,

- შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს კონსორციუმის საქმიანობაში,
- გაუფრთხილდეს კონსორციუმის ქონებასა და პრესტიჟს,


– დაიცვას კონსორციუმის მიერ კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაცია.

5.3. კონსორციუმის წევრი ანგარიშვალდებულია მხოლოდ კონსორციუმის საქმიანობის ფარგლებში მასზე დაკისრებულ მოვალეობებზე და არ არის პასუხისმგებელი კონსორციუმის ვალდებულებებზე, ისევე, როგორც კონსორციუმი არ აგებს პასუხს წევრთა კერძო ვალდებულებებზე.

მუხლი 6. ორგანიზაციული სტრუქტურა

6.1. კონსორციუმის ხელმძღვანელ ორგანოებს წარმოადგენს: კონსორციუმის საერთო კრება, აღმასრულებელი დირექტორი, პროექტის მართვის აღმასრულებელი საბჭო.

6.2. კონსორციუმის წევრთა საერთო კრება
6.2.1. კონსორციუმის უმაღლესი ხელმძღვანელი



ორგანო კონსორციუმის წევრთა საერთო კრება, რომელიც გარდება 2 თვეში ერთხელ მაინც. მორიგი საერთო კრების მოწვევასთან დაკავშირებულ საკითხებს (თარიღის დაზუსტება, შეკრებიანებისა და დღის წესრიგის დაგზავნა, შეკრების ადგილის უზრუნველყოფა და სხვ.) გადაწყვეტს ასოციაციის გამგეობა.

განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა:

- ასოციაციის გამგეობის, კონსორციუმის აღმასრულებელი დირექტორის ან პროექტის მართვის აღმასრულებელი საბჭოს ინიციატივით,
- კონსორციუმის წევრთა ერთი მესხუთედის წერილობითი მოთხოვნით.

6.2.2. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კონსორციუმის წევრთა ორი მესამედი მაინც.

6.2.3. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, გარდა შემდეგი საკითხებისა:

- დებულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანა (ამ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა კონსორციუმის წევრთა ორი მესამედისა და კონსორციუმის დამფუძნებელ წევრთა უმეტესობის თანხმობა),
- კონსორციუმის წევრობის შეწყვეტა (კონსორციუმის წევრთა უმეტესობის თანხმობით).

6.2.4. ყველა წევრს გააჩნია თითო ხმა. იმ წევრს, რომელიც ვერ ესწრება კრებას, შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, დროებით გადასცეს თავისი ხმა კონსორციუმის ნებისმიერ წევრს. ეს გადაცემა წერილობით უნდა იყოს დამოწმებული. კონსორციუმის დამფუძნებელ წევრებს არ გააჩნიათ სხვა წევრებისაგან განსხვავებული უფლებები, გარდა **6.2.3.** პუნქტში მოცემული შემთხვევისა.

6.2.5. საერთო კრება:

- ა) იღებს კონსორციუმის დებულებას და ცვლილება შეაქვს მასში,
- ბ) ირჩევს აღმასრულებელ დირექტორს და პროექტის მართვის აღმასრულებელ საბჭოს ყოველი პროექტისათვის,
- გ) განიხილავს და ამტკიცებს გრძელვადიან და მიმდინარე სამუშაო პროექტებს,
- დ) იღებს გადაწყვეტილებებს კონსორციუმის ერთობლივი საქმიანობის და ქონებრივი უფლების ყველა საკითხზე,
- ე) საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტი-

ლებას კონსორციუმის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ.

6.3. კონსორციუმის აღმასრულებელი დირექტორი:

6.3.1. კონსორციუმის აღმასრულებელ დირექტორს ირჩევს საერთო კრება 2 წლის ვადით. აღმასრულებელი დირექტორი ანგარიშვალდებულია საერთო კრების მიმართ.

6.3.2. აღმასრულებელი დირექტორი უზრუნველყოფს კონსორციუმის საერთო კრების გადაწყვეტილებების შესრულებას, მიმდინარე პროექტების კოორდინირებას, კონსორციუმის საორგანიზაციო საქმიანობის მართვას, აწესრიგებს კონსორციუმისა და ასოციაციის ურთიერთობის ყველა საკითხს. იგი უფლებამოსილია წარმოადგენდეს კონსორციუმს მესამე პირებთან ურთიერთობაში, აწარმოოს გარიგებები და დალოს ხელშეკრულებები.

6.3.3. აღმასრულებელი დირექტორი აცოცხლებს წერილობით კონსორციუმის წევრებს საერთო კრების მუსგ თარიღს, ადგილს და დღის წესრიგს. იგი უზრუნველყოფს კრებების ოქმის წარმოებას.

6.4. პროექტის მართვის აღმასრულებელი საბჭო

6.4.1. კონსორციუმის მიერ ყოველი შესრულებული პროექტის მართვისათვის საერთო კრებანიშნავს შესაბამის აღმასრულებელ საბჭოს.

6.4.2. აღმასრულებელი საბჭო ანგარიშვალდებულია საერთო კრებისა და კონსორციუმის აღმასრულებელი დირექტორის წინაშე. საერთო კრების გადაწყვეტილებით შესაძლებელია აღმასრულებელი საბჭოს წევრს მიენიჭოს კონსორციუმის წარმომადგენლობითი უფლებები შესაბამისი პროექტის ფარგლებში.

მუხლი 7. კონსორციუმის პასუხსმგებლობა მესამე პირთა წინაშე

7.1. კონსორციუმი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მესამე პირებს მიაღგათ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების მოქმედების შედეგად, იმ შემთხვევაში, თუ მათ არაკეთილსინდისიერად გამოიყენეს კონსორციუმის მიერ მინიჭებული უფლებამოსილებაანი. კონსორციუმი ვალდებულია აანზღაუროს ამ დროს წარმოშობილი ზიანი.

მუხლი 8. კონსორციუმის ქონება

8.1. კონსორციუმს უფლება აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარმართოს შემოქმედებითი, საწარმოო და სამეურნეო საქმიანობა.

8.2. კონსორციუმის ქონებას შეადგნს ამ დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის მაგერიალური უზრუნველყოფისთვის საჭირო ფონდე-



ბი, საბრუნავი სახსრები და სხვა ფასეულობანი.

8.3. ყოველი პროექტისა და ღონისძიებების დასრულების შემდეგ საერთო კრება განსაზღვრავს ამ საქმიანობის შედეგად შეძენილი ქონების განკარგვის წესს. შესაძლებელია ამ ქონების გადაცემა ასოციაციისათვის ან კონსორციუმის რომელიმე წევრისათვის.

8.4. კონსორციუმის სახსრების წარმოქმნის წყაროებია:

- გრანტები და ნებაყოფლობითი საქველმოქმედო შენატანები,
- საწევრო გადასახადი,
- კონსორციუმის მიზნობრივი პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები,
- ასოციაციის მიერ პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციისათვის მიზნობრივად გაცემული სახსრები,
- სხვა შემოსავლები, რომელთა მიღებაც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8.5. კონსორციუმს შეუძლია საკუთრებაში იქონიოს ქონება, რომელიც საჭიროა წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის უზრუნველყოფისათვის და შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მის მიზნებს. კონსორციუმის ქონება დაცულია მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 9. კონსორციუმისა და ასოციაციის ურთიერთობა

9.1. კონსორციუმი წარმოადგენ ასოციაციასთან არსებულ ორგანოს, მათი ურთიერთობის საკითხები მოცემულია წინამდებარე დებულებაში ან, სადავო შემთხვევაში, შემთანხმებული ჯგუფის შექმნის გზით.

9.2. არ არის სავალდებულო, რომ კონსორციუმის ყოველი წევრი იყოს აგრეთვე ასოციაციის წევრიც, ხოლო ასოციაციის ყოველ კოლექტიურ წევრს აქვს კონსორციუმში გაწევრიანების უფლება.

9.3. კონსორციუმისა და ასოციაციის ოპტიმალური ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია კონსორციუმის აღმასრულებელი

დირექტორი არჩეულ იქნეს ასოციაციის გამგეობის წევრთაგან.

9.4. ასოციაცია:

• უზრუნველყოფს კონსორციუმის საერთო კრების ორგანიზების საკითხებს: თარიღის დაზუსტება, შეგყობინებებისა და დღის წესრიგის დაგმავნა წერილობითი ფორმით, შეკრების ადგილის უზრუნველყოფა და სხვ.

• საჭიროების შემთხვევაში წარმოადგენს კონსორციუმს სასამართლოში,

• ასრულებს კონსორციუმის საქმიანობისათვის საჭირო ფინანსურ ოპერაციებს ანუ უზრუნველყოფს კონსორციუმის სახსრების თავის ანგარიშზე მიღებას, გადარიცხვას და სხვა,

• დახმარებას უწევს კონსორციუმს ყოველგვარი საორგანიზაციო საქმიანობის მოგვარებაში.

9.5. კონსორციუმი:

• შემოუშავებს ასოციაციისათვის ძირითად სამოქმედო პრინციპებს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების დარგში. ათანხმებს ამ პრინციპებს ასოციაციის სტრატეგიულ გეგმასთან.

მუხლი 10. კონსორციუმის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია

10.1. კონსორციუმი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

10.2. კონსორციუმის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია შეიძლება მოხდეს:

- კონსორციუმის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით;

- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილებით.

10.3. კონსორციუმის ლიკვიდაციას ახორციელებს საერთო კრების მიერ დამტკიცებული ჯგუფი, ამავე კრების მიერ დამტკიცებული სალიკვიდაციო პროცედურის შესაბამისად.

10.4. ლიკვიდაციის დროს უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მესამე პირთა მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულად სახსრებში, დააკმაყოფილონ კონსორციუმის კრედიტორები და დარჩენილი ქონება განაწილდეს საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად. ზემოთ აღნიშნულ “კანონით განსაზღვრული შემთხვევების” გარდა.

მიმდინარე წლის აპრილის თვეში საქართველოში ჩატარდა საბიბლიოთეკო კვირეული, რომლის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია. კვირეულის ჩატარებას აქტიურად დაუჭირა მხარი საქართველოს კულტურის სამინისტრომ, საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, ქვეყნის მთავარმა ბიბლიოთეკებმა, თბილისში მოქმედმა საერთაშორისო ფონდებმა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, საბიბლიოთეკო საქმესთან დაახლოებულმა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.

ქურნალმა გადაწყვიტა, მიღებული ინფორმაცია მიმოხილვის სახით მიაწოდოს მკითხველებს.

საქართველოში საბიბლიოთეკო კვირეულის ჩატარების იდეა დაიბადა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობაში. ეს დაემთხვა ქურნალ “საქართველოს ბიბლიოთეკის” პირველი ნომრის პრეზენტაციას, რომელიც გაიმართა 2000 წლის 6 აპრილს. კვირეულის ჩატარების პერიოდს დადგენილი იყო 2002 წლის 22-30 აპრილი; ინფორმაცია კვირეულის ჩატარების შესახებ დაეგზავნა საქართველოს ყველა ცენტრალურ ბიბლიოთეკას, მთავარ ბიბლიოთეკებს, საბიბლიოთეკო ქსელის მქონე უწყებებს; საბიბლიოთეკო კვირეულის მიზანს წარმოადგენდა: უფრო ნალად წარმოჩენილიყო საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების აქტუალური პრობლემები, მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების მდგომარეობა; ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას დაენახა მათ დაქვემდებარებაში მყოფი ბიბლიოთეკების მუშაობის პირობები და სხვ.

ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა აგრეთვე ქართული საბიბლიოთეკო ამრის გამოცოცხლება, საბიბლიოთეკო სამოგადოების შემობრუნება ახალი ამოცანებისა და მდგომარეობის შესაბამისად; კვირეულის ჩატარებას ხელი უნდა შეეწყო ბიბლიოთეკების გადაქცევისათვის სამოგადოებრივ-საინფორმაციო ცენტრებად;

კვირეულის მიზანი იყო გარეთვე პროფესიაში საუკეთესო ბიბლიოთეკართა გამოვლენა, მათი წახალისება და სტიმულირება.

ბიბლიოთეკის კვირეულის ჩატარების იდეამ არნახული ენთუზიაზმი და მხარდაჭერა ჰპოვა არა მარტო საბიბლიოთეკო სფეროში, არამედ კულტურის სხვა დაწესებულებებში, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში.

საბიბლიოთეკო კვირეული ჩატარდა დევიზით “თქვენი ბიბლიოთეკა”; შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის შგაბი თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში იყო. კვირეულის შგაბს ხელმძღვანელობდა ამავე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი, გულნარა სგურუა. შგაბში წინასწარ დაგზავნილი ინფორმაციის შესაბამისად, თავი მოიყარა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან გამოგზავნილმა გვეგებმა, რომლებიც აისახა კვირეულის პროგრამაში. კვირეულს ეკონომიკური მხარდაჭერა აღმოუჩინეს ფონდმა “ღია სამოგადოება – საქართველო”, კარნეგის ფონდმა და სხვ.

კვირეულის მიზნებში გამოკვეთილი იყო ბიბლიოთეკების თანამშრომლობის განმტკიცება გამომცემლობებთან, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ მოქმედ ბიბლიოთეკებთან; აქვე ყურადღება გამახვილებული იყო ინტერნეტის თავისუფალი ხელმისაწვდომობისა და მკითხველთა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროგრამებზე; კვირეულის პერიოდში უნდა გაზრდილიყო საზოგადოების ინტერესი ბიბლიოთეკებისადმი, ჩამოყალიბებულიყო ბიბლიოთეკებისა და სამოგადოების ურთიერთობის ახალი ფორმები.

კვირეულის მოსამზადებელ პერიოდში დაიბეჭდა სპეციალური მოსაწვევები, პლაკატები, სანიშნები. ოპერატიულ ინფორმაციას კვირეულის მომზადების შესახებ ავრცელებდა საქართველოს კულტურის სამინისტროს შესაბამისი სამსახური, ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

კვირეული დაიწყო აჭარაში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო კვი-


რეული გაიხსნა 1 აპრილს. ბიბლიოთეკის დირექტორმა, პედ. მეცნ. კანდიდ. გენადი მახარაძემ დამსწრეთ მიულოცა კვირეულის დაწყება და ვრცლად ისაუბრა კვირეულის ამოცანებსა და მიზნების შესახებ. კვირეულის პეიოდში ბათუმის საქალაქო ბიბლიოთეკასა და რაიონების ცენტრალურ ბიბლიოთეკებში ჩატარდა ბევრი საინტერესო ღონისძიება, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ ცენტრალურ საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკაში (დირექტორი ე. ხუნდაძე) მოწყობილი შეხვედრა ნორჩ მკითხველებთან, იგი ჩატარდა დევიზით: “წიგნთან ერთად, წიგნის სიყვარულით”. ქალაქ ბათუმის საბიბლიოთეკო გაერთიანების ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ (დირექტორი ინგა გოგობერიძე) შეხვედრა მოუწყო ახალგაზრდა მწერლებს. საინტერესო ღონისძიებები გაიმართა რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში. 7-8 აპრილს აქ ჩატარდა, ლექტორების ლ. გიგინეიშვილისა და ბრიგანელი სტუმრის აიძან სალემის საჯარო ლექციები.

საბიბლიოთეკო კვირეულის საზეიმო დახურვა აჭარაში მოეწყო 6 აპრილს. ამ დღეს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში შეიკრიბა ბათუმის საბიბლიოთეკო სამოგადოებრიობა, მკითხველები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. შეხვედრას ესწრებოდნენ თბილისიდან ჩამოსული სტუმრები: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი, ჟურნალ “საქართველოს ბიბლიოთეკის” მთავარი რედაქტორი ალექსანდრე ლორია, ამავე



ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანი და ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი გურამ თაყნიაშვილი, ჟურნალ “საქართველოს ბიბლიოთეკის” კორესპონდენტებთან მუშაობის კომიტიტის თავმჯდომარე გულნარა სტურუა, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის დოცენტი ინგა ფილაური, ელექტრონული ჟურნალისგების პროექტის კოორდინატორი ეკა ბასილაია. სტუმრებმა ისაუბრეს საბიბლიოთეკო კვირეულის შესახებ, ბათუმის ბიბლიოთეკარებს გადასცეს ჟურნალ “საქართველოს ბიბლიოთეკის” მორიგი ნომრები. შეხვედრაზე აღინიშნა იმ ენთუზიაზმისა და შემართების შესახებ, რომელიც გამოვლენილი იქნა კვირეულის პერიოდში მთელი აჭარის რეგიონის ბიბლიოთეკებში, საზგასმით ითქვა, რომ კვირეული ამით არ მთავრდება, რომ შეხვედრები და საინტერესო ღონისძიებები კვლავაც გაგრძელდება. საბიბლიოთეკო კვირეული დიდი ენთუზიაზმითა და შემართებით ჩატარდა ქ. თბილისის ბიბლიოთეკების გაერთიანებაის ფილიალებში (სისტემის დირექტორი ციალა კალმახელიძე) თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკებს მასობრივი ღონისძიებების ჩატარების დიდი გამოცდილება აქვთ. გამოცდილი ბიბლიოთეკარების გვერდით აქტიურად თანამშრომლობდნენ ახალგაზრდა სპეციალისტები.

7 აპრილს საინტერესო ღონისძიება ჩატარდა ქ. თბილისის შოთა რუსთაველის სახელო-



ბის საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მაყვალა რაზმაძე); ღონისძიების თემა იყო “ბიბლიოთეკა, წიგნი, მკითხველი”; მას უძღვებოდა ბიბსაბჭოს თავმჯდომარე, ჟურნალისტი შოთა ჩიმაკაძე. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მკითხველთა სამი თაობის წარმომადგენლები. მათ მადლიერების გრძნობით მოიხსენიეს ის ბიბლიოთეკარები, რომლებიც უანგაროდ, პროფესიულად ემსახურებოდნენ მკითხველებს; ამ ღონისძიების შესანიშნავი დეგალი იყო მისი გამგის, ქალბატონ მაყვალა რაზმაძის საიუბილეო დღე. მკითხველები, კოლეგები გულწრფელად ულოცავდნენ მას დაბადების 75-ე წლისთავს. მართლაც, ქალბატონი მაყვალა მიჩნეულია მთელს სისგემაში უზალო პროფესიონალად და თავდაუზოგავ პიროვნებად, რომელმაც წიგნის სიკეთესა და სიყვარულს აზიარა არა ერთი და ორი პიროვნება.

ბიბლიოთეკასთან არსებობს პოემიის კლუბი “ვეფხისტყაოსანი”, მისი პრეზიდენტი წლების მანძილზე იყო პოეტი შოთა ნიშნიანიძე. მკითხველთა სამი თაობის შეხვედრაში მონაწილეობდნენ პარლამენტარი კობა დავითაშვილი, პედაგოგი ოთარ სოხაძე, ინჟინერი მაურ აბუთიძე, დავით და ნუკრი ლურსმანაშვილები და სხვ. შეხვედრის მონაწილეთ დიდხანს ემსახვრებათ საესგრალო სასწავლებლის პედაგოგის თამაზ ცირეკიძის ხელოვნება.

22 აპრილს მთაწმინდის რაიონის ბიბლიოთეკების თანამშრომლებმა და მკითხველებმა შეხვედრა მოუწყვეს ბიბლიოთეკის შემოქმედ პოეტ მკითხველებს: დავით გაკიძეს, ნიკო მუმლაძეს, ახალგაზრდა დამწყებ პოეტებს: მაია გრძელიშვილს და თამარ დოლიძეს. პოეტმა ნ. მუმლაძემ მხატვრული ნამუშევრებით დააჯილდოვა მოსწავლე მკითხველები. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: პროფესორმა რამაზ პაგარიძემ, მწერალმა გოგი ხორსნაულმა, მხატვრებმა, ძმებმა ავთანდილ და გარიელ ვართაგავეებმა და სხვებმა.

24 აპრილს ი. ჭავჭავაძის სახელობის № 23-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩუღურეთის რაიონის ბიბლიოთეკებმა ჩაატარეს თეოლოგიური

სალამო. ქაშუეთის ეკლესიის მოძღვარმა, მამა ელიზბარმა დალოცა და აკურთხა ბიბლიოთეკა. მანვე ბიბლიოთეკის თანამშრომლებს მოუწოდა, ყურადღება მიექციათ ისეთი მკითხველებისათვის, რომლებსაც ფიზიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ ბიბლიოთეკაში მოსვლა. მოძღვარმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა “ბიბლია” და “საშობაო ეპისგოლე”.

22 აპრილს კვირეული საზეიმოდ გაიხსნა მე-9 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე: ლეილა კასრაძე) ამ დღეს აქ მოეწყო შეხვედრა მკითხველ საზოგადოებასთან, ჩატარდა პრესკონფერენცია; ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მოეწყო მხატვარ



ლეილა ასათიანის ნამუშევრების გამოფენა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მთავარი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელები, მკითხველები, ჟურნალისტები, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობა, ჟურნალ

“საქართველოს ბიბლიოთეკის” სარედაქციო კოლეგია, ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი პირები.

23 აპრილს ნაძალადევის რაიონის ბიბლიოთეკებმა 49-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში შეხვედრა მოუწყვეს პოეტ ოთარ შალამბერიძეს, რომელსაც დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. პოეტის შემოქმედებითი გზის შესახებ ისაუბრა ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მეთოდისგმა, პოეტმა ბუმრუდ გოდერძიშვილმა. პოეტს მიესალმნენ 42-ე საქალაქო ბიბლიოთეკის გამგე ალექსი ნამორაძე, პოეტები შოთა ხოდაშნელი, ომარ გოჩალეიშვილი, მურმან ჯგუბურია, მაია მიქაბერიძე და სხვები.

24 აპრილს 48-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში 153-ე საშუალო სკოლასთან ერთად მოაწყო მწერალ ლეილა მესხის რომანის “ფაიფურის თოჯინის” განხილვა ავგორის მონაწილეობით. რომანის ირგვლივ ილაპარაკა 153-ე საშუალო სკოლის პედაგოგმა თამარ ირექიანმა. რომანის განხილვაში მონაწილეობდნენ ამავე სკოლის ბიბლიოთეკის გამგე იმოდლა ჩიხლაძე, პედაგოგი თამარ თხელიძე, 48-ე საქალაქო ბიბლიოთეკის

გამგე ღოღო კვიციანი და სხვები.

რომანი სმთავარი გმირის ღუღანას სახე განასახიერა მე-ნ კლასის მოსწავლემ მარიკა ბერბენიშვილმა. სიგყვით გამოვიდა გელევიზიის პირველი არხის ლიგერაგურული განყოფილების გამგე, პოეტი ნინო ქუთათელაძე.



ეწყო ისან-სამგორის რაიონების ბიბლიოთეკების თანამშრომელთა თვითშემოქმედები საღამო. მისი ინიციატორები იყვნენ 22-ე ბიბლიოთეკის გამგე ნათია ქემოკლიძე და № 2-ე ბიბლიოთეკის გამგე ციალა გოგიაშიშვილი, აქვე მოეწყო ნათია ქემოკლიძისა და თამარ მოსეშვილის ნამუშევრების გამოფენა. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ციალა გოგიაშიშვილის სამეიმო კაბების კოლექციის გამოფენამ. ამ ღონისძიებაზე სიგყვით გამოვიდნენ ისანი-სამგორის ბიბლიოთეკების გამგეები: მერი ლომია, ნინო მიშელაძე, ციცილო იაკობაშვილი და სხვები. ღონისძიებას ესწრებოდა პარლამენტის წევრი კობა ღავითაშვილი.

24 აპრილს № 12-ე საქალაქო ბიბლიო-

თეკაში მოეწყო პოეზიის საღამო თემაზე "მე ოცი წლის ბიჭი ვარ და საუკუნე მიმაქვს მხრებით". ღონისძიება მიეძღვნა ღაღო ასათიანისა და მირზა გელოვანის ღაბაღების 85-ე წლისთავს. საღამოს უძღვებოდა ბიბლიოთეკის გამგე ნინო მიშელაძე. ეს იყო ლიგერაგურულ-მუსიკალური ღადგმა, რომელიც შეასრულეს ეროვნულ განსაცემელში გამოწყობილმა ბავშვებმა. მათვე წარმოადგინეს ღასათიანის პოემების "საღაღობოს" და "ბასიანის ბრძოლის" მონგაჟი. შემდეგ ნაჩვენები იყო სჟექტაკლი "თამარ მეფე", რომელიც განახორციელა მ. ღანელიამ.



25 აპრილს № 22-ე საბავშვო ბიბლიოთეკაში მო-



25 აპრილს № 22-ე საბავშვო ბიბლიოთეკაში მო-




ქ. თბილისის მმ-19 ბიბლიოთეკა-ვილიაღი (ბაბგე გულნარა კვიციანი) მოეწყო უმხვეღრა რაჟინორ თემურ ჩხეიქესთან

ამ ავე საღამოს ღამსახურებულ პენსიაზე გულთბილად გააცილეს 22-ე საქალაქო

ბიბლიოთეკის წამყვანი ბიბლიოთეკარი ნათელა ქამუშაძე. მას გულთბილი სიყვარულით მიმართეს კოლეგებმა, მკითხველებმა, პედაგოგმა ლია ჭანგურიამ და სხვებმა.

26 აპრილს გლდანის რაიონის ბიბლიოთეკებმა 53-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში მოაწყვეს ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ზურაბ ხასაიას პოეტური კრებულის “კოლხური დაისების” პრეზენტაცია. წიგნის შესახებ ისაუბრა სტუდენტმა მ. ჭანგურიამ, პოეტის ლექსები წაიკითხეს ნ. აბაიშვილმა, ნ. ილურიძემ, ლ. ოქიგაშვილმა და სხვებმა. წიგნის პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი, გამგეობის წევრები: გ. სტურუა და გ. თაყნიაშვილი.

26 აპრილს თბილისის ე. ნინოშვილის სახ. № 10-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ისტორიულ მეცნ. დოქტ. პროფ. ამირან ცამციშვილი-ფილცხალაურის წიგნის “უახლესი ისტორიული მგუდიუები თამარსა და შოთაბე XII-XIII-სს” განხილვა. საღამოს ესწრებოდნენ და წიგნის შესახებ თავიანთი აზრი გამოთქვეს: პროფ. ნორა კოცინოვმა, აკადემიკოსმა კონსტანტინე გელაშვილმა, პროფ. გივი ხაბაღიაშვილმა, მწერალმა ნუგზარ ბერიძემ და სხვებმა. მწერლის მრწამსისა და შეხედულებების შესახებ ვრცლად ისაუბრა ბიბლიოთეკის გამგემ გოგი გარდაფხაძემ.



30 აპრილს მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა რადიო “თავისუფლების” საქართველოს ბიუროს ხელმძღვანელთან თამარ ჩიქოვანთან და ჟურნალისტ დავით პაიჭაძესთან.

მათ პასუხები გასცეს დამსწრეთა შეკითხვებზე, ისაუბრეს რადიო “თავისუფლების” თანამედროვე მისიამზე. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი, ასოციაციის გამგეობის წევრი გულნარა სტურუა.

17 აპრილს მ. ჯავახიშვილის სახელობის ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკის თანამშრომლები და მკითხველები შეხვდნენ ცნობილ მსახიობს კოტე მახარაძეს. საინტერესოა აღინიშნოს რომ თავად კოტე მახარაძე წიგნის სიყვარულს აზიარა მისმა დედამ, ბიბლიოთეკარმა ვარვარამ, რომელიც სამუშალო სკოლის ბიბლიოთეკარად მუშაობდა. საღამომე მოგონებებით გამოვიდნენ ქ-ნ ვარვარას აღმზრდელი ა. გეწაძე, პ. დევედარიანი, მ. ჯორჯაძე, მისი ქალიშვილი გუგული და შვილიშვილი მაკა მახარაძე.

საბიბლიოთეკო კვირეული წარმატებით ჩატარდა თბილისის საბავშვო ბიბლიოთეკებში. 24 აპრილს 55-ე საქალაქო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ ჩაატარა ლიგერაგურული დღი, რომელიც მიეძღვნა ლადო ასათიანის დაბადების 85 წლისთავს. 25 აპრილს 49-ე საბავშვო ბიბლიოთეკამ ჩაატარა ლიგერაგურულ საღამო თემაზე “ლექსო არ დაიკარგები”.



როგორც აღინიშნა, საბიბლიოთეკო კვირეული თავისი მასშტაბებით თბილისში, ცხაღია, ვერ ჩაეტეოდა მხოლოდ აპრილის თვეში. თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკები თითქმის ყოველდღე ატარებდნენ ღონისძიებებს და ამის გამო მათი ჩატარების პერიოდი გადავიდა მაისის თვეშიც.

24 მაისს მ. ჯავახიშვილის სახელობის ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა პოეტ ბერაძესთან. შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ ლიგერაგურულ კლუბ "მაჭახელას" დამფუძნებლები - ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების გამგე ნანული გოგაჭიშვილი და ამავე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის გამგე რუიზან კალმახელიძე.

პოეტთან შეხვედრაზე მონაწილეობდნენ ანდრია აფაქიძე, პოეტი ნ. ბართაია, ე. საღლიანი. მ. ბერაძის ლექსები წაიკითხეს პოეტებმა მ. წიკლაურმა და დ. გაკიძემ, ბიბლიოთეკარებმა რ. ბითაროვამ და მ. დარჩიაშვილმა.

14 ივნისს იგივე ლიგერაგურულ კლუბ "მაჭახელას" ინიციატივით მ. ჯავახიშვილის სახ. ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა პოეტ თამარ გაბროიაშვილთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ მწერალი ნუგზარ ბერაძე, პოეტები დავით მჭედლური, მ. წიკლაური, ჯ. ცერცვაძე, ვ. ოთარიშვილი და სხვები.

რა თქმა უნდა, აქ წარ-

მოღვენილი მასალა სრულყოფილად ვერ ასახავს



ალქმის სურვილი და, რაც მთავარია, საზოგადოებასთან ურთიერთობის უნარი, ახალი ფორმების ძიებისა და მიგნებისათვის მზადყოფნა.



გმა ლუიზა ქუმელაშვილმა და საბავშვო ბიბლიოთეკების მეთოდისგმა ლია ჩხარგიშვილმა, რისთვისაც რედაქცია მათ მადლობას უხდის.



ქ. თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკებში ჩატარებულ ღონისძიებებს, მაგრამ ერთი რამ ცხაღია: საქალაქო ბიბლიოთეკებში მოწყობილმა მასობრივმა ღონისძიებებმა ცხადყვეს ბიბლიოთეკართა ერთუზიანზში, შემართება და პროფესიონალიზმში, სიახლის

კვირეულის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალა მოგვაწოდეს საქალაქო ბიბლიოთეკების გაერთიანებების მასობრივი მუშაობის მეთოდის-

გმა ლუიზა ქუმელაშვილმა და საბავშვო ბიბლიოთეკების მეთოდისგმა ლია ჩხარგიშვილმა, რისთვისაც რედაქცია მათ მადლობას უხდის.

ცალკეული ავტორების მიერ მოწოდებული მასალები კვირეულში ჩატარებული ღონისძიების შესახებ ჟურნალში დამოუკიდებლად იბეჭდება და ბევრი მათგანი თანდათან გამოქვეყნდება შემდეგშიც.

საბიბლიოთეკო კვირეულმა წარმატებით ჩაიარა ქ. თბილისის სხვა უწყებების ბიბლიოთეკებში. თითოეულმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ პროფილის შესაბამისი ღონისძიებები ჩაატარა და კიდევ ერთხელ

ცხადყო ბიბლიოთეკების ცხოველმყოფელობა და მათი მუშაობის გარდაქმნის აუცილებლობა.

25 აპრილი

კვირეულის გეგმით გამოცხადებული იყო ეროვნული ბიბლიოთეკის დღე. ამ დღეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში შეიკრიბნენ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა, მკითხველები, გულშემატკივრები.



ხაგები. განსაკუთრებით საინტერესო იყო მხაგვრის ნამუშევრები ნიჟარებითა და მინაბე გამოცხადებით, აგრეთვე ბეწვითა თუ მეტალის ნაწილებით შესრულებული.

ოთარ კეკელაშვილის წიგნის ღირსებების შესახებ ისაუბრეს მისმა რედაქტორმა, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის "საქპაგენგის" გენერალურმა დირექტორმა დავით გაბუნიაშვილმა და საქართველოს

24 აპრილს საბიბლიოთეკო კვირეულის პროგრამით საქართველოს გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო

თველოს გამომგონებელთა საზოგადოების თავმჯდომარემ, საქართველოს გექნიკური შემოქმედებისა და პაგენგმცოდნეობის ინსტიტუტის რექტორმა თამაზ შინაკაძემ და სხვებმა.

ლოის (დირექტორი ნუგზარ გოგსაძე) ჩაგარდა ორი ღონისძიება: ბიბლიოთეკის თანამშრომლის, მხაგვრის რუსუდან ბარამიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა და ო. კეკელაშვილის წიგნის



ქალაქის მერიის ხელმძღვანელი პირები, ინფორმაციის სპეციალისტთა და საბიბლიოთეკო ასოციაციის ხელმძღვანელები, გამგეობის წევრები,

"საპაგენგო სამართლის ეკონომიკური საფუძვლები" პრეზენტაცია. ამ დღეს თავიანთი აზრი გამოთქვეს რუსუდან ბარამიძის ნიჭის თაყვანისმცემლებმა, მკითხველებმა, საპაგენგო საქმისა და სტანდარტიზაციის სპეციალისტებმა. სტუმრებმა და ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა გულისყურით დაათვალიერეს რუსუდან ბარამიძის ნამუშევრები, "საქპაგენგის", "გექინფორმის", საზოგადოება "ცოდნის" წარმომადგენლები. რუსუდან ბარამიძის ნამუშევრებს მაღალი შეფასება მისცა სამხაგვრო აკადემიის პროფესორმა: ლია კვასცვაძემ, ნანა კიკნაძემ, ია კანდელაკმა, მ. ჯავაშვილმა და სხვებმა.

ქალაქის ყველა ღიდი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები, "საქპაგენგის", "გექინფორმის", საზოგადოება "ცოდნის" წარმომადგენლები. რუსუდან ბარამიძის ნამუშევრებს მაღალი შეფასება მისცა სამხაგვრო აკადემიის პროფესორმა: ლია კვასცვაძემ, ნანა კიკნაძემ, ია კანდელაკმა, მ. ჯავაშვილმა და სხვებმა.



იმავე დღეს საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო

საქართველოს პარლამენტის

რო-კულტურული კავშირის საზოგადოება “ცოდნის” გამგეობის თავმჯდომარემ ნუგზარ წერეთელმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა ნიუ-იორკის გამომცემლობის “ნოვა საიენს პაბლიშენ ინ კომპანის” მიერ გამოცემული ტექნიკური პროფილის 130 წიგნი.

მინაარსიანად ჩაგარდა საბიბლიოთეკო კვირეული თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. აქ ხუთი დღის განმავლობაში გაიმართა სხვადასხვა სახის ღონისძიება: ახლადმიღებული ლიტერატურის გამოფენა, თბილისის გამომცემლობათა მიერ გამოქვეყნებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, ბიბლიოთეკის თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის ოფისის პრეზენტაცია და სხვ. ღონისძიებას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის ხელმძღვანელები, სტუდენტები, მეცნიერ-მუშაკები, საქართველოს საბიბლიოთეკო



ასოციაციის და ავტომატიზაციის სპეციალისტთა ასოციაციის გამგეობის წევრები.

24 აპრილს კვირეულის პროგრამით საინგერესო ღონისძიება ჩაგარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (ღირექტორი აკადემიკოსი მ. ზაალიშვილი); სისტემის ბიბლიოთეკების მუშაობის შეხვედრა-სემინარი გახსნა ბიბლიოთეკის ღირექტორმა. ბიბლიოთეკის თანამედროვე

მდგომარეობის შესახებ ისაუბრა ღირექტორის მოადგილემ ნანა ფირცხალავამ. ბიბლიოთეკის ვესტბულში მოწყობილი იყო ახალი ლიტერატურის გამოფენა. ბიბლიოთეკის ღირექციის ინიციატივით 23 აპრილს გაიმართა გრიშაშვილის სახლ-მუზეუმს ეწვივნენ მისი ნიჭის თაყვანისმცემლები, ბიბლიოთეკარები, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი პირები. სტუმრებმა დაათვალიერეს პოეტის სახლ-მუზეუმში მოწყობილი გამოფენა, ისაუბრეს პოეტის ცხოვრების ეპიზოდებზე, გაიხსენეს მისი დამოკიდებულება წიგნისა და ბიბლიოთეკისადმი. ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში ხსოვნის საღამოს უბ

ღებოდა მუზეუმის გამგენოდარ გრიგორაშვილი.

24 აპრილს მოეწყო მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის კურთხევა. 25 აპრილს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა მოისმინეს ორი საინგერესო მოხსენება – ქართული პალეოგრაფიისა და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის საკითხთან დაკავშირებით.

26 აპრილს კვირეულის პროგრამით შეხვედრა მოეწყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (ღირექტორი ლია ქუთათელაძე). შეხვედრის თემა იყო “ბიბლიოთეკის როლი თბილისის სა-

ხელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში”. შეხვედრაში მონაწილეობდნენ

უნივერსიტეტის რექტორატის წარმომადგენლები, სტუდენტები, ბიბლიოთეკარები, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციების ხელმძღვანელი პირები.

საბიბლიოთეკო კვირეულის პროგრამით საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა საქართველოს მ. გელოვანის სახ. ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში (დირექტორი ო. შოთაშვილი) და ლ. ასათიანის სახელობის საბავშვო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ინგა არგუტინსკაია).

ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა კვირეულის დღეებში საქართველოს ლალო ასათიანის სახელობის სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკაში; საინტერესო იყო “გახსენება” ლალო ასათიანის დღე, სადაც ბავშვებმა ისაუბრეს პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მოეწყო გამოფენა “ხომ ლამაზია ეს საქართველო”; წიგნის საერთაშორისო დღესადმი მიძღვნილი იყო ღონისძიება “წიგნით მომავლისაკენ”, რომელსაც დიდი ადგილი დაუთმო სატელევიზიო გადაცემამ “ალიონი”.

ბავშვებს დიდხანს ემასხოვრებათ 9 აპრილისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია “ეს თქვენ გეკუთვნით ღუმლის წუთი”; ასევე დიდი მოწონება დაიმსახურა ბავშვებში ლიტერატურულ-მუსიკალურმა კომპოზიციამ “ბუნება, სიცოცხლე და სილამაზე”; ამავე დღეებში ბავშვები ესტუმრნენ ზღაპართა სამყაროს, დაუმეგობრდნენ ზღაპარების გმირებს; ჩატარდა ვიქტორინა “ზღაპართა გადააბახილი”, მოეწყო გამოფენა და სხვ.

კვირეულის დღეებში ბიბლიოთეკის თა-

ნამშრომლები ესტუმრნენ საბავშვო ბაღს, სადაც ჩატარდა მხატვრული კითხვა. ასევე სკოლაში


დასაკის ბავშვებთან ჩატარდა საინტერესო ღონისძიება “იზარდე მწვანე ჯეჯილო”. კვირეულის დღეებში ბიბლიოთეკამ საჩუქრად მიიღო წიგნები ა. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრიდან. სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკებში მიწვობილ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს კულტურის სამინისტროს სპეციალისტები, ლიცეუმ “მთების” დირექტორი თემურ კავსაძე და სხვები.

როგორც აღნიშნული იყო, ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა საქართველოს მ. გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში. კვირეულის დღეებში მოეწყო სპეციალური სტენდი – “საბიბლიოთეკო საქმის განვითარება საქართველოში და ქართველი ბიბლიოგრაფები”.

2002 წლის მარტის თვიდან მიმდინარეობს ახალგაზრდა მკითხველთა დაუსწრებელი კონფერენცია – “წიგნი, ბიბლიოთეკა, მკითხველი”, რომელმაც უაღრესად დიდი მოწონება დაიმსახურა ყველა ჯგუფის მკითხველთა შორის. რის გამოც მიღებული იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული ღონისძიებების წლის ბოლომდე გაგრძელების შესახებ. ღონისძიებების შედეგები შეჯამდება 2003 წლის იანვრის ბოლოს და მკითხველთა ყველა ასაკობრივი ჯგუფიდან საუკეთესონი დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით. ღონისძიებას ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში ქ.ნი ქეთევან ნიკურაძე.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცი-





ასთან ერთობლივად მოეწყო მკითხველთა შეხვედრა საბიბლიოთეკო ღარგის წამყვან მუშაკებთან. ღონისძიება ჩაგარდა რუბრიკით – “ბიბლიოთეკა და თანამედროვე საინფორმაციო წყაროები”.

მოხსენებები გააკეთეს საქართველოს ბიბლიოთეკების ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

“ისა”-ს კურსების დირექტორმა გია შათირიშვილმა.

საქართველოს მ. გელოვანის სახ. ახალგაზრდობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორმა ომარ შოთაშვილმა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ქ. თბილისში მოქმედი საუწყებო ბიბლიოთეკების თანამშრომლები და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

ბიბლიოთეკამ და საქართველოს დიპლომატიური აკადემიის ხელმძღვანელობამ მათ წყვეს ინგლისურ ენოვანი სასწავლებლების მოსწავლეთათვის ამერიკიდან მიღებული დარგობრივი პერიოდული გამოცემების პრეზენტაცია.

მონაწილეებს სგუმრები წარუდგინა და აღნიშნული ლიგერატურის მნიშვნელობაზე ესაუბრა ბიბლიოთეკის დირექტორი ომარ შოთაშვილი.

სამღვარგარეთის ბიბლიოთეკების საქმი-

ანობაზე და აღნიშნული ლიგერატურის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. საქართველოს დიპლომატიური აკადემიის პროფესორმა – თამარ ცინცაძემ

და ამავე აკადემიის პროფესორმა გუგული მალრაძემ.

უდიდესი შთაბეჭდილება მკითხველებზე მოახდინა ალ. დიუმას სახელობის ცენტრის მიერ საჩუქრად გადმოცემული ფრანგული თანამედროვე ლიგერატურის მუღმივმოქმე-



დი გამოფენის პრეზენტაციამ. საჩუქრად მიღებულ იქნა 400-ზე მეტი წიგნი. გამოფენის პოპულარობა იმითაც აიხსნება, რომ გახსნის პირველ ორ დღეს 100 წიგნი იქნა გაცემული მკითხველებზე.

საქართველოს მ. გელოვანის ბიბლიოთეკის დირექცია აღნიშნულთან დაკავშირებით დიდ მადლობას უხდის ალ. დიუმას ცენტრის დირექტორს ბაგონ ალენ პორს და უსურვებს მას და მის კოლეგებს ჯან-



მრთელობას და წარმატებებს ფრანგი და ქართველი ხალხის დაახლოებისა და დამეგობრების საქმეში.

კვირეულის პროგრამით საინგერესო ღონისძიებები ჩაგარდა თბილისის სალხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგო-

გიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (დირექტორი თინა ჯაჭვამე)

კვირეულის ჩაგარების იდეამ თავიდანვე არნახული გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში. კვირეულის შტაბში მიღებულ იქნა წინასწარშედგენილი გეგმები, იგზავნებოდა მოსაწვევები, თითქმის ყოველდღე ისმოდა სატელეფონო ზარი, რაც იმას ნიშნავდა, რომ კვირეული ფრთებს შლიდა მთელი საქართველოს მასშტაბით, მას ხალისიანი ადამიანების შემართება ეგებებოდა.

კვირეული შინაარსიანი ღონისძიებებით აღინიშნა იმერეთის მხარეში. ქუთაისის საქალაქო ბიბლიოთეკები ყოველთვის გამოირჩეოდნენ აქტიურობით, ნაირფეროვანი და შინაარსიანი ღონისძიებების ჩატარებით, მკითხველსაზოგადოებასთან ურთიერთობის ახალი ფორმებითა და მეთოდებით. საქალაქო ბიბლიოთეკაში კვირეული 22 აპრილს დაიწყო. თითოეული საქალაქო ბიბლიოთეკა ცდილობდა, რაღაცა გამორჩეული, შინაარსიანი, განუმეორებელი ღონისძიება მოეწყო, შეხვედრა



ღვაწლმოსილ ადამიანებთან, კოლეგებთან, პოლიტიკოსებთან, მკითხველებთან, ინგელიგენციის წარმომადგენლებთან. კვირეული დასრულდა 30 აპრილს ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო უნივერსალურ ბიბლიოთეკაში მოწყობილი ღონისძიებით – “ბიბლიოთეკის ქომაგი”.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქალაქის შემოქმედებითი ინგელიგენციის წარმომადგენლები, მხატვრები, ჟურნალისტები, მედიცინის დარგის სპეციალისტები, მკითხველები, საქართველოს ენის პალატის ქუთაისის სამმართველოს თანამშრომლები. ღონისძიებაზე საზგასმით აღი-

ნიშნა იმერეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ბ-ნ თეიმურაზ შაშიაშვილის საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ. ბ-ნმა თეიმურაზმა ქუთაისის სამეცნიერო უნივერსალურ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა მრავალი უნიკალური წიგნი. მან კარგად უწყის წიგნის და ბიბლიოთეკის ყადრი


და დანიშნულება. 30 აპრილს ღონისძიების სტუმარი იყო ქუთაისელი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი პიროვნება, მწერალი, ჟურნალისტი, მსახიობი და პედაგოგი ნესტან კვეიძე. მან ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა საკუთარი და მისივე დის, კირა კვეიძის ავტორობით გამოცემული წიგნები.

საბიბლიოთეკო კვირეულის პროგრამით ქუთაისში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ მასალები მოგვაწოდა ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური და კოორდინაციული მუშაობის განყოფილების გამგემ რიგა წაქაძემ.

იმერეთის რეგიონში საბიბლიოთეკო კვირეული ფაქტიურად წყალგუბოში დაიწყო. წყალგუბოს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შეიკრიბნენ მხარის ცენტრალური ბიბლიოთეკების დირექტორები, პასუხისმგებელი მუშაკები, წყალგუბოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ინგელიგენციის და ბიბლიოთეკის მკითხველთა ერთი ნაწილი.

19 აპრილს წყალგუბოს ცენტრალურ ბიბლიოთეკას ესტუმრნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი, აღმასრულებელი დირექტორი გურამ თაყნიაშვილი, ჟურნალ "საქართველოს ბიბლი-

ოთეკის" რედაქციის წევრი გულნარა სტურუა. ღონისძიება გახსნა ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა სულიკო სევანიძემ. საბიბლიოთეკო მუშაობის აქტივ-



ლურ პრობლემებზე ისაუბრეს ჩამოსულმა სტუმრებმა, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მკითხველთა წარმომადგენლებმა. აღინიშნა, რომ წყალგუბოს საბიბლიოთეკო სისტემა ყოველთვის გამოირჩეოდა აქტიურობით, სიახლის აღქმის შეგრძნებითა და

მაღალი პროფესიონალიზმით, რასაც ადასტურებს მკითხველთა მაღლიერებით გამოხატული სიკცხები. აქ იგრძნობა მკითხველ საზოგადოებასთან ურთიერთობის ახალი, შემოქმედებითი ფორმების ძიება და მიდგომა, რაც ერთიანად ამალეებს ბიბლიოთეკის პრესტიჟსა და აქცევს მას მკითხველი საზოგადოების ინფორმირებისა და აღზრდის ნამდვილ ცენტრად.



კვირეულის პროგრამით

საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა გეგუთის, გუმბრის, წყალგუბოს მეორე უბნის, რიონის საკრებულოს, ქვიგირის, პაგრიკეთის, ოფურჩეთის და სხვ. ბიბლიოთეკა-ფილიალებში.

კვირეულის პროგრამით საინტერესო ღონისძიებები გაიმართა ქ. რუსთავის საქალაქო ბიბლიოთეკებში (სისტემის დირექტორი მ. ბურკვაძე) ღონისძიებები ყველა ბიბლიოთეკა ფილიალში ჩატარდა. საბიბლიოთეკო ცხოვრები-

სადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს რუსთავის თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებმა, რუსთავის ინტელიგენციამ, მკითხველმა საზოგადოებამ. დამსწრე საზოგადოების საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ღონისძიებებმა:


“ერთი ლექსის დღე”, “ვინ უკეთ იცნობს საქართველოს ისტორიას”, “ჩემი ქალაქის წარსული და მომავალი”, “ლ. ასათიანისა და მ. გელოვანის დაბადების 85 წლისთავი” და სხვ. კვირეულის საზეიმოდ დახურვა რუსთავის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 30 აპრილს მოეწყო. ამ დღეს საუბრისა და შეხვედრების თემა იყო “რუსთავი და რუსთაველები”. რუსთავში ჩატარებულმა საბიბლიოთეკო ღონისძიებებმა ცხადყო მკითხველთა ცხოველმყოფელობა, მათი მზადყოფნა, არსებულ სიტუაციაშიც ემსახურონ მკითხველ საზოგადოებას, ეძებონ მათთან ურთიერთობის თანამედროვე ფორმები.

საბიბლიოთეკო კვირეულმა დიდი საზრუნავი გაუჩინა და მრავალი საინტერესო



დღე აჩუქა ქ. თელავის საბიბლიოთეკო საზოგადოებას იმ ღონისძიებების სახით, რომლებიც აქ ჩატარდა 22-30 აპრილს (ცენტრალური საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორი მაყვალა წიკლაური). კვირეულის პირველი

ღონისძიება იყო ცენტრალურ ბიბლიოთეკაში პენსიონერ ბიბლიოთეკარებთან შეხვედრა, სადაც მადლიერების სიგევეები ისმოდა ამაგდარი ბიბლიოთეკარებისადმი.



25 აპრილს ამავე ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა თელავის რაიონის ხელმძღვანელობასთან, კულტურისა და განათლების მუშაკებთან; საუბარი შეეხო ქალაქის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების სადღეისო პრობლემებს.

26 აპრილს აქვე შეხვედრა მოეწყო თელაველ კომპოზიტორ იბა დოლმაგაშვილთან.



კვირეულის დღეებში საბიბლიოთეკო სისტემის თანამშრომლებმა მუშაობა მოაწყვეს თელავში მშენებარე წმინდა ნინოს ეკლესიაში.



სიის მშენებლობაზე.

კვირეულის დღეები დაამშვენა სარაიონო საბავშვო, მე-3 და მე-4 საბავშვო ბიბლიოთეკების მიერ ჩატარებულმა ფოლკლორის საღამომ, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქის სკოლების მოსწავლეები. ღონისძიებას ესწრებოდნენ პოეტი ნუნუ მამუკაშვილი და პროფ. ა. სპარსიაშვილი.


საინტერესო ღონისძიებით აღინიშნა კვირეულის დღეები ქ. ხაშურის ცენტრალურ საბიბლიოთეკო სისტემაში (ღირექტორი რუსუდან ენჯიბაძე). კვირეულის პერიოდში ხაშურის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკებთან არსებული ლიტერატურული სალონის "ათინათის" წევრები სოფ. არგვეთაში ეწვივნენ პოეტ მუხრან მაჭავარიანს...

ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის გამგე თა-

მარ გოგოლაძე, ლიტერატურული სალონის "ათინათის" ხელმძღვანელი ლალი ბარბაქაძე და ბიბლიოთეკის ახალგაზრდა თანამშრომლები მოხიბლულნი დარჩნენ პოეტთან სტუმრობით, ითქვა მაჭავარიანის ლექსები, იყო პოემისადმი სიყვარულისა და თაყვანისცემის გამოხატულება.



გრალიზებულ საბიბლიოთეკო სისტემაში ჩატარებული საბიბლიოთეკო კვირეული დასრულდა 7 მაისს. ამ დღეს ხაშურის ადმინისტრაციული სახლის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ ქალაქის ინტელიგენციის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მკითხველი საზოგადოების წარმომადგენლები.



საბიბლიოთეკო კვირეული შინაარსიან ღონისძიებით აღინიშნა ქ. გორისა და გორის რაიონის ცენტრალიზებულ საბიბლიოთეკო სისტემაში (ღირექტორი ნანა აბრამიძე). 10 მაისს გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა გორელ ხელოვნების მუშაკებთან. ეს იყო კვირეულის დასკვნითი ღონისძიება, რომელიც თავისი შინაარსით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბიბლიოთეკასთან, წიგნთან, კულტურულ ცხოვრებასთან. გორის გამგეობის ხელმძღვანელი



პირები, ხელოვნების მუშაკები გულწრფელად ლაპარაკობდნენ წიგნსა და ბიბლიოთეკის აუცილებლობის შესახებ. ღონისძიებას ამშვენებდა გორელ ხელოვანთა მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა შინაარსისა და ფორმის მუსიკალური ეპიზოდები.

22-30 აპრილს კვირეულის პროგრამით საინგერესო ღონისძიებები ჩატარდა სენაკის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (ღირეექტორი ციური ხორავა). კვირეულში აქტიურად მონაწილეობდა თითქმის ყველა ბიბლიოთეკა-ფილიალი. გეჯეთის № 15-ე ფილიალში მოეწყო შეხვედრა სენაკის შემოქმედებით ახალგაზრდობას-

თან; სამამულო ომის მონაწილეებთან მოეწყო შეხვედრა ნოსირის № 10-ე ბიბლიოთეკა-ფილიალში, 29 აპრილს ლეჩაბამის № 4-ე ფილიალში საინგერესო შეხვედრა გაიმართა ქართული ენის სიწმინდის დაცვის საკითხზე.

30 აპრილს კვირეულის დახურვაზე ცენტრალურ ბიბლიოთეკას ეწვივნენ ქალაქის თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები, ადგილობრივი ინგელიგენციის წარმომადგენლები, მკითხველი საზოგადოება.

14 მაისს კვირეულის პროგრამით წარმომადგენლობითი ღონისძიება ჩატარდა თერჯოლის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (ღირეექტორი ლია ბუსკივაძე). კულტურის, ხელოვნებისა და განათლების, აგრეთვე რაიონის გამგეობის წევრებთან ერ-



თად ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუმრები თბილისიდან: საქართველოს კულტურის სამინისტროს საბიბლიოთეკო ექსპერტი მ. მოდებაძე, ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის აღმასრულებელი ღირეექტორი გიორგი შათირიშვილი, საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური ბიბლიოთეკის ღირეექტორი ნუგზარ გოგსაძე, საბიბლიოთეკო დარგის ამაგდარი სპეციალისტი, თერჯოლელთა თანამემამულე სერგო პულუბიშვილი და სხვ. ამ დღეს თერჯოლის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო უნიკალური რელიგიური ლიტერატურის გამოფენა. სხვადასხვა სახის



ღონისძიება ჩატარდა კვახჭირის, გოგნის, რუფოთი-გელეფის, ჭოგნარის, ახალთერჯოლას, ბარლუბნის და სხვ. ბიბლიოთეკა-ფილიალებში. პოემის სადამოები ჩატარდა გოდოგნის, ეწრის და ქვ. სიმონეთის სასოფლო ბიბლიოთეკებში.

დასკვნით შეხვედრაზე მ. მოდებაძემ ღირსების ორდენები გადასცა თერჯოლის რაიონის საბავშვო ბიბლიოთეკის გამგეს ლელა გოგიაშვილს და ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ღირეექტორს ალექსანდრე ბუცხრიკიძეს.



კვირეულის ჩატარებას აქტიურად გამორეხმარა ე. ფოთის საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანება (ღირეექტორი ნუნუ ჭელიძე). სხვადასხვა სახის ღონისძიებები ჩატარდა ყველა საქალაქო ბიბლიოთეკაში. საინგერესო იყო შეხვედრები პოეტებთან: თენგიზ რამიშ-

ვილთან, ლამარა მურადელთან; № 1, № 2 და № 7 ბიბლიოთეკებმა ჩააგარეს ერთობლივი ღონისძიება — მკითხველთა ფორმულარების დასვა.

ქ ფოთის ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში 27 აპრილს გაიმართა საჩვენებელი ღონისძიება ინტერნეტითა და კომპიუტერით სარგებლობაზე.

30 აპრილს აქ კვლავ ჩაგარდა საჩვენებელი ღონისძიება ღვევიშის წიგნი, მკითხველი, ბიბლიოთეკარი. ღონისძიებაზე დააჯილდოვეს წლის საუკეთესო მკითხველი და ბიბლიოთეკარი.

14 აპრილს ქ. ზუგდიდის მთავარ ბიბლიოთეკაში (ღირექტორი ციხლა ფაცაცია) ჩაგარდა საჩვენებელი ღონისძიება თემაზე “ენაი შემკული და ღიღებული”. ღონისძიების მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მკითხველებმა, სტუდენტებმა, სასკოლო ბიბლიოთეკებმა.

მცხეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 22 აპრილს ჩაგარდა სსოენის საღამო, რომელიც მიემდინა ლ. ასათიანისა და მ. გელოვანის 85-ე წლისთავს. საინტერესო იყო პოეტი



სო იყო პოეტი კაპანაძის პირველი წიგნის სტუდენტთა ქოლგების პრეზენტაცია.

საინტერესო ღონისძიება ჩაგარდა საგურამოს, მისაქციელის, ვაზიანის, გალაგის და სხვ. ბიბლიოთეკა-ფილიალებში.

კვირეულის პროგრამით ბევრი

საინტერესო ღონისძიება ჩაგარდა გურჯაანის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (ღირექტორი თასო ცისკარიშვილი).



კვირეულის შესახებ ინფორმაცია გაერცეღდა ადგილობრივი ტელევიზიით, რადიოთი, დაიწერა გამოთქმა. კვირეულმა ცხადყო ბიბლიოთეკართა ერთსულოვნება, შემართება, ერთუმიანობა. მათ მცდელობას მხარში ედგნენ სასკოლო ბიბლიოთეკები, ადგილობრივი ინტელიგენცია, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები.

კვირეულს აქტიურად გამოეხმაურა საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკა (ღირექტორი ცისნამი მამისაშვილი).

კვირეულის პერიოდში მოეწყო შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან: ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა საგარეჯოელ პოეტებთან თამარ ურდულაშვილთან, ვენერა მამისაშვილთან და ნა-



თელა ჭანგურიასთან. სარაიონო საბავშვო ბიბ-

რითადად იყო პოემია, ღვაწლმოსილ ადამიან-


ლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა ბიბლიოთეკის ყოფილ თანამშრომლებთან: ნინო თარომანაშვილთან, ვენერა ჭამიაშვილთან და ნინო ქვლივიძესთან. № 15-ე და № 16-ე ბიბლიოთეკა ფილიალებში შეხვედრა მოუწევს პოეტ ბელა შალაშვილს და მწერალ რევაზ მიშველაძეს.


შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო საშუალო სკოლის დირექტორმა გურამ ჰაველიაშვილმა. ღონისძიებებმა ინგერესი გამოიწვია სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებში. თითოეული ღონისძიება მომზადებული იყო ბიბლიოთეკართა სიყვარულითა და ძალისხმევით.

სამგრედიის სარაიონო ბიბლიოთეკაში (დირექტორი ლამარა დუნდუა) მოეწყო შეხვედრა სამგრედიის მკვიდრ პოეტთან ნოდარ ადვიშვილთან. საინგერესო შეხვედრები მოეწყო ჯიხაიშის № 1, ნაბაკევის, გომის, ბელა ეწერის, საჯავახოს და სხვ. ფილიალებში. შეხვედრების თემატიკა დი-

რითადად იყო პოემია, ღვაწლმოსილ ადამიანთა შრომის დაფასება, მხარე წახალისება და ა.შ.

საინგერესო ღონისძიება შედგა კვირეულთან დაკავშირებით საჩხერის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი თ. ხვედელიძე). 26 აპრილს სხვიგორის სასოფლო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიგერატურული საღამო “ჩანგი გიკურთხოს ზენამა”; მხატვრული კითხვის საღამოები მოეწყო ჭალის, კალვათის, სპეთის, ქორეთის სასოფლო ბიბლიოთეკა ფილიალებში. მოხვის სასოფლო ფილიალებში მოეწყო შეხვედრა ადგილობრივი ინგელიგენციის წარმომადგენლებთან. საჩხერის საბიბლიოთეკო სისტემის მუშაკებმა კვირეულის პერიოდში გამოავლინეს შესაშური ერ-





ოსულოვნება, ენთუზიაზმი და მზადყოფნა, რათა ასეთ მძიმე ვითარებაშიც შეხედნენ მკითხველებს, თვალი გაუსწორონ სიძნელეებს, დასახონ ღონისძიებები, რომელთა გადაჭრა შესაძლებელი იქნება ადგილობრივი ძალებით.

საჩვენებელი მასობრივი ღონისძიებები გაიმართა ასპინძის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (ღირექტორი ვენერა შეყილაძე). მიუხედავად დიდი სიძნელეებისა და მძიმე მაგერიალური პირობებისა, რომელშიც ამჟამად იმყოფება ასპინძის ცენტრალური რაიონული და საბავშვო ბიბლიოთეკები, ბიბლიოთეკარებმა შეძლეს ეჩვენებინათ თავიანთი პროფესიონალიზმი და გამოცდილება. საინგერესო ღონისძიებები ჩაგარდა ცენტრალურ რაიონულ, საროს, ოშორის, ხიბავრის, იდუმალას, თმოგვის, თოკის, გოლოშის, ივერიის, რუსთავის და სხვ. ბიბლიოთეკა-ფილიალებში.

ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს დროულად ესმაურებოდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები. ასე იყო, მაგალითად, ჩოხაგაურის საბიბლიოთეკო გაერთიანების (ღირექტორი მ. მელუა) მიერ მოწყობილი სხვადასხვა სახის ღონისძიება, სადაც ესწრებოდა როგორც საკრებულოების, ასევე ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები. ამ მხრივ აღსანიშნავია რაიონული საბავშვო ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული ღონისძიება – ლიგერაგურულ-მუსიკალური კომპოზიცია ნ. დუმბაძის სახლ-მუზეუმში. მკითხველთა მოწონება დაიმსახურა გოგოლესუბნის, ბუკისციხის, ჩაისუბნის, შუასურების და სხვ. ბიბლიოთეკებში ჩატარებულმა საჩვენებელმა ღონისძიებებმა.

ყვარლის რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (ღირექტორი მ. აბესაძე) ჩატარებული ღონისძიებების დიდი ნაწილი ილია ჭავჭავაძის დაბადების 165-ე წლისთავს მიეძღვნა. პოემის საღამო ჩატარდა პოეგის სახლ-მუზეუმში. რაიონულმა საბავშვო ბიბლიოთეკამ ჩაატარა ლიგერაგურული დილა თემაზე “ჩემო კარგო ქვეყანავ”. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო კონკურსი “ვინ უკეთ იცნობს ილიას”.

ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (ღირექტორი ლ. ჩაჩუა). საინგერესო იყო აფხაზეთის ომში დაღუპულ ბორჯომელთა ხსოვნის დღე, რომელიც ჩატარდა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. შინაარსის მრავალმხრივობით გამოირჩეოდა მანავის, ყვიბისის, ცემის, ბაკურიანის, ახალდაბის, ქვაბისხევის, გაძრისის და სხვ. ფი-

ლიალების მიერ მოწყობილი ღონისძიებები. პოეგებთან, მწერლებთან, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებთან შეხვედრები მოეწყო ონის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (ღირექტორი ა. ერისთავი). საჩვენებელი ღონისძიებები ჩატარდა გლოლის, ლაგვანთის, ქვედის, ნაკიეთის და სხვ. სასოფლო ბიბლიოთეკებში.

ადიგენის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (ღირექტორი ვ. ლომაშვილი). შეხვედრები მოეწყო ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, ღვაწლმოსილ პედაგოგებთან და ბიბლიოთეკარებთან. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შეხვედრა მოეწვეს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს ნანა კიკაბიძეს და მხაგვარ ია მღებრიშვილს; კვირეულის პერიოდში საინგერესო ღონისძიებები ჩაატარა რაიონულმა საბავშვო ბიბლიოთეკამ.

უნდა ითქვას, რომ კვირეულის ჩატარების შესახებ ინფორმაციები რედაქციასა და საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობაში რაიონებიდან არ არის სრულად შემოსული. მაგრამ მასალების მოგადი მიმოხილვაც კი ცხადყოფს კვირეულის გამოძახილს და მასშტაბურობას.

საბიბლიოთეკო კვირეულის დღეებში ბევრი საინგერესო ღონისძიება გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და თბილისში მოქმედ უცხოურ ინსტიტუტებსა თუ დაწესებულებებში.

25 აპრილს საქართველოს ახაგაზრდა იურისტთა ასოციაციის საინფორმაციო ცენტრმა მოაწყო თავისი გამოცემების გამოფენა. გამოცემების მოკლე მიმოხილვას უძღვებოდა ცენტრის კოორდინატორი ირმა ალადაშვილი. დამსწრეთ ერთხმად აღიარეს უახლესი იურიდიული ლიგერაგურის მნიშვნელობა ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარებაში.

7 მაისს საქართველოს სახელმწიფო დამცველის აპარატში (ნ. დევდარიანი) მოეწყო შეხვედრა თემაზე “ადამიანთა უფლებების საინფორმაციო-სადოკუმენტაციო ცენტრი და საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელი, თანამშრომლობა და პერსპექტივები”. შეხვედრაზე განხილული იყო ადამიანის უფლებათა დაცვისადმი მიძღვნილი ლიგერაგურა, ქართული, ორიგინალური და უცხოურ ენებზე გამოცემული. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახალხო დამცველის აპარატმა ადამიანის უფლებათა დაცვის სერიით გამოცემული წიგნების პირველი პარტია უკვე დააგზავნა საქართველოს ცენტრალიზებული საბიბ-



ლიოთეკო სისტემის ყველა მეთავე ბიბლიოთეკაში, ამის შესახებ სპეციალურად იუწყებოდა ჩვენი ჟურნალი.

15-16 მაისს თბილისში მოქმედმა გერმანული კულტურის ცენტრმა (გოეთეს ინსტიტუტი) მოაწყო სემინარი თემაზე “ბიბლიოთეკები გერმანიის გაერთიანების დროს”. მოხსენება გააკეთა ქ. დრემდენის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ჰორსტ არენდ ფლემინგმა”. ორდღიანი შეხვედრა-სემინარის პერიოდში თბილისელი და სტუმრად ჩამოსული ბიბლიოთეკარები თვალნათლივ ეცნობოდნენ გერმანიის საბიბლიოთეკო ცხოვრებას. სემინარს ჰქონდა დიალოგის ხასიათი, ბიბლიოთეკარებს ყველაფერი აინტერესებდათ გერმანიის ბიბლიოთეკების შესახებ, რამედაც ბ-ნი ფლემინგი ხალისით და ამომწურავად პასუხობდა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 30 აპრილს გამოცხადებული იყო კვირეულის სამეიმო დახურვა. იგი აგარებდა სამეიმო ხასიათს. ეროვნულ ბიბლიოთეკას ესტუმრნენ კულტურის, განათლების, მეცნიერების ღვაწლმოსილი ადამიანები, ბიბლიოთეკის მკითხველები, ბიბლიოთეკარები, პრესისა და გელევიზიის მუშაკები. კვირეულის დახურვაზე მოეწყო საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის დოკუმენტაციისა და ჟურნალ “საქართველოს ბიბლიოთეკის” ბოლო ნომრების გამოფენა.

ამავე დღეს წინასწარგამოცხადებული ნომინაციების მიხედვით პრიზები (50 ლ. თითოეულს) გადაეცა ნომინაციებში გამარჯვებულ ბიბლიოთეკარებს:

ყველაზე ახალგაზრდა ბიბლიოთეკარის პრიზი:

ლეილა სანიკიძეს – ვანის რაიონის ზეინლარის სასკოლო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარს და ფაგი სოხაძეს – წყალგუბოს ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელს;

ყველაზე სტაჟიანი ბიბლიოთეკარის პრიზი:

თინა რუხაძეს – თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომელს;

დალი ლომთაძეს – თელავის რაიონის სოფ. ფშავლის № 32-ე ბიბლიოთეკის ფილიალის გამგეს;

ვენერა ძოწენიძეს – ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკის თანამშრომელს; ბიბლიოთეკარი – მკითხველთა სიმპათიის პრიზი:

ანჟელა მიქაძეს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო

ბიბლიოთეკის თანამშრომელს;

თინა ბაბუნაშვილს – წყალგუბოს რაიონის მუხიანის სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალის გამგეს;

მარინე ჩოჩიას – თბილისის მე-9 საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალის ბიბლიოთეკარს (დაჯილდოვა თბილისის საკრებულოს საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომისიამ); ყველაზე სწრაფი მომსახურებაში – პრიზი:

რუსუდან ფცქიალაძეს – ხარაგოულის ცენტრალური ბიბლიოთეკა

ნატო კობახიძეს – საქართველოს ლ. ასათიანის სახელობის რესპუბლიკური საბავშვო ბიბლიოთეკა –

ყველაზე ინფორმირებული ბიბლიოთეკარის პრიზი:

გიორგი გარდაფხაძეს – ქ. თბილისის № 10-ე საქალაქო ბიბლიოთეკის გამგეს;

ნანა ღებრაძეს – თერჯოლის რაიონის სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალის გამგეს;

ბიბლიოთეკარი ნოვაგორის პრიზი:

ლევან თაქთაქიშვილს – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალა თხელიძეს – მესტაფონის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელს;

მაღალკვალიფიციური კლასიფიკატორის პრიზი:

თინა უთქმელიძე – ხაშურის ცენტრალური ბიბლიოთეკის;

ნორა გაბუცაძეს – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თანამშრომელს;

ბოლო პერიოდში საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიის დარგში გაწეული ღვაწლისათვის – პრიზები გადაეცათ:

ეთერი თოხაძეს – თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილეს;

ქეთევან ნიკურაძეს – საქართველოს მ. გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილეს;

საბიბლიოთეკო კვირეულის პერიოდში ჩაგარებული ყველაზე შინაარსიანი და ორგანიზებული ღონისძიებების პრიზი

ნუგზარ გოგსაძეს – საქართველოს გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო გექნიკური ბიბლიოთეკის დირექტორს;

ფასიანს საჩუქრებით დაჯილდოვდნენ პა-

ტარა მკითხველები.

კვირეულის დახურვაზე ითქვა ბევრი სამადლო ბელო სიგყვა კვირეულის ორგანიზატორთა მისამართით; გამოითქვა სურვილი ასეთი ღონისძიების წახალისებისა და მასში ყველა უწყების ბიბლიოთეკების მონაწილეობის შესახებ; საბეიმო ნაწილი დაამშვენა ბავშვთა ანსამბლის კონცერტმა;

საბიბლიოთეკო კვირეულს გამოეხმაურა რესპუბლიკური პრესა; რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები ცდილობდნენ თანმიმდევრულად გაეშუქებინათ კვირეულის მიმდინარეობა; ფონდ “პორიზონტმა” გადაიღო სპეციალური კადრები, სადაც ნაჩვენებია იყო საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის საქმიანობა. კლიპი რამდენჯერმე აჩვენეს საქართველოს ტელევიზიის პირველი პროგრამით;


გაზეთ “საქართველოს რე-



სპუბლიკაში” (25 ივნისი), დაიბეჭდა ნათელა ფაილოძის სპეციალური სტატია “ბედი წიგნისა”, რომელშიც ლაპარაკია წიგნისა და ბიბლიოთეკის დანიშნულებაზე თანამედროვე პერიოდში. ავტორი მიმოიხილავს

კვირეულის მიმდინარეობას თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკებში; წერილში შეჯამებულია კვირეულის შედეგები და საგვასმულია, რომ ღონისძიებები ჩატარდა არა მარტო საჯარო, არამედ სხვადასხვა უწყებების სამეცნიერო თუ სპეციალურ ბიბლიოთეკებში; მკითხველს წიგნის შინაარსის წვდომის გარდა, მისი ბედი უნდა აინტერესებდეს, – ასკვნის ავტორი;

საბიბლიოთეკო





კვირეულის შესახებ ვრცელი ინფორმაცია დაიბეჭდა გაზეთ “თბილისში” (25 აპრილი); ამ ნომერში გამოქვეყნდა ინება ლეგაციის მდიანის ორი კორესპონდენცია “თქვენი ბიბლიოთეკა” და “თაობათა მადლიერება”. პირველ წერილში ავტორი ეხება კვირეულის მიზნებსა და ამოცანებს. ამ ნაწილში მართებულადაა აღნიშნული, რომ საჭიროა მიზანშეწონილად იქნეს გამოყენებული ბიბლიოთეკის უდიდესი პოტენციალი, გაიზარდოს ბიბლიოთეკებისადმი საზოგადოების ინტერესი, უკეთ იქნეს შესწავლილი მკითხველთა მოთხოვნილებები, ჩამოყალიბებულ იქნეს ბიბლიოთეკებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის ახალი ფორმები. ბიბლიოთეკები გადაიქცნენ პიროვნების განვითარებისა და დასვენების კერებად.

მეორე კორესპონდენცია ეხება თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის № მე-7 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მაყვალა რაზმაძე) მოწყობილ შეხვედრას დევიზით “ბიბლიოთეკა, წიგნი – მკითხველი”. ამ შეხვედრაზე თავი მოიყარეს ბიბლიოთეკის ყოფილმა მკითხველებმა განათლების, პოლიტიკისა და კულტურის სფეროდან, მათ შორის იყვნენ მთარგმნელი და პუბლიცისტი გურამ გოგიშვილი, თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორი ვასილ კიკნაძე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე, პარლამენტარი კობა იმედაშვილი და სხვები.

შეხვედრაზე საგანგებოდ აღინიშნა ბიბლიოთეკის გამგის მაყვალა რაზმაძის საგანგებო დამსახურების შესახებ, რომელსაც ახლახან დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. მაყვალა რაზმაძეს იუბილე მიულოცეს ნაწილი გოგაგიშვილმა, მანონ ხორავამ, ნინო მიშელაძემ და სხვებმა. პარლამენტარი კობა იმედაშვილი ბიბლიოთეკას დაპირდა დახმარებას მათ წინაშე მდგომი პრობლემების მოგვარებაში. ღონისძიებაზე მართლაც თაობათა მადლიერების გრძნობა იყო გამოთქმული მაყვალა რაზმაძის, და არა მარტო მისი მისამართით.

საბიბლიოთეკო კვირეული – ეს იყო უდიდესი მასშტაბური ღონისძიება, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც სპეციალისტებში, ისე ბიბლიოთეკებსა და მთელ საზოგადოებას შორის.

კვირეულის მასალაში დამუშავდა საქართველოს პარლამენტის პროცესული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრში





ლონისძიება, რომელმაც გამოაფინა ქართული საბიბლიოთეკო სამყარო

ბ. თაყნიაშვილი

საბიბლიოთეკო კვირეულმა ნამდვილად ერთგვარად გამოაფინა ქართული საბიბლიოთეკო სამყარო: ამ ღონისძიების მასშტაბი მთელი საქართველო იყო კვირეულმა ხელი შეუწყო ბიბლიოთეკისადმი საზოგადოების აზრის ჩამოყალიბებას, მის შემობრუნებას; მეორე დადებითი გენდენცია გამოიხატება იმაში, რომ კვირეულმა ხელისუფლების ორგანოებისათვის ცხადყო ბიბლიოთეკებისადმი სახელმწიფო პოლიტიკის, სახელმწიფო მიდგომის გაუმჯობესების აუცილებლობა. ბიბლიოთეკები თავიანთი საინფორმაციო, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ამოცანების შესრულებით ხელს უწყობენ ინფორმირებული, განათლებული მოქალაქის ჩამოყალიბებას. ამდენად, ამ დაწესებულების ნორმალურ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფოს საინფორმაციო და საგანმანათლებლო პოლიტიკის სწორად და შედეგიანად წარმართვა. საბიბლიოთეკო კვირეულმა ქართული საბიბლიოთეკო ძალების საგრძნობი კონსოლიდაცია და კოორდინირება გამოიწვია. კვირეულის პროგრამით ჩატარებულ ღონისძიებებში თანაბრად მონაწილეობდნენ სხვადასხვა უწყების ბიბლიოთეკები, გარდებოდა ერთობლივი ღონისძიებები და ა.შ. ამ მხრივ ყურადსაღებია როგორც რესპუბლიკური, ეროვნული, ასევე დიდი სამეცნიერო ბიბლიოთეკების აქტივობა. კვირეულის დროს წარმოჩნდა ბიბლიოთეკართა შემოქმედებით უნარი, სიახლის ძიებისადმი შეუხედელები მისწრაფება და მათი შემართება – მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში ერთგულნი დარჩნენ თავიანთი პროფესიისა; კვირეულის განმავლობაში ქართული საბიბლიოთეკო პრაქტიკა გამდიდრდა საზოგადოებასთან, მკითხველებთან ურთიერთობის ახალი ფორმებით. ბევრმა გრადიციულმა ფორმამ შეიძინა ახალი დაგვირთვა და შინაარსი; ბიბლიოთეკებისათვის კარგადაა ცნობილი ისეთი ღონისძიების ეფექტურობა, როგორიცაა შეხვედრები კულტურის, განათლების, ხელოვნების მუშაკებ-


თან, მწერლებთან, ბიზნესმენებთან, მენეჯერებთან, საზოგადოებრივი ფონდების წარმომადგენლებთან. საინტერესოდ ჩაგარდა შეხვედრა ავტორებთან, წიგნების პრეზენტაციები, ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები; ყველა ამ ღონისძიებას წითელ მოლად გასდევდა მკითხველი საზოგადოების ინტერესის გათვალისწინება, მათი დასწრება და თანადგომა.

საბიბლიოთეკო კვირეულმა ცხადყო, რომ საბიბლიოთეკო რესურსების ოპტიმალური გამოყენებისათვის აუცილებელია მათი თანდათანობითი კომპიუტერიზაცია, რის გარეშეც ბიბლიოთეკები ვერ ასრულებენ თავიანთ საინფორმაციო ფუნქციებს.

ყველა ბიბლიოთეკაში, განსაკუთრებით კი თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკებში ამკარად იგრძნობოდა თანამედროვე საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების აუცილებლობის მოთხოვნა; ბიბლიოთეკართა დიდი ნაწილი გამოთქვამდა მზადყოფნას მკითხველთა სამსახურში თამამად ჩააყენოს ახლი ტექნოლოგიები, თუკი ბიბლიოთეკები აღიჭურვება კომპიუტერებით.

საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში მოწყობილ შეხვედრებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებზე ბიბლიოთეკარებმა, უპირველეს ყოვლისა, პატივი მიაგეს თავიანთი პროფესიის ერთგულ, ღვაწლმოსილ და ამავდარ ბიბლიოთეკარებს; მათთან მოეწყო გულთბილი შეხვედრები, ითქვა მრავალი სამადლობელო სიტყვა.

საბიბლიოთეკო კვირეულმა ერთხელ კიდევ ცხადყო საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციის აქტიური როლი ქართულ საბიბლიოთეკო პოლიტიკაში. მათი კოორდინაციული თანამშრომლობა მომავალში მეტ სასიკეთო საქმეს გააკეთებს საბიბლიოთეკო სფეროში. კვირეულის ორგანიზებულად წარმართვას იმთავითვე მხარს უჭერდა და პრაქტიკულად უწყობდა ხელს საქართველოს კულტურის სამინისტრო, რესპუბლიკური საბავშვო, ახალგაზრდობის, სახელმწიფო



გექნიკური, მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო და სხვა. მთავარი ბიბლიოთეკები. რაიონული ბიბლიოთეკებიდან შეიძლება აღინიშნოს წყალგუბოს, გორის, ხაშურის, სენაკის, ქუთაისისა და ფოთის საქალაქო ბიბლიოთეკები, რომ არაფერი ვთქვათ თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკებზე, რომლებზედაც ბევრი ითქვა და დაიწერა.

საბიბლიოთეკო კვირეულის ორგანიზაციები მადლიერებით მოიხსენიებენ კარნეგის ფონდსა და ფონდს



“ღია საზოგადოება – საქართველოს”, რომელთა ეკონომიკურმა მხარდაჭერამ ბევრად განაპირობა კვირეულის წარმატება.

საბიბლიოთეკო კვირეულს, რა თქმა უნდა, ჰქონდა ხარვეზები, ნაკლოვანებები; ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია ობიექტური გარემოებით მძიმე სოციალურ პირობებით, საბიბლიოთეკო საქმის მაგერიალურ-გექნიკური ბაზის დაბალი დონით, ინფორმაციის მისაწვდომობის, სიძნელით განსაკუთრებით საქართველოს მთიან რეგიონებში. ყველაფერი ეს ერთად აღებული, შეიძლება ჩათვალოს კვირეულის ჩრდილოვან მხარედ.

რამდენიმე სიგყვა აგრეთვე უნდა ითქვას არაობიექტური კატეგორიის ნაკლოვანებებზეც – ძირითადად კვირეული იფარგლებოდა მასობრივი (გრადიციული) ღონისძიებებით, ნაკლებად იყო საწარმოო საკითხების გაშუქება. საბეიმო ღონისძიებები, კონკურსები საუკეთესო მუშაკების გამოსავლენად წამახალისებელი ღონისძიებები, დიდი კომპლექსური ღონისძიებები –

თეატრებთან, რადიოგელევიზიებთან, სკოლებთან ერთად და სხვ.

უეჭველად უნდა გამოითქვას საყვედური მასმედიის მისამართით – არ იყო სათანადო დაინგერესება. განსაკუთრებით თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარებული

ღონისძიებებით, ნაკლებდ გაშუქდა მასალები, რომლის მნიშვნელობა ნამდვილად მეტყურადლებას იმსახურებდა საზოგადოების მხრივ.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს კულტურისა და განათლების სამინისტროები იმედს გამოთქვამენ, რომ საბიბლიოთეკო კვირეული მომავალ წლებში უფრო ორგანიზებულად ჩატარდება და კიდევ უფრო აამაღლებს ბიბლიოთეკის როლს ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში.

გულნარა სტურუა

საქართველოს ბიბლიოთეკებს, ისევე, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების ბიბლიოთეკებს, კულგ-მასობრივი ღონისძიებების ჩატარების დიდი გამოცდილებით ნამდვილად შეუძლიათ დაიგრაბახონ!

ღონისძიებების მიზანი მკითხველთა ფართო მასების მოზიდვა იყო. თითოეულ ღონისძიებას წითელი ზოლივით გასდევდა საბჭოთა (კომუნისტური) იდეოლოგია დიდი საბჭოთა სამშობლოსა და მისი მმართველობის, სამართლიანობის, დემოკრატიულობის, თანასწორუფლებიანობის, უმუშევრობის აღმოფხვრის, ლალი ცხოვრებისა და კომუნიზმის შესახებ.

ყოველი ღონისძიების შემდეგ იწერებოდა მოხსენებითი ბარათი, ოქმი, სადაც, შეეფერებოდა სინამდვილეს თუ არა, აღინიშნებოდა ღონისძიების შედეგად შემომავებული მკითხველთა რაოდენობა. ე.ი. საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდა და ამ იდეოლოგიის გამზიარებელი ხალხის რეგისტრირება იყო ძირითადი მიზანი ბიბლიოთეკებში შემოქმედებითი ღონისძიებებისა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკებს მკითხველი აკლდა და ღონისძიებებით ავსებდნენ მას! არა, მსოფლიო კლასიკოსთა ნაწარმოებები, რომელიც პოლიტიკურ ლიგერაგურასთან ერთად შემოდოდა ბიბლიოთეკებში, მკითხველს ყოველთვის უბიძგებდა ბიბლიოთეკებისაკენ, ოღონდ მათზე (მკითხველებზე) ამ ძვირფას ნაწარმოებებთან ერთად პოლიტიკური ლიგერაგურაც უნდა ყოფილიყო გაცემული.

საბჭოთა საბიბლიოთეკო პოლიტიკამ, მიუხედავად მცდელობისა, რომ ბიბლიოთეკები ყოფილიყო კეთილმოწყობილი და კანონით დაცული, მას ავგორიგეტი ვერ მოუგანა. პირიქით... მთავრობისა და პარტოკრატიის აღიანსმა, მოსახლეობის გედა ეშელონების კორუფციის წუმპეში ჩაფლობამ, ჩვეულებრივი მომსახურის ხელფასს სიმბოლური მნიშვნელობა მისცა, რადგან იგი ვერ უზრუნველყოფდა ადამიანის ელემენტარულ მოთხოვნილებებსაც კი. ხელისუფლების ამორალობამ ხალხს გზა გაუხსნა... დაივიწყეს უფლებები და მოვალეობები. მოხერხებული ადა-

მიანები ისეთ სამსახურებში და სამუშაო ადგილებზე ცდილობდნენ დაფუძნებას, საიდანაც მეტი მაგერიალური სარგებლობის მიღება შეეძლო. ასეთები იყო რაიკომები, რაიაღმასკომები, სამართალდამცველი ორგანოები, ძალოვანი სტრუქტურები და სხვა. ასეთ გარემოებაში რესტორნები და სავაჭრო დაწესებულებებიც კი მეტი ავგორიგეტი სარგებლობდნენ, ვიდრე ბიბლიოთეკები, მუზეუმები და ა.შ. ისინი თამაშარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ერთი სიგყვით, იმ დაწესებულებებმა, სადაც “ფული არ კეთდებოდა”, ადამიანებისათვის დაკარგა ხიბლი, მიმბიდველობა, ავგორიგეტი... ბიბლიოთეკარობა ძალზედ უფერულ სპეციალობად იქცა. ზოგი მას თავშესაქცევ პროფესიად მიიჩნევდა. სამწუხაროდ, ბიბლიოთეკარების უდიდესი ნაწილი ამ უკანასკნელ ამრს ამართლებდა კიდევ. ისინი მართლაც თავშესაქცევად, ხანდახან მონაცვლეობით, ზოგჯერ იშვიათადაც კი დადიოდნენ სამსახურებში, მოვალეობის შესრულების ნაკლებმა პასუხისმგებლობამ ბიბლიოთეკარებშიც დაისადგურა. მართალია, ამდაგვარ სულისკვეთებას გამართლება არა აქვს, მაგრამ ასეთი იყო სოციალურ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომწვეული სინამდვილე.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბიბლიოთეკაში დასაქმებულია 20-30%-ი ენთუზიაზმზე და ნიჭიერებაზე დაყრდნობით იქ საქმე მაინც კეთდებოდა, მათი დამსახურებაა, რომ დღეისათვის ბიბლიოთეკები ფეხზე დგანან...

ამჟამად, როგორც ვიცით, საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და აქ ახალი პოლიტიკური წყობილება იკიდებს ფეხს, რასაც თან ახლავს სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები. ცხოვრების ახალი წესის შემოსვლის პროცესმა ათასგვარი პრობლემის წინაშე დააყენა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ღროის მოსაყვანად ქართველი ხალხი ათეული წლების მანძილზე იღვწოდა და იბრძოდა, მან მაინც დაბნეულობა, გაურკვეველობა გამოიწვია. საზოგადოება მზად არ აღმოჩნდა ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური წყობილების მისაღებად. მოამზოვნე ადამიანები, სა-

ხელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად ამოქმედდნენ. ამ გზაზე უამრავი შეცდომებია დაშვებული. დედაქალაქი გაივსო საეჭვო პოლიტიკოს-საქმოსნებით. ცენტრალურ უბნებში აშენდა ინდივიდუალური სასახლეები, უზარმაზარი მრავალსართულიანი ფეშენებელური სახლები. ქუჩებში ერთმანეთს გვერდს ვერ უვლიან უძვირფასესი ავტომანქანები. მაგრამ იქვე, ეკლესიებთან, სუპერმარკეტებთან უამრავი მათხოვარი დგას. სახელმწიფო მეგისმეგად დაუძლურებულია. ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულა ხალხის დიდი ნაწილი ყველა ღონეს და გზას მიმართავს თავის გადასარჩენად, მაგრამ ეს გზა დამლუკველია: ყაჩაღობა, მათხოვრობა, მეძავობა ძირს უთხრის ქვეყანას. ნიჭიერი ახალგაზრდების დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გადაიხვეწა, ნაწილი უმუშევართა კოლონიებს შეუერთდა... ინტელიგენცია დეპრესიაშია. სიდუხჭირის ამ ეპოქამ უკვე ათი წელი აითვალა. დრო მიდის უკეთესობა ძნელად თუ შეიმჩნევა და მაინც ყველაფერი დაღუპული როდია. საზოგადოების მორალურად ძლიერი ნაწილი საქართველის სახელმწიფოებრიობისათვის იღვწის. მისი აშენების გზებს ეძებს. ამ მოღვაწეობაში, მშენებლობის ძიებაში ჩვენ – ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალისტები, უდიდეს როლს ვანიჭებთ მორალურად, შინაარსობლივად, გექნიკურად გამართულ სრულიად ახალ, თანამედროვე ბიბლიოთეკას.

აი, ასეთი დაგვირთვა ჰქონდა წელს იმ ხალხსიან, მიზანმიმართულ, შემოქმედებით ღონისძიებებს, რომელიც საქართველოს საბიბლიოთეკო და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციებმა საქართველოს მასშტაბით ჩააგარეს.


საინტერესო და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბიბლიოთეკის ქართველმა სპეციალისტებმა ქვეყნის მშენებლობაში დიდი წვლილის შეგანის გოლფასად მიიჩნიეს საბიბლიოთეკო საქმის მოდერნიზაცია. ამ დიდ საქმეში გამოცდილ პროფესიონალებთან (ალ. ლორია, გურამ თაყნიაშვილი, ირინე ჭანგურიშვილი, თემურ ჩხენკელი) ერთად დგანან მათი მომდევნო ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები ირაკლი ღარიბაშვილი, გიორგი შათირიშვილი, ლევან თაქთაქიშვილი, ირინე ჩხენკელი და სხვები. ცოლნით, განათლებით, საქმისადმი პაგიოსანი, სპეგაკი დამოკიდებულებით, თანამედროვე იდეებით აღჭურვილი ეს ადამიანები საქართველოს საბიბლი-

ოთეკო და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციების დაფუძნებით და ამოქმედებით ბევრი საინტერესო საქმიანობის წამომწყებია. დიას, საქართველოს საბიბლიოთეკო საქმეს, რომელსაც ბევრისთვის მოულოდნელად (გაურკვეველადაც!) ასეთ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ჯერ-ჯერობით აღნიშნული ორი ასოციაცია უდგას სათავეში. ისინი ახრხებენ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, კულტურის და განათლების სამინისტროებთან ერთად მჭიდრო ურთიერთობით ქვეყნის აღმავლობისათვის მოღვაწეობას და ამოქმედებას.

რაგომ ფიქრობთ, რომ ახალი, თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობაში ბიბლიოთეკები დიდ როლს შეასრულებენ?

ამ შეკითხვაზე პასუხი ნაწილობრივ უკვე გაცემულია ქურნალის წინა ნომრების გ. სკურუას, ი. ღარიბაშვილის და სხვათა სტატიებში. დღეისათვის უკვე არავის ეპარება ეჭვი იმაში რომ, ინფორმაციული რევოლუცია, რომელიც უძლიერეს ზეგავლენას ახდენს მსოფლიო საზოგადოების გრადიციონალურ-ნაციონალურ კულტურებზე, საქართველოშიც დაიწყო. ინფორმაციული ცივილიზაციის ეს როლი სხვამ ვინ უნდა შეასრულოს თუ არა ბიბლიოთეკებმა! წიგნადი ფონდების, თუ ნებისმიერი საბიბლიოთეკო დოკუმენტაციების ის უზარმაზარი ბაზა, ინფორმაციის მიღებისა და გაცემის, მუშაობის სტრუქტურის, საზოგადოების მომსახურების და მასთან ურთიერთობის საბიბლიოთეკო გამოცდილება გვაძლევს საფუძველს, რომ საქართველოს ბიბლიოთეკები შესძლებენ საზოგადოებაში მეცნიერულ-გექნიკური პროგრესის დანერგვას, ცოდნაზე დაყრდნობილი ინფორმაციული საზოგადოების განვითარებისათვის ხელშეწყობას. ისევე, როგორც ეს მოხდა განვითარებულ ქვეყნებში.

იმისათვის, რომ საზოგადოებამ იგრძნოს ინფორმაციული ცივილიზაციის ქვაკუთხედის – ბიბლიოთეკების თანამედროვე როლის მნიშვნელობა, საჭიროა, რაღაც მექანიზმის ამუშავება საზოგადოებას და ბიბლიოთეკებს შორის. ეს მექანიზმი სწორედ Public Relations-ია რომელზედაც, დღეს ბევრს საუბრობენ და რაც ნიშნავს, “საზოგადოებაზე მიმართულ გეგმამომიერ ხანგძლივ გემოქმედებას, მანამ სანამ არ ჩამოყალიბდება ურთიერთგამგები კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ორგანიზაციებსა და საზოგადოებას, მომხმარებელსა და დაწესებულებას შორის”.



აი, რაგომ არის აუცილებელი ღონისძიებები ანუ შეხვედრები ჟურნალისტებთან, პოლიტოლოგებთან, ბიზნესმენებთან, კულტუროლოგებთან, ხელოვანებთან და მეცნიერების ნებისმიერი დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან. საუბრები, დისკუსიები ხალხთან, წიგნებისა და გამომცემლობების პრეზენტაციები, ფულისა და სახსრების მოპოვების მიზნით კონგაქტები, ღია სამოგადოებებთან პროექტების შემუშავება, გრანტებზე წარდგენა – დაე, დაინახოს ყველამ, რა სურს ბიბლიოთეკას. რა შეუძლია მას გააკეთოს ხალხისათვის. ხალხიც დარწმუნდეს, რომ ბიბლიოთეკა თითოეული მათგანის აუცილებელი თანამგზავრია, რომ აქ შეიძლება დაისვენო, წაიკითხო, ინფორმაცია მიიღო, ცხოვრებაში გზა გაიკვალო, მიღებული ცოდნის გამოყენება ისწავლონ, მოუსმინო და მოგისმინონ.

ასე, რომ ბიბლიოთეკის კვირეულის ღონისძიებები, რომელიც ღვეფიშვილი "თქვენი ბიბლიოთეკა" აპრილის თვეში (და შემდგომაც...) საქართველოს მასშტაბით ჩაატარა საქართველოს საბიბლიოთეკო და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაციებმა, იყო სულ სხვა შინაარსით დატვირთული, ვიდრე ის ღონისძიებები, რომლებიც საბჭოთა ბიბლიოთეკებში გარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ბიბლიოთეკარსა და ბევრ მომხმარებელს ჯერ კიდევ არ ესმის თანამედროვე ბიბლიოთეკის როლი და ავტორიტეტი, დღესაც ბიბლიოთეკარების ღირსი ნაწილი აქცენტირებული არიან მხოლოდ საბიუჯეტო ხელფასზე და არა იმაზე, თუ როგორ იმუშავონ ახლებურად, რათა მოიპოვონ კარგი ხელფასი, უკეთესი პირობები, თუ როგორ შექმნან მაგერიალურ-ტექნიკური ბაზა. თუ როგორ აიძულონ და ჩართონ თანამედროვე ბიბლიოთეკის შექმნის ურთულეს პროცესში მომხმარებელი, ადგილობრივი თუ გემდგომი ხელმძღვანელი ორგანოები.

თანამედროვე ბიბლიოთეკარი მხოლოდ მკითხველთა შეკითხვების მოპასუხედ კი არ უნდა გვევლინებოდეს, არამედ ბიბლიოთეკით სარგებლობის კულტურის გარდა უნდა აიგივებდეს მკითხველში თანადგომის, თანამოაზრის პოზიციას. სხვაგვარად დღეს ბიბლიოთეკას გაუჭირდება, მხოლოდ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს იმ საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას, რომელიც თანამედროვე ბიბლიოთეკების საყრდენი ძალაა.

ბიბლიოთეკების კვირეულის ინტერესებში შედიოდა აგრეთვე ადამიანთა რესურსები, ანუ შიდასაბიბლიოთეკო ცხოვრებაში მოღვაწე ბიბლიოთეკარების შემოქმედებითი უნარის შესაძლებლობების, ნიჭის გამოქვეყნება. ჩვენი მკითხველისთვის არ იქნებოდა უინტერესო ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოკვლეული მასალებიდან, სადაც საუბარია ადამიანის პოტენციალის განვითარების პრობლემაზე. ამტკიცებენ, რომ განვითარებული ქვეყნების ნაციონალური სიმდიდრის მთავარი კომპონენტი ადამიანის პოტენციალია, რომლის წილი 65%-ია, მაშინ როცა, ინფრასტრუქტურების წარმოების მხოლოდ 20%-ია და ბუნებრივი რესურსების კი დაახლოებით 15%.

საბიბლიოთეკო კვირეულის ერთ-ერთი მიზანი ნიჭიერ სპეციალისტთა წარმოჩენაც იყო. ამაზე მეტყველებს კვირეულის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ ჩამოთვლილი ნომინაციები და ამ ნომინაციებში გამარჯვებულთა დაჯილდოება. დაჯილდოების ცერემონიალში სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა კი PR-ის პრაქტიკული ამოქმედება იყო.

ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი სწორედ იმ კვირეულის მასალებს ასახავს, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონების ბიბლიოთეკებიდან მოვიპოვეთ.



მშვენიერების სამყაროში

დავით როსტომაშვილი
მე_19 ბიბლიოთეკის მკითხველი

სიყვარული, სიბო, გულწრფელობა, ამრთა გაზიარება – ასეთ სამყაროში მოხვედრა დიდ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს.

2002 წლის 23 მაისს ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე 19-ე ბიბლიოთეკაში შეხვედრა მოეწყო თანამედროვეობის უდიდეს რეჟისორთან, საქართველოს სახალხო არგისტთან ბაგონ თემურ ჩხეიძესთან.

საღამოს შესავალი სიგყვით გახსნა ბიბლიოთეკის გამგემ გულიკო კვიციანიძემ – “რა ბედნიერებაა, რომ ჩვენს საზოგადოებაში არსებობენ ისეთი ადამიანები, როგორც ბაგონი თემური ჩხეიძეა. ამ შეხვედრისათვის დიდ ხანს ვემზადებოდით, გვინდოდა მის მიმართ ჩვენი პატივისცემის გამოხატვა!”

თემურ ჩხეიძის სარეჟისორო მოღვაწეობაზე ისაუბრა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა პროფესორმა ნადია შალუგაშვილმა: “ჩემი სიხარულია ის, რომ თემურ ჩხეიძე ჩემი სტუდენტი იყო. მასსოვს აუდიტორიაში იჯდა მშვიდი სახით დიდი შინაგანი კულტურის მქონე ახალგაზრდა. თემურ ჩხეიძის შემოქმედებაში ძირითადი მოტივი არის ადამიანი, მისი შინაგანი სამყარო მთელი თავისი მსოფლმხედველობით. რეჟისორი ეძებს მიზეზებს, თუ რატომ არის ადამიანში უარყოფითი საქციელი, რა არის ამის მიზეზი, რამ წარმოშვა “ჯაყოშიში” როგორც ასეთი.

საღამომე ლექსები წაიკითხეს ბიბლიოთეკის მკითხველებმა, პაგარა ილია ჯიმშელიშვილმა, საკუთარი ლექსები უძღვნეს სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტებმა: ნანა კაპანაძემ და სოფო სილაგაძემ. ახალგაზრდა პოეტმა პაატა შამუგიამ საკუთარი ლექსების კრებული გადასცა რეჟისორს. თეატრმცოდნე დავით სოლომნიშვილმა წაიკითხა თემურ ჩხეიძის ხელნაწერი წიგნიდან “კვლევისა და ძიების დიდი გზა”, რომელიც პროფესორ ნადია შალუგაშვილს ეხება.

საქართველოს სახალხო არგისტმა ნინიკო ჩხეიძემ თემურ ჩხეიძესთან, როგორც რეჟისორთან, მისი პირველი შეხვედრა გაიხსენა. ეს

მოხდა სპექტაკლში დ. კლიაშვილის “უბედურება”, სადაც პელაგიას ვთამაშობდი. რეპეტიციის დროს იგი მაკვირდებოდა მშვიდი, ამრიანი თვალებით, არაფერი გამოეპარება მის უძლიერეს გონებას. შენიშვნას ისე გაგიკეთებს გულს არ გატკენს”...


ბეირფას რეჟისორს მიესალმა ბაგონი კარლო გარდაფხაძე, რომელმაც აღნიშნა ასეთი ღონისძიებების განსაკუთრებული მნიშვნელობა დღევანდელი საზოგადოებისათვის.

თბილისის 54-ე საშუალო სკოლის მკითხველმა, ინგლისური ენის პედაგოგმა – რუსუდან გახოკიძემ გამოთქვა აზრი, რომ ადამიანი სკოლიდანვე უნდა ეცნობოდეს თეატრის სამყაროს, რისი საშუალებაც, სამწუხაროდ, დღევანდელ სკოლებში არ არის.”

თბილისის ბიბლიოთეკების გაერთიანების მეთოდისტმა, ნანული გოგაგიშვილმა, სიამოვნებით გაიხსენა სოფიაში ყოფნის დროს ნანახი თემურ ჩხეიძის “ოცელო” და ის სიხარული, რომელიც მას ქართული თეატრით მოხიბლულმა უცხოელებმა განაცდევინეს.

საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის დამფუძნებლები, ქალბატონი მზია რაზმაძე და გულნარა სტურუა. ამ უკანასკნელმა, ხაზი გაუსვა ბიბლიოთეკების როლს საზოგადოებასთან ურთიერთობაში. “ბიბლიოთეკა არის ცოდნის, განათლების, ინფორმაციის, ესთეტიკური სიამოვნებისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, სოციალური პირობების გაუმჯობესების საშუალებების ძიების ცენტრი. ბიბლიოთეკასთან თანადგომით, მასთან ურთიერთობის თანამედროვე ფორმებით ხელი შეეწყობა საზოგადოების წინსვლას,” აღნიშნა მან.

მოწვეულნი იყვნენ ბიბლიოთეკარები ალ. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრიდან, რომელთანაც ბიბლიოთეკას კარგი კონტაქტები აქვს.



აქედრდა წმინდა პანგელეიმონის ეკლესიის გუნდის მიერ შესრულებული მრავალკამერი. მომღერლებმა გურანდა და ბაღრი ჯიმშელიშვილილებმა ხელოვანს მთავრთვეს საგალობლების აუდიო კასეტა.

ქალბატონმა ნინო ჩხეიძემ ბიბლიოთეკას უსახსოვრა უშანგი ჩხეიძისა და საკუთარი ბუკლეტები. ღონისძიებას ესწრებოდა ცნობილი ქართველი პოეტის გიორგი ქუჩიშვილის ძმიშვილის (დავით ჩხეიძე – თურდოსპირელის) ქალიშვილი, მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ქალბატონი ლამბირა ჩხეიძე. მანთავისი ამრი შემოგვთავაზა თემურ ჩხეიძის რეჟისორულ ხელწერაზე: “ეს არის ადამიანის კრიზისული სიტუაციების ახსნის ცდა და მისი დამოკიდებულება გარე სამყაროსთან. მისი გმირი ალგერნაგივის წინაშე დგას, ან სულიერად უნდა განახლდეს შინაგანი გაორების, მერყეობის დაძლევის გზით, ან უნდა დაუღუპოს. იგი გრძნობს უფსკრულის სიღრმეს, ბედისწერის ზოგჯერ ისტორიული, ზოგ-

ჯერ პიროვნული სულის გამყინავ გამოხედვით, სამყაროს მოდელი, რომელიც მის სპექტაკლში შია წარმოდგენილი – ეს არის გათიშვისათვის, რღვევისათვის განწირული სინამდვილე”...

სალამოს დასასრულს ბატონმა თემურმა ბრძანა: “ჩემთვის მთავარია მაყურებელი, ვისთვისაც ჩვენ ვმუშაობთ. დასანანია, რომ მაყურებელთა ის კატეგორია, რომელთაც საშუალება არა აქვთ, გარეთ რჩება, ეს გასათვალისწინებულია. რაც შეეხება დროს, ბევრი კარგი რამ კეთდებოდა ადრეც, ამის დავიწყება შეუძლებელია. ამ ურთულეს პერიოდში, ჩვენი მიზანი უნდა იყოს სიკეთე და თანადგომა, რათა არ გაგვიჭირდეს მძაფრ რეალობასთან შეხვედრა. ჩემთვის დღევანდელი დღე დასამახსოვრებელია. ბიბლიოთეკა ეს ის ადგილია, სადაც ადამიანები ერთმანეთს უნდა ხვდებოდნენ, უზიარებდნენ ამრებს, შთაბეჭდილებებს...”

მადლობა ასეთი შეხვედრისათვის!






სიახლე აჭარის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში

გენალი მახარაძე
აჭარის ავტ. რესპ. სახელმწიფო რეს-
პუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი

2002 წლის 23 თებერვალს აჭარის აკაკი
წერეთლის სახელობის ავტონომიურ რესპუბლი-
კურ ბიბლიოთეკაში შედგა ინგლისური ენის კა-
ბინეტის პრეზენტაცია. მისი უშუალო დამფუძნე-
ბელია საქართველოს ინგლისური ენის მასწავ-

ლებელთა ასოციაციის დი-
რექტორი რუსუდან გყაბ-
ლაძე, რომელმაც საქარ-
თველოში აშშ საელჩოს
გრანტით აჭარის ავტონო-
მიურ რესპუბლიკურ ბიბ-
ლიოთეკას, მეტად საჭირო
ტექნიკური აღჭურვილო-
ბა, ინვენტარი და ინგლისუ-
რენოვანი ლიგერატურა



გადასცა. კერძოდ , ერთი კომპლექტი კომპიუ-
ტერული ტექნიკა ინტერნეტში უფასო დაშვების
პროგრამით, 353 სახელწოდების 725 ეგზემპლარ-
ი საწავლო-სახელმძღვანელო და სხვ. სახის ლი-
გერატურა. 90 ცალი აუდიო-ვიდეო კასეტა, ერ-
თი ორკასეტიანი მაგნიტოფონი “სონი”, ერთი მო-
სასმენი, ოთხი წიგნების კარადა, ორი მაგიდა, ხუ-
თი საეარძელი, აგრეთვე დაფინანსდა ერთი შგა-
ტი კომპიუტერზე მუშაობის შესწავლისათვის ფა-
სიან კურსებზე.

კაბინეტის გახსნას ესწრებოდნენ აჭარის
მინისტრთა საბჭოს განათლებისა და კულტურის
განყოფილების უფროსი ბაზა მარუაშვილი, ამა-
ვე განყოფილების სპეციალისტი ერმილე მესხია,
აჭარის კულტურის მინისტრის მოადგილე ამირან

კილურაძე, სახ. უნივერსიტეტის პროფ. –მასწავ-
ლებლები, ინგელიგენციის წარმომადგენლე-
ბი. აღნიშნულმა მოვლენამ დიდი ინტერესი გამო-
იწვია აჭარის საზოგადოებაში.

ბიბლიოთეკისათვის დიდ მიღწევად უნდა

ჩაითვალოს ის, რომ
აშშ საერთაშორისო
კვლევისა და გაც-
ვლის საბჭომ (“აი-
რექსი”) ბიბლიოთე-
კას გადასცა ექვსი
კომპლექტი კომპი-
უტერული ტექნიკა
ინტერნეტში უფასო
დაშვებისა და სწავ-

ლების პროგრამით, ერთი სკანერი, ერთი დამა-
ტებითი ელექტროკვების გენერატორი, გამოიყო
ინტერნეტის საგრანტიგო ხაზი. ქსელი ჩართულია
შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით. აღნიშ-
ნულ ორგანიზაციასა და ბიბლიოთეკას შორის და-
დებული ხელშეკრულების თანახმად, ინტერნე-
ტით სარგებლობის ყველა ხარჯებსა და ინჟინერ-
მასწავლებლის ერთ საშტატო ერთეულს შემ-
დგომშიც “აირექსი” დააფინანსებს. 2002 წლი-
სათვის გათვალისწინებულია აღნიშნული ცენ-
ტრის გაფართოება-გაძლიერება.

ბიბლიოთეკაში ყველა პირობა შეიქმნა
იმისათვის, რომ დაიწყოს მომხმარებელთა ფარ-
თომასშტაბიანი კომპიუტერული მომსახურება.



ჩვენს ქვეყანაში მძიმე პირობებია შექმნილი როგორც ინფორმაციის საყოველთაო გავრცელების, ისე პუბლიკაციისათვის. გართულებულია საკვალიფიკაციო ნაშრომების რეალიზაციისათვის საჭირო მასალის გამოქვეყნება და რეფერირება, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია თანამედროვე საინფორმაციო ახალი ტექნოლოგიების გაუთვალისწინებლობით. ეს საგრძნობლად აფერხებს მეცნიერული კადრების განვითარების ბუნებრივ პროცესს. ამდენად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს “ბუდაპეშტის ინიციატივა”, რის განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს ჩვენში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

ჩვენს მკითხველებს მცირე შემოკლებით ვთავაზობთ ამ ინიციატივის საფუძველზე საქციალისტთა მიერ შექმნილ დოკუმენტს, რომელიც მათ მიერ ხელმოწერილ იქნა ბუდაპეშტში მიმდინარე წლის 14 თებერვალს. იმდეს გამოვთქვამთ, შესაბამისი ორგანიზაცია-დაწესებულებები და კერძო პირები სათანადოდ გამოეხმაურებიან მას.

2001 წლის 1-2 დეკემბერს ბუდაპეშტში ინსტიტუტის “ღია საზოგადოების” მიერ ჩატარდა საერთაშორისო შეხვედრა, რომელმაც დაისახა ამოცანა, გააქტიურდეს ძალისხმევა ინტერნეტის საშუალებით მეცნიერების ყველა დარგის კვლევით ლიგერაგურაზე თავისუფალი დაშვების უზრუნველყოფისათვის. შეკრების მონაწილენი საფასებით ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთ ქვეყნებში იმ ინიციატივების დაგეგმვის თაობაზე, რასაც მოცემულ მომენტში “თავისუფალი დაშვების” მოძრაობის ორგანიზებამდე მივყავართ. განხილული იყო საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხერხდეს ცალკეულად მიმოფანტული ინიციატივების გაერთიანება შედეგების სწრაფად ყოვლისმომცველად და წარმატებულად მიღწევისათვის. შეკრების მონაწილეებმა განიხილეს ყველაზე ეფექტური და მისაღები სტრატეგიული მეთოდები, რომლებიც დაეხმარებიან მეცნიერებს, კვლევათა მხარდამჭერ ორგანიზაციებსა და საზოგადოებებს, დაიკმაყოფილონ თავიანთი ინტერესები. ამის შემდეგ შეიქმნა ე.წ. “თავისუფალი დაშვების” ბუდაპეშტის ინიციატივა. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილმა საქციალისტებმა და ორგანიზაციებმა – უნივერსიტეტებმა, ლაბორატორიებმა, ბიბლიოთეკებმა, სხვადასხვა ფონდებმა,

ჟურნალებმა, გამომცემლობებმა, სამეცნიერო საზოგადოებებმა.

შეხვედრის მონაწილეებმა მიმართეს მსოფლიოს მეცნიერებსა და მკვლევარებს, ხელი მოაწერონ ამ ინიციატივას და მხრი დაუჭირონ მას.

ბუდაპეშტის ინიციატივა “თავისუფალი დაშვება”

ძველი გრადიციებისა და ახალი გექნოლოგიების შერწყმას უპრეცედენტოდ დიდი სარგებლობის მოგანა შეუძლია. ძველ გრადიციად მიიჩნევა მეცნიერთა და მკვლევართა შეგუება სამეცნიერო გამოცემებში მათი ნაშრომების აუნაზღაურებლად გამოქვეყნება. ახალ გექნოლოგიად იგულისხმება ინტერნეტი. საზოგადოებრივი სარგებლობა, რომელიც ამ ორი ფაქტორის შენივთებას მოაქვს, რეცენზირებულ საჟურნალო სტატიებთან მეცნიერების, მკვლევარების, მასწავლებლების, სტუდენტების, ყველას, ვისაც მეცნიერება აინტერესებს, ელექტრონული გავრცელების გზით თავისუფალ და შეუმღუდველ დაშვებაში პოვებს გამოხატულებას. სამეცნიერო ლიგერაგურასთან შეუფერხებელი დაშვების მიღწევა დააჩქარებს კვლევით საქმიანობას, გააფართოვებს სწავლების ფარგლებს, გამოიწვევს მდიდრებსა და ღარიბებს, ღარიბებსა და მდიდრებს შორის ცოდნის ურთიერთგაზიარებას, დაგვეხმარება ყველაზე ეფექტურად გამოვიყენოთ ეს ლიგერაგურა და საფუძველი ჩავუყაროთ მთელი კაცობრიობის ჩაბმას საერთო ინტელექტუალურ საუბარში ახალი ცოდნის მიღების მიზნით.

მრავალ მიზეზთა გამო, ინფორმაციის თავისუფლად და შეუმღუდავად გაცნობის ეს სახეობა, რომელსაც “თავისუფალი დაშვებას” ვუწოდებთ, აქამდე სტატიების მცირე ნაწილით შემოიფარგლებოდა, რომლებსაც ექსპერტთა შეფასება ჰქონდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამჟამად მოქმედმა სხვადასხვა ინიციატივამ დაგვანახვა, რომ ამგვარი მცირე მოცულობების შემთხვევაშიც კი თავისუფალი დაშვება ეკონომიურად გამართლებულია, რომ ის იძლევა საჭირო ლიგერაგურის ძიებისა და გამოყენებისათვის წარმოდგენლად ფართო შესაძლებლობებს, ხოლო ავტორთა შრომები იძენენ მრავალრიცხოვან ახალ აუდიტორიას და ამგვარად მათი როლი და მასშტაბები საგრძნობლად იზრდება. იმისათვის, რომ

ყველა მსურველს შეეძლოს ისარგებლოს ამ სიკეთით, ჩვენ მოვუწოდებთ დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს, დაგვეხმარონ ლიგერაგურასთან სრული მოცულობით დაშვების საქმის მოწესრიგებაში და დაძლიონ წინააღობები, განსაკუთრებით ფინანსური, რომლებიც ღდეს ჩვენს წინაშეა.

ჩვენ ვთავაზობთ, ინტერნეტის მეშვეობით განვახორციელოთ თავისუფალი დაშვება ლიგერაგურასთან, რომელსაც მეცნიერები ფინანსური ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე წარუდგენენ ხოლმე საზოგადოებას. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება ექსპერტთა შეფასებაშიღებულ საქურნალო სტატიებს, მაგრამ ამავე დროს დასაშვებია აგრეთვე ჩაირთოს ყოველგვარი არარეცენზირებული პრეპრინტი, რომელიც ესურვებათ ავტორებს ინტერნეტში მოათავსონ, რათა მიიღონ კომენტარები ან აცნობონ კოლეგებს მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენის შესახებ. არსებობს ამ ლიგერაგურასთან სხვადასხვა სახეობისა და ხარისხის უფრო ფართო და მარტივი დაშვების ფორმულა. ამგვარ “თავისუფალ დაშვებაში” ჩვენ ვგულისხმობთ ინტერნეტში ყველა სათვის ღია პუბლიკაციებს, რომლებიც შეიძლება წაკითხულ იქნეს, განიგვირთოს, მოხდეს მისი კოპირება, გავრცელება, გადაბეჭდვა, გამოყენება მაჩვენებლების შესადგენად, აგრეთვე შეიძლება შეყვანილ იქნეს როგორც პროგრამული უზრუნველყოფის მონაცემი ან გამოყენებულ იქნეს სხვადასხვაგვარი კანონიერი მიზნებით ფინანსური, სამართლებრივი და გექნიკური წინააღმდეგობების არსებობის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს მარეგულირებელი დოკუმენტი საკუთარ ინტერნეტში სხვისი დაშვების შესახებ.

სამეცნიერო ქურნალის პუბლიკაციებთან თავისუფალი დაშვების განხორციელება რომ უკეთ შეეძლოს, ჩვენ ვიძლევიტ ორ ურთიერთშემავსებელ საშუალებათა დანერგვისათვის საჭირო რეკომენდაციებს:

1) ღია არქივების შექმნა

თავიანთი რეფერატული ქურნალების სტატიების ღია ელექტრონულ არქივებში შესანახად მეცნიერებს, უპირველეს ყოვლისა, ესაჭიროებათ შესაბამისი ინსტრუმენტები და დახმარება, ე.ი. ის, რაც შედის ღია არქივების შექმნის სისტემაში. როცა ეს არქივები ნორმებთან შესაბამისობაში მოვა, ძიების მექანიზმი და მტკიცე ინ-

სტრუმენტები შეძლებენ იმუშაონ მიმოფანტულ არქივებში ისევე, როგორც, ერთიან არქივში. მკვლევარებს არ დასჭირდებათ იმის ცოდნა, თუ სად და როგორი არქივები არსებობს, რომ მათი მასალით ისარგებლონ.

2) ალტერნატიული ქურნალების შექმნა

მეორეც, მეცნიერებისათვის აუცილებელია სახსრები ახალი თაობის ალტერნატიული ქურნალების შესაქმნელად, რომლებიც ორიენტირებული იქნება თავისუფალ დაშვებაზე და თავისუფალი დაშვების სისტემაში შესვლის განზრახვის მქონე უკვე არსებული ქურნალების მხარდასაჭერად.

როცა საქურნალო სტატიები იმდენად ფართოდ გავრცელდება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ცხადია, ახალი ქურნალები არ გამოიყენებენ კოპირაიგს გამოქვეყნებულ მასალებთან დაშვების შესაბამლუდავად. პირიქით, ისინი კოპირაიგსა და ინტერნეტს გამოქვეყნებულ სტატიებთან მუდმივი თავისუფალი დაშვების უზრუნველყოფისათვის მიმართავენ. მოცემული მიმართულების დაფინანსების არც თუ მცირე ალტერნატიული წყაროები არსებობს; არ არის აუცილებელი, უპირატესობა დაფინანსების რომელიმე ერთ საშუალებას მიეცეს, პირიქით, სხვადასხვა ქვეყანაში და ცოდნის სხვადასხვა დარგში აუცილებელია ახალი, თეორიული ალტერნატივები.

ჩვენი ამოცანაა ექსპერტთა შეფასებაშიღებულ ლიგერაგურასთან თავისუფალი დაშვების საკითხის გადაწყვეტა. ღია არქივებისა (1) და ახალი თაობის ალტერნატიულ ქურნალებთან თავისუფალი დაშვების შექმნა (2) წარმოადგენს ამ ამოცანის უმთავრეს მიღწევას. მოქნილობა, ექსპერიმენტულობა და ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია წარმოადგენს იმის საწინდარს, რომ ყველაზე გართულებულ პირობებშიც კი წინსვლა სწრაფი, საიმედო და ხანგძლივი იქნეს.

ინსტიტუტ ღია საზოგადოების ფონდს, შექმნილს ფილანტროპ ჯორჯ სოროსის მიერ, გადაწყვეტილი აქვს უზრუნველყოს საწყისი დახმარება და ფინანსები ამ ამოცანის მისაღწევად. ის თავისუფალი დაშვების ახალი ქურნალების შესაქმნელად იყენებს თავის რესურსებსა და გავლენას ღია არქივების გაფართოებისა და დანერგვისათვის, ესმარება თავისუფალი დაშვების სისტემას, ეკონომიკური თვალსაზრისით გახდეს ანაზღაურებადი. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტ ღია საზოგადოებას აქვს მნიშვნელოვანი ფი-

ნანსური რესურსები, მოცემული ინიციატივა ძალიან საჭიროებს სხვა ორგანიზაციების დახმარებასა და ფინანსურ მხარდაჭერასაც.

რითიც შეგიძლიათ დაგვეხმარეთ!..

მიემართავთ მეცნიერებს, მეცნიერ მუშაკებსა და მკვლევარებს, უნივერსიტეტებსა და ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკებსა და გამომცემლობებს, კვლევათა დამფინანსებელ ფონდებსა და სააგენტოებს, სამეცნიერო საზოგადოებებსა და პროფესიულ ასოციაციებს, მთავრობებსა და მოქალაქეებს!

გთავაზობთ შესაგყვის რეკომენდაციებს:

მეცნიერებს, მეცნიერ მუშაკებსა და მკვლევარებს

1) ღია არქივები

შექმენით თქვენი შრომების ღია არქივები და მოუწოდეთ თქვენს კოლეგებს ასევე მოიქცნენ. თუკი თქვენს მეცნიერულ დისციპლინას არ გააჩნია ღია არქივი ინიციატივის ნორმებთან შესაგყვისი (NOA), თქვენს უნივერსიტეტებს ან სამეცნიერო ცენტრებს შესთავაზეთ, შექმნან ინსტიტუციური არქივი. ამაში თქვენ დაგეხმარებათ საზოგადოებრივი პროგრამული უზრუნველყოფა (ნახე: Caltech's review პროგრამული უზრუნველყოფა SPARK e-news-ში).

2) ალგერნატიული ჟურნალები

გამოაქვეყნეთ თქვენი შრომები ელექტრონულ ჟურნალებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა პუბლიკაციასთან დაშვებას, თუკი თქვენი ცოდნის დარგში ასეთი ჟურნალები არ არსებობს, იმრუნეთ ახალი ჟურნალის შექმნაზე, რომლებსაც ექნებათ თავისუფალი დაშვება, ამჟამად არსებობს ჟურნალების პროგრამული უზრუნველყოფა, რაც ამცირებს დანახარჯებს, რადგანაც ხდება ონლაინური ჟურნალების გამოცემის ფუნქციითა ავტომატიზაცია. აქტიურად შესთავაზეთ არსებულ ჟურნალებს მოახდინონ მათი პუბლიკაციებთან სრული თავისუფალი დაშვება. მაგალითად, მხოლოდ იმ ჟურნალების რედაქტირებას ან მიმოხილვაზე დათანხმდით, რომლებიც თავისუფალ დაშვებას ახორციელებენ. სხვა ჟურნალების ხელმძღვანელობას ამგვარ შემთხვევაში აცნობეთ უარის მიზეზი და მოიფიქრეთ, ხომ არ აჯობებს, ამასთან, დაწეროთ ღია წერილი, თქვენი შეხედულებები რამდენადაც შეიძლება მეგმა ადამიანმა რომ გაიგოს.

3) სხვა ღონისძიებები

თუ თქვენ გამოაქვეყნეთ ნაშრომი ისეთ

ჟურნალში, რომელსაც არ აქვს თავისუფალი დაშვება, სთხოვეთ მას, მოგცეთ საშუალება, მიიღოთ კოპირაიტი, ისარგებლოთ პირველი პუბლიკაციისა და ელექტრონული პუბლიკაციის უფლებით, თუ არ დაგთანხმდებიან, ყოველ შემთხვევაში, სთხოვეთ, მოგცენ უფლება, თქვენი ნაშრომი მოათავსოთ ინდივიდუალურ ღია არქივში – NOA-ს ნორმების შესაბამისად.

ეცადეთ, რომ სამეცნიერო საზოგადოებებმა და პროფესიულმა ასოციაციებმა, რომლებსაც თქვენ მიეკუთვნებით, იცოდნენ თავისუფალი დაშვებისადმი თქვენი სრული ერთგულება. ეცადეთ, არჩეულ იქნეთ მათ კომიტეტებსა და ხელმძღვანელ ორგანოებში.

კვლევათა დამფუძნებელ ფონდებსა და ორგანიზაციებს

1) ღია არქივი

უარი თქვით ინსტიტუციონალურ ელექტრონულ არქივზე დახმარების გაღებაზე. მოითხოვეთ, რომ თქვენი გრანტის მიმღებნი თავიანთი მუშაობის შედეგებს ათავსებდნენ ღია არქივებში ან მათ თავისუფალი დაშვების ჟურნალებში აქვეყნებდნენ.

2) ალგერნატიული ჟურნალები

დააფინანსეთ თავისუფალი დაშვების ჟურნალები.

აცნობეთ მკვლევარებს, რომლებსაც აქვთ უკვე გრანტები, რომ მათ შეუძლიათ გაიღონ ხარჯები ახალი თავისუფალი დაშვების ჟურნალების გასახსნელად. მოეხმარეთ ჩვეულებრივ ჟურნალებს გადავიდნენ თავისუფალი დაშვების რეჟიმზე.

3) სხვა ღონისძიებები


დაუშვით სახსრები, რათა დაეხმაროთ ჩვეულებრივ ჟურნალებს, ჩააგარონ კოდირებული გარდაქმნები თავიანთ ადრინდელი მასალებისა, თუკი ისინი ფიქრობენ უზრუნველყონ თავიანთთან თავისუფალი დაშვება.

მხარი დაუჭირეთ მეცნიერთა და მკვლევართა ჯგუფებს, რომლებიც რევიონებში ცხოვრობენ და მუშაობენ მეცნიერების გარკვეულ დარგში.

სამეცნიერო საზოგადოებებსა და პროფესიულ ასოციაციებს

1) ღია არქივები

შექმენით ცენტრალური და ცალკეული დარგის ღია არქივები. გაავრცელეთ ინფორმაციები მათზე.



2) ალგერნაგიული ქურნალები

გააგარეთ პოლიტიკა თქვენს დარგებში თავისუფალი დაშვების ქურნალებისა და ღია არქივების მხარდასაჭერად. შესთავაზეთ ავტორებს თანამშრომლობა. თუკი თქვენ გამოსცემთ სამეცნიერო ქურნალს, აქციეთ ის ინტერნეტში მკითხველისათვის უფასოდ ხელმისაწვდომად. ამჟამად არსებობს პროგრამული უზრუნველყოფა, რაც ავტომატიზაციის წყალობით შეამცირებს დანახარჯებს, რომლებიც საჭიროა ონლაინური ქურნალების პუბლიკაციისათვის.

3) სხვა ღონისძიებები

შესთავაზეთ უნივერსიტეტებს, ონლაინური გამოცემების ექსპერტთა შეფასებებს ისეთივე სერიოზულობით მოეკიდონ, როგორც ბეჭდური გამოცემებისას.

მთავრობებს

1) ღია არქივები

გრანტის მინიჭების ერთ-ერთ პირობად უნდა იქცეს გრანტგამცემთა თანხმობა შესრულებული სამუშაოს შედეგების ღია არქივებში მოთავსებაზე ან მათ თავისუფალი დაშვების ქურნალებში გამოქვეყნებაზე.

2) ალგერნაგიული ქურნალები

მიიღეთ ერთიანი კანონები სამეცნიერო გამოკვლევათა დამფინანსებელ ყველა სამთავრობო ორგანიზაციისათვის. კვლევითი გრანტები უნდა შეიცავდეს ფონდებს, რომლების შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფალი დაშვების ქურნალების ხარჯების დასაფარავადაც.

3) სხვა ღონისძიებები

დაიცავით მთავრობის მიერ დაფინანსებული კვლევითი მუშაობის პროცესში დაწერილი სტატიების კოპირაიგი, ნებადართული გახადეთ შრომითი შედეგების პუბლიკაცია, ეცადეთ, რამდენადაც შეიძლება მეტმა ადამიანმა იხილოს ის.

3) სხვა ღონისძიებები

შეაგყობინეთ თქვენს მთავრობებს, აგრეთვე ყველა უნივერსიტეტს, ფონდსა თუ პროფესიულ ასოციაციებს, რომლებთანაც თქვენ გაქვთ კავშირი, რომ მხარს უჭერთ ყოველგვარ სამეცნიერო და კვლევით ლიგერაგურასთან თავისუფალი დაშვების იდეას.

მოითხოვეთ, რომ გამოკვლევების შესახებ ინფორმაცია, რაც სრულდება მოქალაქეთა გადასახადების ხარჯზე, საზოგადოებას უფასოდ მიეწოდოს.

უნივერსიტეტებსა და არქივებს

1) ღია არქივები

თქვენს დაწესებულებებში შექმენით ღია არქივები, NOA-ს ნორმების გათვალისწინებით. გაუწიეთ რეკომენდაცია თქვენს ნაცნობ მკვლევარებს, თავიანთი ყველა ნაშრომი ამ არქივში მოათავსონ, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინეთ, რაც კი მათ დაჭირდეთ. ირწმუნეთ, რომ ეს მოკრძალებული წვლილი გააფართოვებს გამოკვლევის სფეროსა და გავლენას, მოეხმარება მთელი მსოფლიოს მკვლევარებს, მიიღონ სპეციალურ ლიგერაგურასთან დაშვების შესაძლებლობა, და საბოლოო ანგარიშით, მიაღწიონ თავიანთი ბიუჯეტის დანახარჯების შემცირებას პერიოდული ლიგერაგურის გამოცემაზე.

2) ალგერნაგიული ქურნალები

გამონახეთ საშუალებები, დააფინანსოთ თქვენი კოლეგები, რათა მათ დაფარონ ხარჯები თავისუფალი დაშვების ქურნალებში პუბლიკაციებისათვის. მხარი დაუჭირეთ თქვენი დაწესებულების მეცნიერებს მისწრაფებაში, გამოსცენ ახალი ქურნალები ინტერნეტში, დაუთმეთ სარგებლობისათვის თქვენი სერვერი და დაახმარეთ თქვენი მდივნები.

3) სხვა ღონისძიებები

გქონდეთ წესად, თანამდებობაზე დანიშნისა და დაწინაურების დროს გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღოთ სტატიებზე ექსპერტთა რეცენზიების დასკვნები, რა სახისაც არ უნდა იყოს ისინი (ბეჭდური თუ ელექტრონული) და ისიც, ანაზღაურებული იყო თუ არა ისინი.


ბიბლიოთეკები

1) ღია არქივები

შესთავაზეთ თქვენს დაწესებულებას, რომელშიც მუშაობთ, შექმნან საუნივერსიტეტო არქივები. დაეხმარეთ პროფესორებსა და მასწავლებლებს, შექმნან არქივი იმ სამეცნიერო შრომებისა, რომლებიც მათ აქვთ; თუ აუცილებელია, ჩააგარონ კოდირებული გარდაქმნები და იმის სწავლება, თუ შემოსული შრომები როგორ შეიგანონ არქივში.

2) ალგერნაგიული ქურნალი

თქვენს დაწესებულებაში თავისუფალი დაშვების ქურნალის არსებობის შესახებ მოახდინეთ ინფორმირება სხვა ბიბლიოთეკებსა, კარგოთეკულ სამსახურებსა, შესაძლო სპონსორებსა და პოტენციურ მკითხველებს შორის.



3) სხვა ღონისძიებები

გაერთიანებით სამეცნიერო პუბლიკაციების კოალიციისა და აკადემიური რესურსების გიპის საბიბლიოთეკო კონსორციუმებში (SPARK), რომ გაავამრავლოთ ჩვენი ძალისხმევა და ფართოდ გამოვხატოთ ჩვენი მხარდაჭერა თავისუფალი დაშვების ჟურნალებისადმი. თვალყური მიადევნეთ, რომ თქვენი დაწესებულების მეცნიერებმა იცოდნენ, როგორ შეიძლება გამოიყენონ ინტერნეტი, რომლის დახმარებთაც მიეცემათ პუბლიკაციებთან დაშვების შესაძლებლობა. თვალყური ადევნეთ მოვლენათა განვითარებას იმის მიხედვით, თუ რამდენად გაიზარდა თავისუფალი დაშვების ჟურნალების რაოდენობა იმ პირობებში, როცა ასე მკვეთრად ძლიერდება მათი გამოყენება და ზეგავლენა, შეგიძლიათ უარი თქვათ ძვირადღირებულ ჟურნალებზე, რომლებიც ვეღარ უძლებენ კონკურენციას.

ჟურნალებსა და გამომცემლობებს

1) ღია არქივები

შესთავაზეთ თქვენს ავტორებს შექმნან ინდივიდუალური ღია არქივები არქივებში, NOA-ს ნორმების გათვალისწინებით.

2) ალტერნატიული ჟურნალები

აგარეთ ექსპერიმენტები ბიზნეს-მოდელებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ თქვენს მიერ გამოქვეყნებულ მასალებთან თავისუფალ დაშვებას.

ჩვენ ვიწვევთ მთავრობებს, უნივერსიტეტებს, ბიბლიოთეკებს, ჟურნალების რედაქტორებს, გამომცემლობებს, ფონდებს, სამეცნიერო საზოგადოებებს, პროფესიულ ასოციაციებს და ყველა მეცნიერს, რომელიც იზიარებს ჩვენს მოსაზრებებს, შემოგვიერთდნენ ჩვენ თავისუფალი დაშვების სრულყოფის გზაზე არსებული წინაღობების დაძლევისა და მომავლის შექმნაში, სადაც კი მეცნიერება და განათლება თავისუფლად ვითარდება მსოფლიოს ყველა კუთხეში.

2002 წ. 14 თებერვალი

ბუდაპეშტი, უნგრეთი.

სესლი ჩანი – ბიოლან ინტერნეშენალი;

დარიუს კუპლინსკასი – საინფორმაციო პროგრამის დირექტორი, ინსტიტუტი ღია საზოგადოება; მაიკლ აიზენი – სამეცნიერო საჯარო ბიბლიოთეკა; ფრედ ფრენდი – სამეცნიერო კავშირების დირექტორი, უნივერსიტეტის კოლეჯი, ლონდონი; ინგა გენოვა – ფონდი “შემდეგი გვერდი”; ჯან-კლოდ გიუელონი – მონრეალის უნივერსიტეტი; მელისა ჰაგემანი – პროგრამის ხელმძღვანელი, საინფორმაციო პროგრამა, ინსტიტუტი ღია საზოგადოება; სტეფან ჰარნალი – კოგნიტივისტიკის პროფესორი, საუტგემპტონის უნივერსიტეტი, კვებეკის უნივერსიტეტი; რიკ ჯონსონი – სამეცნიერო პუბლიკაციების კოალიციისა და აკადემიური რესურსების დირექტორი (SPARC); რიმა კუაპიტი – ინსტიტუტი ღია საზოგადოება; მანფრედი ლი მანუ – სოციალურ გამოკვლევათა ელექტრონული საზოგადოება; იშტვან რვი – ინსტიტუტი ღია საზოგადოება, საზოგადოება ღია არქივები; მონიკა სეკბერტი – CIFL პროექტის კონსულტანტი; სიდნელი დე სუზა – CRIA-ს ინფორმაციის დირექტორი, ბიოლან ინტერნეშენალი; პიტერ სუბერი – ფილოსოფიის პროფესორი, ელჰემ კოლეჯი და თავისუფალი განათლება ინტერნეტის მეშვეობით; საინფორმაციო ბიულეტენი; იან ველგეროპი – ცენტრალური ბიომედი.

დოკუმენტი თარგმნილია ტამსტის რუსული ვარიანტიდან ეთერ ვარმპლაშვილის მიერ



ჩვენი კომენტარი

ალ. ლორია


გუდაპაშვიტის ინიციატივა “თავისუფალი დაშვება” უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს. მით უფრო მნიშვნელოვანია იგი ჩვენი მეცნიერული საზოგადოებისათვის, რომელიც მოკლებულია ინფორმაციის მიღების თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დიდია სიახლისადმი უნდობლობა, გრადიციებისადმი განუკითხავი ერთგულება, ჩვენი ეროვნულის სათანადოდ დაუფასებლობა, გაუბედაობა, ქედმოხრა ავგორიგეგებისადმი. ყოველივე ეს სხვადასხვა ფორმითა და სხვადასხვა დროს აშკარად ვლინდება, რაც აფერხებს მეცნიერების, და აქედან გამომდინარე, თითქმის ყველაფრის განვითარებას. ბუდაპეშტის ინიციატივა განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენი მეცნიერული საქმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროსათვის, როგორც დისერტაციების მომზადება და დაცვაა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ აქ ფორმალურ მხარეებს მეტი ყურადღება ეთმობა, ვიდრე შინაარსობრივს. ნაშრომის ხარისხის განსაზღვრა რომ სგაგების რაოდენობის განსაზღვრით არ შეიძლება, ეს არავისთვის სადაო არა არის, და ალბათ სწორედ ამ დაეჭვების გასაბათილებლად არის შემოღებული, ასე ვთქვამდ, პრესტიჟული პერიოდული გამოცემების ნუსხა. მაგალითად, პელაგოგიკურ მეცნიერებათა ხარისხის მოპოვების უფლების მისაღებად შედგენილ ნუსხაში თავიდან ბოლომდე მხოლოდ ბეჭდური ორგანოებია მითითებული და თითქმის სავსებით უგულებელყოფილია ელექტრონული ინფორმაცია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბოლოში ელექტრონული კატალოგის სსენებას, თუმცა გაურკვეველია, რაზეა აქ ლაპარაკი. რაც შეეხება ე.წ. “მცირე დარგებს”, ისინი ამ ნუსხის მიხედვით სრულებითაც არ არის მხედველობაში მიღებული. ჩამონათვალში არ არის შეგანილი ის პროფესიული გამოცემები, რომლებიც ამ “მცირე” დარგებში შესრულებულ ნაშრომებს აქვეყნებენ. საკითხავია, რა უნდა ქნან ამ დარგების სპეციალისტებმა, როცა სხვა ორგანოები მათ გამოკვლევებს ვერ აქვეყნებენ, რამდენადაც ეს არც ევალება მათ? მაგალითად: ბიბლიოგრაფია, ზოგადი წიგნმცოდნეობა, ბიბლიოთე-

კამცოდნეობა, კულტუროლოგია, ხელოვნება და სხვ.

საერთოდ, რაა მიზანი იმისა, რისთვისაც სამეცნიერო ხარისხის დაცვამდე ძირითადი დებულებების გამოქვეყნება ხდება? ის, რომ ამით ნაშრომის საიმედოობა მაგულობს, თუ ის, რომ ინფორმირებულ იყვნენ სათანადო ორგანოები და დაინგერესებული პირები? ცხადია, ერთიცა და მეორეც, მაგრამ ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ინფორმაციის რომელ სახეობას გამოვიყენებთ, წერილობითა თუ ელექტრონულს. აკი კიდევ წერენ ბუდაპეშტის ინიციატივის დოკუმენტის შემდგენლები: “...მხედველობაში მიიღეთ სგაგებებზე ექსპერტთა რეცენზიების დასკვნები, რა სახითაც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელნი (ბეჭდური თუ ელექტრონული)”.

ცხადია, საერთოდ, ბეჭდურ სახეობას თავისი ზოგადი დანიშნულების თვალსაზრისით, ელექტრონული ვერ ცვლის, მაგრამ მოცემულ მომენტისათვის, როცა საჭიროა დაჩქარებული ინფორმირება და მისი საყოველთაობა, მით უმეტეს, როცა საქმე გვაქვს ჯერ კიდევ დასაცავ მასალასთან, გაცილებით უმჯობესია ელექტრონული საშუალებების გამოყენება.

თავი რომ გავანებოთ დროის ფაქტორს, იგი ეკონომიურიცაა, და არაფრით ნაკლებპრესტიჟული, ვიდრე რომელიმე მნიშვნელოვანი რეფერატული ჟურნალი, გნებავეთ სამეცნიერო კრებული, რომელსაც გაცილებით ნაკლები მომხმარებელი ჰყავს, ვიდრე, ვთქვათ, ინგერნეტს, რომელსაც ყველასთან ერთად, ის გამოჩენილი მეცნიერებიც მნიშვნელოვნად იყენებენ, რომლებისთვისაც გათვალისწინებულია პუბლიკაციები ე.წ. პრესტიჟულ ჟურნალებსა და კრებულებში. განსაკუთრებით საგულისხმოა ის, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აღარ აქვს დარგობრივ დისკრიმინაციას, ყველა დარგი თანაბარ ინფორმაციულ პირობებშია მოქცეული. გყუილუბრალოდ არ მოგვმართავენ დოკუმენტის ავგორები: “შესთავაზეთ უნივერსიტეტებს, ონლაინური გამოცემების ექსპერტთა შეფასებებს ისეთივე სერიოზულობით მოეკიდნონ, როგორც ბეჭდურ გამოცე-



მებსო”. სპეციალისტები გადაჭრით აცხადებენ, რომ მათი ინიციატივა “იძლევა საჭირო ლიგურატურის ძიებისა და გამოყენებისათვის წარმოუდგენლად ფართო შესაძლებლობებს, ხოლო ავტორთა შრომები იძენენ მრავალრიცხოვან ახალ აუდიტორიას და ამგვარად მათი როლი და მასშტაბები საგრძნობლად იზრდება”.

როგორც ვხედავთ, ინფორმაციული მოცვის თვალსაზრისით, ელექტრონული საშუალებები არაფრით ჩამორჩება ბეჭდურს. ხოლო თუკი ნუსხაში მოცემული ბეჭდური გამოცემები თავიანთი პრესტიჟულობითა და კომპეტენცურობით იმისათვისაა საჭირო, დაგვეხმარონ გავარკვიოთ, რამდენად ღირებულია წარმოდგენილი სადისერგაციო ნაშრომი, მაშინ საკითხავია, რიღასი მაქნისია ამდენი წინასწარი აპრობაციები, კათედრების დასკვნები, რეცენზიები, ექსპერტები, წამყვან დაწესებულებათა გამოსხმაურებები, ოპონენცია და ბოლოს თვით საჯარო დაცვა? ნუთუ ყოველივე ამის შემდეგ ძნელია გაირკვეს, რა ნაშრომთან გვაქვს საქმე? ან რამდენად საჭიროა უცხოეთის პერიოდულ ორგანოებთან აპულირება? ჩვენში ვერ ხერხდება გაირკვეს, რამდენად ფასეულია მკვლევარის შრომა და რამდენად ღირსეულ პიროვნებას წარმოადგენს მისი ავტორი, რომ ხარისხი მიენიჭოს? თითქმის ადამაშფოთებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ნუსხა მისაღებად მიიჩნეეს იმ დარგობრივ უცხოურ ჟურნალებს, რომლებიც ელექტრონულ კატალოგებშია შეტანილი, ხოლო ამგვარ ეროვნულ ჟურნალებს არა. რითია გამოწვეული ამგვარი დისკრიმინაცია? სხვათაშორის, შეიძლება ისე მოხდეს, დისერგანგს ქართულად ერთი პუკარიც არ ჰქონდეს გამოქვეყნებული და ნება დაერთოს დისერგაციის დაცვისა. რა წესია ეს?

საერთოდ, ამ ნუსხას სხვა ბევრი ნაკლიც

აქვს, მაგრამ არ გვაქვს განზრახული ამ კონკრეტში შევეხოთ ახლა მას.

სსენებულ ნუსხაში საესებით უგულებელყოფილია ელექტრონული ჟურნალები, რაც არაა გასაკვირი. ამ სახის პუბლიკაციათა მომხმარებელი თითბე ჩამოსათვლელი გვყავს; არც სპეციალისტებია მეტი, რომლებიც მოაგვარებენ საქართველოში ელექტრონული ჟურნალების მისაწვდომობის, ზღვა მასალაზე მკვლევართა თავისუფალი დაშვების საქმეს, რაც ძირითადი ბრუნვის საგანია ბუდაპეშტის ინიციატივისა.

ამ საქმისაგან, ჩვეულებრივ, საგრძნობლად ჩამოვრჩებით. სწორედ ამის დასგურია მაღალი კომპეტენციის დაწესებულების მიერ შედგენილი ნუსხაც, რომელიც ერთგვარ ანაქრონიზმად გვეჩვენება მსოფლიოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

ამიგომაც, ყველა, ვისაც მიმართავენ დოკუმენტის ავტორები, უნდა ამოდრავდნენ ბუდაპეშტის ინიციატივის დასაცავად, ჩვენთვის შემოთავაზებული სიახლის დასაწერგად. რამდენადაც შეიძლება, უნდა გამარგივდეს ინფორმირება, კვლევითი მასალის პუბლიკაცია. მისი რეფერირება და რეცენზირება, ექსპერტთა მიერ დასკვნების გამოგანა. მეცნიერება ყოველდღიურად მიდის წინ, დაყოვნება ჩამორჩენის გოლფასია. მეცნიერებს, მკვლევარებს, გამომგონებლებს, რაციონალიზატორებს ისეთი პირობები უნდა შეუუქმნათ, შეუფერხებლად შეძლონ თავიანთი მიღწევების რეალიზაცია.

ამ საქმეს სახელმწიფოებრივი მიდგომა ესაჭიროება. მხოლოდ ასეთ ვითარებაში იქნება შესაძლებელი უბრუნველვყოთ არა მარგო მეცნიერული ნაღვაწის ხარისხის ამალღება, არამედ გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის ეროვნული და სოციალური მოთხოვნილებანი.





თანხების მოზიღვა...

ტრეპონ ნაიტი, მაღლენ აალტო

რელაქციისაგან

ის ფაქტი, რომ საქართველოს ბიბლიოთეკები ძალზე მძიმე მდგომარეობაშია, ყველასათვის ცხადია. ეს მდგომარეობა არ უხდა აკმაყოფილებდეს არც მკითხველს, არც ბიბლიოთეკარს და არც ადგილობრივ თუ ცენტრალურ მთავრობას.

საქართველოსა და სხვა ქვეყნების ბიბლიოთეკების შესადარებლად მოვიყვანთ რამოდენიმე ცნობას, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი:

საქართველოს ბიბლიოთეკების დაფინანსება (ხელფასების ჩათვლით) დაბალია ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთან შედარებით,

საქართველოს ბიბლიოთეკარები, ისევე როგორც მასწავლებლები, ხელფასების მხრივ ყველაზე დაბალ კატეგორიაში არიან. ბიბლიოთეკარის ხელფასი ზიმბაბვეში (სამხრეთ აფრიკა) 4-ჯერ მეტია ჩვენსაზე,

ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ჩვენი ბიბლიოთეკები ჩამორჩება არა მარტო რუსეთის, ლიტვისა და ლატვიის ბიბლიოთეკებს, არამედ აგრეთვე მონღოლეთსა და სომხეთს.

როდესაც ვსაუბრობთ ბიბლიოთეკების დაფინანსებაზე, ბევრს სახელმწიფო დაფინანსების გაზრდა აქვს მხედველობაში. სახელმწიფო დაფინანსებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკებისათვის, მისი გაზრდის საშუალებებზე ძალზე სერიოზულად უნდა ვიმსჯელოთ და ვიზრუნოთ, მაგრამ ამ წყაროს გარდა მთელი მსოფლიოს ბიბლიოთეკები მეტი თუ ნაკლები წარმატებით იყენებენ სხვა ფინანსურ წყაროებსაც.

ჩვენ ვთავაზობთ ჟურნალის მკითხველებს, ჩაერთონ საუბარში თემაზე: "საქართველოს ბიბლიოთეკების დაფინანსების წყაროები", იმისათვის, რომ მოიძებნოს გამოსავალი ამ მძიმე მდგომარეობიდან.

მოგვაწოდეთ თქვენი მოსაზრებები. ჟურ-

ნალის რელაქცია შეეცდება, გამოაქვეყნოს ფართო მსჯელობისათვის ყველა შემოსული წერილი.

ვთავაზობთ სტატიის თარგმანს. იმედი გვაქვს რომ იგი საწყის ბიძგს მისცემს ჩვენს მსჯელობას.

თანხების მოზიღვა (ფანდრეიმინგი) – საჯარო ბიბლიოთეკების მომსახურების დაფინანსების ალტერნატიული წყარო.

შესავალი – პერსპექტივები მომავლისათვის

საუაზნოზრიში სწრაფვა, რომ ცოლნა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს, საფუძვლად უდევს მოძრაობას უფასო საჯარო ბიბლიოთეკებისათვის. ბიბლიოთეკარის რწმენა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დიდ მნიშვნელობაზე დღევანდლამდე გულისხმობდა ნაბეჭდი წიგნის ხელმისაწვდომობას. დღეს ახალი პრობლემის წინაშე ვდგავართ, რადგან კომპიუტერული ინფორმაცია ფასიანია და შესაძლებელია იგი მომავალში ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ იმ ადამიანებისათვის, რომელთა ხელში იქნება ძალაუფლება. ამის მიზეზი შეიძლება გახდეს ის, რომ ხელისუფლების მიერ საჯარო ბიბლიოთეკებზე გამოყოფილი ინვესტიციები მცირეა, რის გამოც ისინი ვეღარ შეძლებენ ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადონ.

მოთხოვნები ბიბლიოთეკისადმი გაიზარდა, ხოლო ხელისუფლების მიერ დაფინანსება შემცირდა. ბიბლიოთეკები რთული პრობლემის წინაშე დგანან, მათ უნდა შეეძლოთ თავი გაართვან რეალობას შემზღვეული დაფინანსებით და ამასთანავე აუხსნან საზოგადოებას, თუ რა დიდი მნიშვნელო აქვს საჯარო ბიბლიოთეკების არსებობას. ბიბლიოთეკებმა უნდა გააცნობიერონ ის, რომ ამჟამად სახელმწიფო დაფინანსების გარდა საჭიროა მოიძებნოს ფინანსირების სხვა წყაროები. ბიბლიოთეკების გადასარჩენად საჭიროა ბიბლიოთეკის ყველა მხარდამჭერის ერთობლივი ძალისხმევა.

ამ წერილის მიზანს არ წაროადგენს "ფასიანი თუ უფასო" მომსახურების სიღრმისეული

ანალიზის გაკეთება. რამდენადაც საქმე ეხება სა-
მუშაო პროცესს, აუცილებელია განისაზღვროს
ბიბლიოთეკის “ძირითადი მომსახურების” ფორ-
მები, რომლებიც უფასო იქნება, ამასთანავე ბიბ-
ლიოთეკებმა უნდა შეძლონ დამატებითი შემო-
სავლის მოპოვება, რათა მოხდეს შეკვეცილი
გრაფიკული დაფინანსების კომპენსირება.

გავრცელებული დაფინანსების წყაროები დაბეგვრა, ეროვნული და ადგილობრივი

კარგად განვითარებულ, საჯაროდ ხელ-
მისაწვდომი მომსახურების მქონე ქვეყნებში ძი-
რითადი დაფინანსებელი კვლავ ხელისუფლუ-
ბაა. ეროვნული და ადგილობრივი ან შტატის ხე-
ლისუფლების დაფინანსების ოდენობა შესაძლოა
მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთი-
საგან გერმანიასა, ახალ ზელანდიასა, სლოვაკი-
ასა, აშშ-სა თუ დიდ ბრიტანეთში.

შემოსავლის მომგანი საქმიანობა

1) ფასიანი მომსახურება

საჯარო ბიბლიოთეკაში შემოსავლის გაზ-
რდას გადასახადების საშუალებით, რაც დღეი-
სათვის ითვლება მომსახურებაზე შემცირებული
დაფინანსების კომპენსაციის (ბალანსირების) სა-
შუალებად, დიდი ხნის ისტორია აქვს. მიუხედა-
ვად ამისა, დამატებითი შემოსავლის მოზიდვა
ზოგ ქვეყანაში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფ-
რო მიღებული ფორმაა. მაგალითები გერმანიი-
დან, ახალი ზელანდიიდან, შეერთებული შტატე-
ბიდან და დიდი ბრიტანეთის სამეფოდან მსგავსი
საქმიანობის განსხვავებული ღონის მარეგულირ-
ებელია. დიდი ბრიტანეთის საგონის ბიბლიოთეკა თა-
ვისი წლიური ბიუჯეტის შემოსავლის 17%-ს სწო-
რედ ამ გზით მოიპოვებს.

2) გადასახადი მარკეტინგული მომსახურე- ბებისათვის

დიდი ბრიტანეთის ბიბლიოთეკები გვთა-
ვამობენ სხვადასხვა სახის მომსახურებებს: ფა-
სიან კომპიუტერულ მომსახურებას საზოგადოე-
ბისათვის; ბიზნეს მომსახურებას; ღია სასწავლო
ცენტრებს და ინტერნეტით (ფაქსით) მომსახურე-
ბას.

3) თანხების მოზიდვა (ფანდრეიზინგი)

ჩრდილოეთ ამერიკა ლიდერია თანხე-
ბის მოზიდვის საქმიანობის მიხედვით. ხშირად ამ
მიზნით აპყავთ სპეციალისტთა შტატი. იმისათვის,
რომ წარმატებით გაართვან თავი საქმიანობას,
მათ სჭირდებათ დიდი ოსტატობა და ცოდნა. ნიუ
იორკის საჯარო ბიბლიოთეკის თანხების მო-

ზიდვის განყოფილების მდგომარეობის შესწავ-
ლამ დაგვანახა, რომ ის არის მსოფლიოში ლი-
დერი. იგი თვითდაფინანსებაზეა და მისი 40 კა-
ციანი შტატი ნოვაგორული და შემოქმედებითი
მდგომით, ფართო საზოგადოებისაგან, ფონდ-
ებისაგან, ორგანიზაციებისაგან და კერძო პირე-
ბისაგან მოიპოვებენ 430 მილიონ დოლარს (1999
წ). ფულის მოთხოვნა უმუშაოდ კერძო პირები-
საგან, ამერიკაში უფრო მიღებული ფორმაა, ვიდ-
რე ევროპაში. ბრიტანეთში თანხების მოზიდვის
(ფანდრეიზინგი) ყველაზე გავრცელებული სახე
სუბსიდირებაა (სპონსორობა), ზოგიერთმა ბიბ-
ლიოთეკამ მოახერხა წარემართა თავისი საქ-
მიანობა ამგვარ სიახლეთა დანერგვის გზით. ესე-
ნია: ლონდონის საგონის რაიონის, საფოლკის საგ-
რაფოს, ნიუკასლის (გაინაზე) ბიბლიოთეკები.
ჩრდილო-იორკშირის საგრაფომ ჩაატარა დიდი
კვლევა, რომელიც შეეხო ყველა არსებულ სა-
დაფო საკითხსა და პრობლემას. თანხების მოზიდ-
ვა (ფანდრეიზინგი) გერმანიაში ახლა იღვამს
ფხვს, ამ გზით მიღებული შემოსავალი ბიბლიო-
თეკის მთლიანი ბიუჯეტის 5%-ს შეადგენს. მიუ-
ხედავად იმისა, რომ სუბსიდირებაში ადგილი
აქვს დაბრკოლებებს და აგრეთვე პრობლემაა
გერმანიის საგადასახადო კანონი, გერმანიის
რიგ ქალაქებში სულ უფრო ხშირად გვხვდება
სუბსიდირების წარმატებული მაგალითები, რაც,
როგორც ვფიქრობთ, შემოსავლების სწრაფ გაზ-
რდას გამოიწვევს.

დაფინანსების პოტენციური წყაროები

კერძო პირები და დაწესებულებები სა-
ჯარო ბიბლიოთეკებს აფინანსებენ შემდეგი მი-
ზემების გამო: შეგნება იმისა, რომ ბიბლიოთე-
კები “კარგია”, სურვილი ასოცირდება წარმატე-
ბასთან, საგადასახადო პირობებისა და მარკეტინ-
გული შესაძლებლობების გამო. ამ ღონიერები-
საგან დაფინანსების ძირითადი პოტენციური წყა-
როებია:

1) მეგობართა ჯგუფი

რიგ ქვეყნებში ასეთი ჯგუფები საკმაოდ
გავრცელებულია. მათ შეუძლიათ იმოქმედონ
ადგილებზე, რათა გადაარჩინონ ბიბლიოთეკები
დაფინანსების შეწყვეტისაგან. ამას ადგილი
ჰქონდა დიდი ბრიტანეთის სამეფოში, სადაც მე-
გობართა ჯგუფებმა ღონისძიებებით, პრაქტიკუ-
ლი დახმარებებით და თანხების მოზიდვით მსა-
რი დაუჭირეს თავიანთ ადგილობრივ ბიბლიოთე-
კებს.

შეერთებულ შტატებში ასეთი “ჯგუფი” შეიძლება კარგად ორგანიზებული ბიზნესი იყოს, თანამშრომლებით, რომელთაც უხდიან ხელფასს. ყველაზე პროფესიულად ორგანიზებული ჯგუფიანი იორკის ბიბლიოთეკის მეგობართა სამოგადოება, რომელიც მეგობრებს თანხების მოზიდვის მრავალ ღონისძიებას სთავაზობს, რომელთა შორისაა საგადასახადო შეღავათები.

2) ღონისძიებები

წლების განმავლობაში წარმატებით განხორციელებული სცენარები, რომელშიც შედის როგორც ბლაპრების თხრობა, ასე მაღალი კლასის საშემსრულებლო ღონისძიებები. ბიბლიოთეკის მომხმარებელთა და არამომხმარებელთა მოზიდვა ხშირად შემოსავლის გაზრდის მიზნით ხდება, რაც ასე წარმატებით ხორციელდება შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთსა და ახალ ზელანდიაში.

3) ფონდები

ფონდის დაარსება შესაძლებელია იყოს ხანგძლივი პროცესი, რომელშიც ჩართული უნდა იყოს მზრუნველთა საბჭოს შექმნა. ამან დიდად გაამართლა მთელ რიგ ქვეყნებში. ახალ ზელანდიაში ჩრდილო სანაპიროს ბიბლიოთეკების ფონდი მიზნად ისახავს “თანხების მოზიდვას შეესებისა და მხარდაჭერისათვის” ადგილობრივი ბიბლიოთეკების მომსახურებისათვის. ამ მიზანმა გამოხმაურება პოვა შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში, სადაც ბერგელსმანის ფონდმა დააარსა ქ. გუტერსლოს საჯარო ბიბლიოთეკა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე შემოქმედებითი, ნოვატორული და წარმატებული ბიბლიოთეკა გერმანიაში.

4) განვითარება/მწარმოებლის ინტერესები

გაერთიანებულ სამეფოსა და შეერთებულ შტატებში ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს, რაც შეიძლება მეტად გაზარდოს მიწისა და საკუთრების აქტივები, როგორც კერძო სექტორთან მოლაპარაკების წარმოების საშუალება: მიწის ყიდვის ან მიწის ნაკვეთზე საწარმოს განვითარების უფლების სანაცვლოდ, პიროვნება ან ორგანიზაცია ვალდებულია ააგოს ბიბლიოთეკა.

5) შეწირულობა/საჩუქარი

ფართოდაა გავრცელებული შეერთებულ შტატებში დაფინანსების ორი წყარო: კერძო პირები, უშუალოდ ან ღონისძიებაზე დასწრების გზით; და კორპორაციული ბიზნესი, რომელიც

სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით ან რომელსაც ენიჭება კომერციული უპირატესობა. ხდება ღონისძიების აქტიური წახალისება, ხშირად ფოსტის ან გელემარკეტინგის საშუალებით, ხოლო მათ შორის ყველაზე მდიდარი შეიძლება იქცეს აქტიურ სამიზნედ, რადგან გამოანგარიშებულია, რომ ფონდების 90%-ის შექმნა ხდება ღონისძიება 10%-ისაგან.

6) ინვესტირება აქციის შეძენის ფორმით

შეერთებულ შტატებში ღონისძიება შეუძლია ბიბლიოთეკის აქციის შეძენა: შეთანხმება, რომელიც უფრო სიმბოლურია, ვიდრე რეალური.

7) გრანტები

საჯარო ბიბლიოთეკებში მომსახურების უმეტესობა გრანტებით ხდება. შარლოტისა და მექლენბარგის საგრაფომ, შარლოტში, ჩრ. კაროლინა, ა.შ.შ, გასულ ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში რამდენიმე გრანტი მიიღო კერძო სექტორიდან, ძირითადად საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების მიზნით.

8) მეურვეობა (საქველმოქმედო გრანტი)

იგი ბიბლიოთეკის მომსახურების სფეროსთანაა მიახლოებული და იძლევა უფრო თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას დაფინანსების მოსაპოვებლად. წარმატებული გრანტები არის ახალ ზელანდიასა და შეერთებულ შტატებში, ხოლო ბრიტანეთის სამეფოში ხელისუფლების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ გრანტებს არსებითი სარგებლობა არ მოუტანიათ.

9) ეროვნული დაფინანსების წყაროები


სახელმწიფო უწყებების დაფინანსების ძირითადი წყაროების გარდა, საჯარო ბიბლიოთეკებმა ფონდები უნდა მოიპოვონ ეროვნული სააგენტოებისაგან, როგორცაა ეროვნული ლაგორიები, ხელოვნების საქველმოქმედო ფონდი, რეგიონალური განვითარების ან ალორძინების ფონდი და ევრო-კავშირის ფონდი. ეს უკანასკნელი მომავალში დაფინანსების მთავარი წყარო უნდა გახდეს.

ხელისშემშლელი მიზეზები

ბიბლიოთეკებმა უნდა შეძლონ დაბრკოლებების დაძლევა, რათა წარმატებით მოიზიდონ თანხები.

1) ნდობის ფაქტორი

გაერთიანებულ სამეფოში დამკვიდრდა გრადიცია, რომ უფასო საჯარო ბიბლიოთეკები სახელმწიფო დაფინანსებაზეა. დაფი-



ნანსების სხვა წყაროები, შეიძლება აქცენს ღონორის ინგერესებზე უფრო აკეთებდნენ, ვიდრე გრადიციულ მომსახურებაზე.

2) პერსონალის პოზიცია

ჩრდილოეთ იორქშირის საგრაფოს გამოკვლევებმა ცხადყო, რომ სუბსიდირებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების მიუხედავად, ბიბლიოთეკების თანამშრომლებს არ სურთ კომერციული სამყაროს ბიბლიოთეკებში შეშვება. ეკონომიკური რეალობის აღიარების შედეგად ეს ფილოსოფია უარყოფილია.

3) ნეიგრალიგეტი

ბიბლიოთეკების ნეიგრალიგეტის გრადიცია (განსაკუთრებით პოლიტიკური და რელიგიური) წინააღმდეგობაში მოდის სუბსიდიების გამოცემა ორგანიზაციის მიერ ამა თუ იმ სახის შეწირულობებზე გაკეთებულ მიძღვნასთან.

4) საზოგადოების წინააღმდეგობა

იქ, სადაც არსებობს გრადიციულად უფა-

სო სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი საჯარო ბიბლიოთეკები, საზოგადოება უარს ამბობს ბიბლიოთეკებისათვის დამატებითი თანხების გადახდაზე. ეს წინააღმდეგობა დაძლეულ უნდა იქნეს, თუ გვინდა, რომ ბიბლიოთეკები გადარჩეს.

5) დამატებითი შემოსავლის გამოყენება ხშირად ადგილობრივი ხელისუფლება განიხილავს დამატებით შემოსავალს, როგორც ხარჯების დაბალანსირების საშუალებას. ეს მდგომარეობა შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ, მაგ. “სავაჭრო ანგარიშების” შემოღებით. ბიზნესი, სულ უფრო მეტად განსაზღვრავს ურთიერთობებს საზოგადოებაში და ღონორებს სურთ იცოდნენ, რომ მათმა ფულმა ბიბლიოთეკის მომსახურებას სარგებელი მოუტანა.

სტატია თარგმნილია ინგლისურიდან ნ. ალიაბაშვილის და ი. ღარიბაშვილის მიერ [www. bertelsmann-stiftung.de/dokumente/knighxel.pdf](http://www.bertelsmann-stiftung.de/dokumente/knighxel.pdf)-დან

თავდაკირველად აღუფრთხვავალი ვიყავი ქართველი მკვლევარების ტარების მანერით!

თბილისში უკვე სამ წელზე მეტია არსებობს ალექსანდრე დიუმას სახ. ფრანგული კულტურის ცენტრის მედიათეკა. იგი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაშია განთავსებული. როცა მედიათეკაში შედიხარ, ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს საფრანგეთში აღმოჩნდი. ფრანგულ გარემოს აქ მედიათეკის დირექტორი ალენ პორი ქმნის.

ფრანკოფონი, და არა მარტო ფრანკოფონი, ქართველი მკითხველისათვის ეს საყვარელი ადგილია. ყოველდღიურად აქ მრავალრიცხოვანი მკითხველი შემოდის, რათა ისარგებლოს თანამედროვე საფრანგეთის ცხოვრებისა და კულტურის ამსახველი წიგნებით და პერიოდული გამოცემებით.

მედიათეკის მეზანიანი მუდმივად გადავირთულია. აქ მკითხველს შეუძლია მოუსმინოს კლასიკური მუსიკის დისკებს თუ ვარიეტეს, ნახოს მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმები, გაეცნოს სხვადასხვა ღარგის ამსახველ სედერომებს.

ვესაუბრებით მედიათეკის დირექტორს ბენ ალენ პორს:

მაკა ლომაძე – რა მიზანს ისახავდა ფრან-

გული მხარე კულტურული ცენტრის მედიათეკის დაარსებით?

ა.პ. – ოთხი წლის წინათ, როცა ჩვენ ვაარსებდით ამ ორგანიზმს, ჩვენი მიზანი იყო პუბლიკისათვის შეგვეთავაზებინა დოკუმენტები დღევანდელ საფრანგეთზე. სურვილი გვქონდა, ეს კოლექციები წარმოგვეჩინა მიმზიდველი, ცოცხალი და მრავალფეროვანი ფორმით. ეს უნდა ყოფილიყო საფრანგეთის ერთი პაგარა კუთხე. ჩვენი მოდელი გახლდათ საფრანგეთის მედიათეკები, რომლებმაც განვითარების მაღალ დონეს მიაღწიეს ბოლო ოცი წლის მანძილზე, სადაც წიგნების გვერდით მკითხველისათვის თავისუფალ სარგებლობაშია პერიოდული გამოცემები, კომპაქტური დისკები, ვიდეოკასეტები, სედერომები. ჩვენი მკითხველისათვის შევქმენით ინდივიდუალური კონსულტაციის პოსტები, სადაც მათ შეუძლიათ უყურონ ფილმებს და მოუსმინონ მუსიკას. ამგვარად, მედიათეკაში შემოსულ თითოეულ მკითხველს შეუძლია თავისი გემოვნების შესაბამისად განიგვიროს: დაათვალიეროს ჟურნალები სამზარეულოს შესახებ, წაიკითხოს მასალა არქიტექტურაზე თუ წიგნი ხელოვნებაზე, ან სულ უბრალო – აიღოს “ელლის” უკანას-

კნელი ნომერი. პერიოდიკის სექცია ერთ-ერთი წამყვანია მედიათეკაში. ჩვენ ყოველკვირეულად ვლავლებოთ ახალ ნომრებს, ამჟამად გამოწერილი გვაქვს 70 დასახელება. ამასთან, საინფორმაციო მომსახურება ჩვენთვის რჩება მომსახურების პრიორიტეტულ სფეროდ.

მ.ლ. არის თუ არა ფრანგული მხარე კმაყოფილი თავისი შემოქმედების ნაყოფით? როგორ უყურებთ თქვენ ამას 4 წლის შემდეგ?

ა.პ. უნდა გითხრათ, რომ ჩვენ შედეგად მივიღეთ ის, რასაც ველოდებოდით: სივრცის მკაფიოობა, ადამიანთა თავისუფალი მოძრაობა, ლოკუმენტების თავისუფალი სარგებლობა, შესანიშნავი საბიბლიოთეკო ავეჯი, საინტერესო კოლექციები. მრავალრიცხოვანმა პუბლიკამ აღმოაჩინა ეს ადგილი, რომელიც ნოვატორულად გვევლინება თავის სფეროში. საინფორმაციო ცენტრი საფრანგეთზე, რომელიც ითვალისწინებს პერსონალურ მომსახურებას, პუბლიკას კითხვებზე მუსტად სცემს პასუხს. 3 წელიწადში ბევრი სამუშაო შესრულდა. ეხლა ხანს დასრულდა ინფორმაციზაცია, რაც იძლევა კოლექციების თანამედროვე ტექნოლოგიით მართვის შესაძლებლობას. გასაკეთებელი კიდევ ბევრი რჩება.

მ.ლ. თქვენ 4 წელი გაატარეთ საქართველოში და გარკვეულწილად “ქართველიც” გახდით. რას იცოდით თბილისში გატარებულ წლებზე?

ა.პ. დასაწყისში მეტი დრო მქონდა საქართველოს გასაცნობად. შემდეგ მედიათეკის საქმეებმა გამიგაცა და ახლა პრაქტიკულად დრო აღარ მრჩება სეირნობისათვის და ქართული ყოფის პაგარა-პაგარა სიამოვნებებისათვის, რომელიც მართლაც მშვენიერია. არაჩვეულებრივი მოგონებები მაკავშირებს იმ ქართველებთან, რომლებმაც მეგობრობა შემომთავაზეს. ასევე მიყვარს ამ ქვეყნის კლიმატი, მისი პეიზაჟები. საქართველო შესანიშნავი ქვეყანაა საცხოვრებლად.

ძალიან მიყვარს რემო გაბრიაძე როგორც ადამიანი და რეჟისორი, მისი სპექტაკლები, მიყვარს

ქართული პოლიფონური სიმღერები, თბილისობა, ხაჭაპური, თბილისური ბაფხულის საღამოები და, საერთოდ, თბილისი, მისი გამწვანება, მკვიდრად ნაგები სახლები, ამ ქალაქისათვის დამახასიათებელი არქიტექტურა. საუბედუროდ, ანარქიული მშენებლობები ამახინჯებს თბილისის ფასადს. ქალაქის მართლ ნამდვილი აგრესია იგრძნობა.

მ.ლ. თქვენი აზრი ქართველების შესახებ. მათი კარგი თვისებები და ნაკლი, რაც თვალში სცემს უცხოელს. რით განსხვავდებიან ფრანგები ქართველებისაგან?

ა.პ. ქართველები კაცთმოყვარე და გულუხვი ხალხია. ისინი ყოველთვის მზად არიან სხვის დასახმარებლად, აღმერთებენ ბავშვებს. ფრანგებისაგან განსხვავებით, ქართველები საქმეს უფრო იოლად უდგებიან, რაც მათ პლასტიურ ხდის ურთიერთობაში, მაგრამ საქმისთვის ასეთი დამოკიდებულება საბოლოოდ საზიანოა.


მ.ლ. როგორ მოგწონთ ქართული სამზარეულო?

ა.პ. მე ვეთანხმები ალექსანდრე დიუმას შეხედულებას, რაც მან გამოთქვა თავის წიგნში “კავკასია”. ერთი მხრივ, ქართული სამზარეულო გასაოცარია და მეორეს მხრივ, სუფრა დამლელია თავისი ერთფეროვნებით.

მ.ლ. შეგიძლიათ გაიხსენოთ ქართული ყოფის წესები, რომლებმაც თავიდან შოკში ჩაგაგდეს, შემდეგ კი ისინი თქვენს ყოფაშიც შემოვიდნენ და ერთგვარად გაითავისეთ კიდეც?

ა.პ. თავდაპირველად აღშფოთებული ვიყავი ქართველი მძღოლების გარების მანერით, შემდეგ თანდათან შევეჩვიე ამ რეალობას და ბოლოს ეს სცილი გავითავისე კიდეც. საფრანგეთში აღმოვაჩინე, რომ მანქანა “ქართული მანერით” მიმყავდა, კინაღამ ფეხით მოსიარულეებს და ჩემი თანამემამულეების გულისწყრომაც დავიმსახურე. რამაც მართლა შოკში ჩამაგდო და რაც დღემდე ჩემში უდიდეს გაკვირვებას იწვევს, ესაა საქართველოს მიწის და ბუნებისადმი მი-





ყენებული გამოუსწორებელი ზიანი.

მ.ლ. თქვენი ყველაზე ბედნიერი დღე საქართველოში. რა კურობი გახსენდებათ?

ა.პ. ჩემი ყველაზე ბედნიერი დღე იყო ჩემი ქალიშვილის დაბადება, თუმცა ეს საფრანგეთში მოხდა.

მასხენდება ასეთი კურობი: გვიანი იყო, გარეთ ბნელოდა, მედიათეკაში მარგო ვიყავი. უცებ მესმის, რომ კარი ხმაურით იღება და შემოდის მძარცველი იარაღით ხელში, რომელსაც ჩემი განადგურება უნდა... ძალიან შემეშინდა. როცა დავმშვიდდი, დავინახე, რომ ეს იყო ბიბლიოთეკის თანამშრომელი გოგი აფრიდონიძე, რომელიც წინა დღით ნათხოვარ მგვერსასრუს მბრუნებდა.

კურობია ალბათ ისიც, რომ ჩემი პაგარა გოგონა, რომელიც გაჭირვებით გვეკონტაქტება ფრანგულად, მშვენივრად მეგყველებს რუსთაველის ენაზე.

მ.ლ. თქვენ საქართველოში გახლით მამა. თქვენი ქალიშვილი, რომელიც 2 წლისაა, თბილისში გაიზარდა, იგი თბილისის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში დადის და შესანიშნავად ლაპარაკობს ქართულად. რას ნიშნავს ლუიზისათვის საქართველო და ექნება თუ არა მას აქედან წასვლის შემდეგ “მშობლიური ქვეყნის” ნოსტალგია?

ა.პ. ლუიზისათვის საქართველო არის ხაჭაპურის ქვეყანა (იგი გიჟდება ხაჭაპურზე), ესაა მისთვის სხვადასხვა გემო, სიგყვები, ძიძის სიტბო და, საერთოდ, ქართველების სიტბო. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მან არ დაივიწყოს “მშობლიური” ენა.

მ.ლ. თქვენ ორ თვეში მიდისხართ საფრანგეთში. წასვლის წინ ყოველთვის აჯამებენ მოღვაწეობის განვლილ პერიოდს. როგორია თქვენი ანგარიში? კმაყოფილი ხართ თქვენი მოღვაწეობით თუ უკმარისობის გრძნობა მიგყვებათ?

ა.პ. რა თქმა უნდა, ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი. გულახდილიად რომ გითხრათ, კიდევ ერთი წელი ვისურვებდი აქ დარჩენას, რათა დამსრულებინა ჩემი პროექტი. ვფიქრობ, რომ თამრიკო ხოსრუაშვილი, რომელიც მე შემ-

ცვლის, ის პიროვნებაა, რომლის ხელშიც მედიათეკა საიმედოდ განაგრძობს არსებობას.

მ.ლ. გამგზავრებას ხშირად ახლავს სევდა. როგორია თქვენი განწყობა წასვლის წინ? ისურვებდით აქ ისევ დაბრუნებას? რომ შეიძლებოდა თქვენი მისიის გამეორება, რას შეცვლიდით?

ა.პ. მოსაწყენად არ მცალია. შეიძლება სევდა დამეუფლოს საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ. საქართველოში ნამყოფი უცხოელები გრძნობენ ამ ქვეყნის მაგიას. თუ საქართველოში მეორედ ჩამოვალ მისიით, ვეცდები განვახორციელო ბიბლიოთეკონომიური პროექტი საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით.

მ.ლ. და ბოლოს, როგორ გესახებათ საქართველოს მომავალი? რას უსურვებდით ქართველებს?

ა.პ. საქართველოში არსებობს გარკვეული პოტენციალი. აქ არის ტურიზმის განვითარების საფუძველი. მაგრამ რა დღეშია გზები! მე არ მესმის, რას ელოდებიან, რაგომ არაფერს ფიქრობს ამის გამოსწორებას. თუ ვინმე იმრუნებს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, ამას მოყვება პოზიტიური ძვრების მთელი სერია, და ეს იქნება აუცილებელი იმპულსი ქვეყნის პირობების შესაცვლელად. ქართველები სტუმართმოყვარე და გულდია ხალხია, მათი ქვეყანა არ უნდა იყოს ჩამორჩენილი. ქართველებს ვუსურვებ აყვავებულ საქართველოს, ისინი ამას იმსახურებენ.

ესაუბრა: მაკა ლომაძე.

გადმოღებულია ინგლისურიდან “ჯორჯჯიან თაიმისი” 2002 წლის 8 ივლისის ნომრიდან.

რედაქციისათვის: ბატონმა ალენ პორმა მართლაც ბევრი რამ გააკეთა საქართველოში ფრანგული ცენტრისა და მედიათეკის შექმნისა და განვითარებისათვის. მას საკმაოდ მჭიდრო კავშირი ჰქონდა ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ჩვენს რედაქციასთან. ჩვენი კოლექტივები გულთბილად ულოცავენ მას გზას, ჯანბრთელობას და ცხოვრებაში წარმატებებს უსურვებენ.

თენგიზ ჩხიტიანი

ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო
ისტრუქტურის ბიბლიოთეკის გამგე, პედაგ. მეცნ.
კანდი.

ძართაველი და ამერბაიჯანელი ხალხების მეგობრობასა და კულტურულ გრადიციებს უხსოვარ ღროში აქვს ფესვები გადგმული. ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა და გაღრმავდა მას შემდეგ, რაც ბაქოში ამოქმედდა ნავთობსარეწები. უმრავი მუშა და სპციალისტი მოაწყდა მაშინ ბაქოს. ასე ჩამოყალიბდა რამდენიმე დიასპორა, მათ რიცხვს ეკუთვნოდა ქართველთა სათვისტომოც.

ქართულმა დიასპორამ იმთავითვე დიდი საგანმანათლებლო საქმიანობა წამოიწყო. ამერბაიჯანელი და ქართველი ხალხების კულტურული გრადიციების თვალსაჩინო დასტურია ბაქოში ქართული სკოლის დაარსება, რომელიც იქმცხოვრები ქართველების შვილებისთვის გაიხსნა. სკოლამ უდიდესი როლი შეასრულა ბაქოში მცხოვრები ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში.

საგულისხმოა, რომ სკოლა დაარსდა “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” ბაქოს განყოფილების უმუალო ინიციატივით, რომელიც 1909 წელს შეიქმნა. განყოფილების თავჯდომარე იყო ს. თაქთაქიშვილი, მოადგილე – ს. კვიციანი და ხაზინადარი – ვ. ხუჭუა. განყოფილებამ თხოვნით მიმართა “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” გამგეობას ბაქოში მცხოვრები ქართველებისთვის გაეხსნათ სკოლა. მაღე განყოფილებასთან შეიქმნა სასკოლო კომისია, რომელსაც დაევალა სკოლის გახსნისთვის საჭირო პირობების შექმნა. ქალაქის საბჭომ შეიწყნარა კომისიის თხოვნა და გამოუყო სკოლის შენობისთვის 500 კვადრატული საკენი ადგილი. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ბაქოს განყოფილებას გაუგზავნა 1145 მანეთი სკოლის შენობის ასაგებად. ამავე ღროს, ადგილობრივი ქართველების მიერ შეგროვილი თანხის შედეგად აგებულ იქნა ორსართულიანი შენობა 4 ოთახით.

ბაქოს ქართული სკოლა 1909 წლის 2 ოქტომბერს გაიხსნა. სკოლა შედგებოდა ორი განყოფილებისაგან, პირველ განყოფილებაში მიღებული იქნა 26 მოსწავლე, მეორე განყოფილებაში – 17, უფროს მასწავლებლად და სკოლის გამგედ დაინიშნა ბ. რამიშვილი, მეორე მასწავლებლად – ნინო გამრეკელი. 1910 წელს გაიხსნა მესამე განყოფილება. მასწავლებლებად მოწვეულ იქნა ქ. ბაქრაძე. 1911 წელს სკოლაში ირიცხებოდა 73 მოსწავლე. მოსწავლეთა კონგინგენის მრდასთან დაკავშირებით საჭირო შეიქმნა სკოლისათვის მიეშენებინათ დამატებითი ოთახი. მომდევნო წელს სკოლაში განთავსდა ქართული ღრამაგული თეატრის სექციაც, სადაც გაკვეთილების შემდეგ იმართებოდა რეპეტიციები. სკოლის ერთი ოთახი ეკავა ბიბლიოთეკა-წიგნსაცავს. ალბათ არც კი ღირს იმაზე ლაპარაკი, სკოლისთვის, როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისა და ბაქოში მცხოვრები ქართველებისთვის ამ ბიბლიოთეკას რა მნიშვნელობა ჰქონდა.

ბიბლიოთეკა ჩაბარებული ჰქონდა ერთერთ მასწავლებელს. საარქივო მასალებში არ ჩანს, თუ რომელი მასწავლებელი ასრულებდა ბიბლიოთეკარის მოვალეობას, ბიბლიოთეკა დღად ეხმარებოდა მასწავლებელს ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. თავისუფალ ღროს სკოლის ბიბლიოთეკაში ეწყობოდა წიგნების განხილვა, ხმამაღალი კითხვები, სხვადასხვა ღონისძიებები. ბიბლიოთეკა იყო არა მარგო მოსწავლეთა, არამედ მასწავლებელთა და თანამშრომელთა თვითგანვითარების საყვარელი ადგილი. საზოგადოების მთავარი გამგეობა სკოლის ბიბლიოთეკას უწერდა ჟურნალ-გაზეთებს, უგზავნიდა ქართველ და საზღვარგარეთის მწერალთა წიგნებს, საბავშვო და ახალგაზრდობის ნაწარმოებებს, სასკოლო და საკანცელარიო ნივთებს.

1914 წლიდან სკოლაში 4 განყოფილება

იყო. სწორედ ამ დროს სკოლის გამგედ და მასწავლებლად მუშაობას იწყებს მეთოდუ კაკაბაძე, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ამ სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ამბღლების საქმეში. პედაგოგიურმა საბჭომ ცვლილებები შეიგანა სასწავლო პროგრამებში, გააძლიერა რუსული ენისა და მათემატიკის სწავლება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების საქმეში წინგადადგმული ნაბიჯები, დიდი ადგილი დაეთმო პროგრამებში ქართველი მწერლების, ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზბეგის და ნ. ლომოურის ნაწარმოებების შესწავლის საქმეს. რუსული ენის სწავლების გაძლიერების მიზნით, გადახალისდა სასწავლო გეგმები, ბიბლიოთეკას გამოუწერეს რუსულენოვანი გამეთები, გადახალისდა სასწავლო გეგმები, შეძენილ იქნა პუშკინის, ლერმონტოვის, ბელინსკისა და სხვა მწერლების ნაწარმოებები. მიზანი ცხადი იყო – სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები სწავლას გააგრძელებდნენ ბაქოს რუსულ სკოლებში და მათთვის აუცილებელი იყო რუსული ენის გაძლიერებული სწავლება.

სკოლის სასწავლო პროცესის მაღალი დონის წარმატებებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სკოლა 1915 წელს შეუმოწმებია საზოგადოების გამგეობის წევრს გ. ბურჭულაძეს, რომელიც დასწრებითა გაკვეთილებს, შეუმოწმებია მოსწავლეთა ცოდნის დონე და თავის მოხსენებაში გამგეობისადმი აღნიშნავდა: “სკოლა და მისი ცხოვრება მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველებზედ. კლასები ნათელი და სუფთაა. მოსწავლეები გამგონიანი და სუფთად ჩაცმულნი, სასწავლებელი კეთილადაა მოწყობილი, ერთი სიგყვით, ყველაფერს ეგყობა მზრუნველი ხელი, მასწავლებლები ერთგულად და ერთსულოვნად მუშაობენ და შეერთებული ძალებით ცდილობენ პირნათლად შეასრულონ ნაკისრი მოვალეობა”.

სკოლაში სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სკოლის სამკურსდამთავრებულს – ვ. ნიკოლაიშვილს, კ. ახვლედიანს და ა. გოგიჩაიშვილს, რომელთაც სწავლა გაუგრძელებიათ ბაქოს გიმნაზიაში, სწავლების მაღალი წარმატების მიღწევისათვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ სტიპენდია დაუნიშნა.

იმავე წელს საზოგადოების მთავარმა გამგეობამ სკოლას გაუგზავნა “ლედა ენა”, “რუს-სკოე სლოვო”, საქართველოს ისტორიულ-რეკა, სხვადასხვა თვალსაჩინო მასალები და ბიბლიოთეკის წიგნები.

1917 წელს სკოლა შეამოწმეს გ. ლასხიშვილმა და სასკოლო სექციის წევრებმა ნ. კალანდარიშვილმა და ვ. ბურჯანაძემ, რომლებმაც აღნიშნეს, რომ “მოსწავლეებმა ქართულ ენსა და ქართულ ისტორიაში კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს, მასწავლებელთა შორის არსებობს სრული სოლიდარობა, რაც აორკეცებს საქმის ნაყოფიერებას”. კომისია განაკუთრებით კმაყოფილი დარჩა საწავლებლის ბიბლიოთეკის მუშაობით და აღნიშნავდა ბიბლიოთეკის ფონდის საკმაოდ სოლიდურ რაოდენობას – 2100-მდე ერთეულს.

ბიბლიოთეკა ემსახურებოდა როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე სხვა მკითხველებსაც, ქართული დრამატული თეატრის სექციის წევრებსაც.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართული დრამატული თეატრის სექციის წვლილი ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში ბაქოსა და მთელს აზერბაიჯანში, თეატრის სექცია ქართული სკოლის შენობაში იყო განთავსებული. მისი წევრები იყვნენ: ნ. გამრეკელი, ს. მესხი, ა. ნადირაძე, ნ. ჩაგუნავა, ვ. შველიძე, ვ. ამაშუკელი, ა. ახობაძე, პ. დვალი, ნ. თალაკვაძე, ვ. კანდელაკი, შ. მარჯანოვი და სხვა.

ქართულმა დრამატულმა თეატრმა 1910 წელს დადგა 5 წარმოდგენა: “უბედური დღე”, “ეხლანდელი სიყვარული”, “მარგალიტა გოგიე”, “სიმახინჯე” და “ცხოვრების გარეშე”. აღნიშნულ წარმოდგენებს დასწრებითა საშუალოდ 200-ზე მეტი მაყურებელი. დრამატული სექცია დიდი სიყვარულით სარგებლობდა მაყურებელში.

1921 წელს ბაქოს ქართული სკოლის და მასთან არსებული ბიბლიოთეკის მართვა-გამგეობა გადაეცა აზერბაიჯანის მთავრობას.

ერთ პაგარა სტაგიაში შეუძლებელია ყველა იმ დონისძიების აღნუსხვა, რომლებიც გააგარა აღნიშნულმა სკოლამ და მასთან არსებულმა ბიბლიოთეკამ ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში ქ. ბაქოში. აღსანიშნავია, რომ ქართული სკოლა და მისი ბიბლიოთეკა კიდევ დიდხანს ფუნქციონირებდა საბჭოთა ხელისუფლების დროსაც.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკა

ძველი სამყაროს საოცრება



უძველესი დროიდან ეგვიპტეს აღიარებულენ კაცობრიობის ცივილიზაციის აკვნად, ხოლო ალექსანდრიის ბიბლიოთეკას სამყაროს მერვე საოცრებად.

ჩვ.წ. აღრიცხვამდე მე-4 საუკუნეში ლექსანდრე მაკედონელის არმიის სარდალმა – პტოლემეოსმა, რომელსაც სამეფო კენჭისყრით ერგო ეგვიპტე, ალექსანდრია შეარჩია თავისი ადმინისტრაციისა და ბერძნული კულტურის ცენტრად. მან აავგო ძველი სამყაროს უდიდესი ბიბლიოთეკა – “მუზეონი” (მუზების სამყოფელი), რომელიც ფაქტიურად უდიდეს ღია უნივერსიტეტს წარმოადგენდა. საკმარისია ითქვას, რომ აქ მოღვაწეობდნენ უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსები, მათემატიკოსები, ასტრონომები. ბიბლიოთეკის წყობა არის გოგ-

ობა სინანულს იწვევდა ყველაში, ვისთვისაც რელიგიურ ფანატიზმს ჯერ სრულად არ დაეხვედნენა გონება”.

ამ ყოველივე უბედურების შედეგად ბიბლიოთეკა განადგურდა, ხოლო კაცობრიობამ დაკარგა უდიდესი ფილოსოფიური, სამეცნიერო თუ ლიტერატურული საგანძური. მაგალითად სოფოკლეს 123 პიესიდან მხოლოდ 7-მა მოაღწია ჩვენამდე.

აღდგენა

ოთხი წლის წინ ეგვიპტის მთავრობამ დაიუნესკომ განაცხადეს ალექსანდრიაში, იმავე ადგილას, ბიბლიოთეკის აგების გეგმის შესახებ. საყოველთაოდ გამოცხადდა აგრეთვე თხოვნა ფინანსურ დახმარებაზე.

ბიბლიოთეკის შენობა, რომელიც ნორვეგიული ფირმის პროექტით შესრულდა, ძალზე საინტერესოა არქიტექტურული თვალსაზრისით, წარმოადგენს ეგვიპტური მშის სიმბოლოს, ღიაა ზღვის მხარეს არის აგებული და შესანიშნავ პირობებს უქმნის მკითხველებს. მას არცია “დამწერლობათა კედელი”, რომელზეც მსოფლიოს ყველა ენაზეა გაკეთებული წარწერები.

ახალი ბიბლიოთეკა ხელმძღვანელობს პტოლემეუსის პრინციპით – “შეგროვდეს წიგნები მსოფლიოს ყველა ენაზე”. ამიგომ ბიბლიოთეკა მიმართავს ყველა ქვეყნის მთავრობებს აჩუქონ ალექსანდრიის ბიბლიოთეკას მათივე შერჩეული წიგნები.

ალექსანდრიის ახალი ბიბლიოთეკა მისწრაფვის გადაიქცეს “მსოფლიოს საჯარო ბიბლიოთეკად”.


მიმოხილვა ინტერნეტის მიხედვით გააკეთეს: თ. ცხაკაიამ და ი. ღარიბაშვილმა

ცოგა რამ ისგორიიდან

ალ. ლორია

ისგორიამ ისე ინება, რომ უძველეს ბიბლიოთეკებს შორის ყველაზე დაწვრილებითი ცნობები ალექსანდრიის ბიბლიოთეკის შესახებ შემორჩა. ცნობილია მისი დაარსების დრო და დამაარსებელი, გრაგნილთა რაოდენობა, მათი შემადგენლობა, გამოჩენილ ბიბლიოთეკართა ვინაობა, ღირსშესანიშნავ მკითხველთა ვინაობაც კი, მაგრამ არის ისეთი ლეგენდებიც, რომლებიც უგყუარი საბუთებით არ არის დამოწმებული.

ეგვიპტის ცენტრად ალექსანდრია ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისში იქცა და საუკუნეების განმავლობაში ითვლებოდა მსოფლიოში ყველაზე აყვავებულ ქალაქად. იგი 4 დიდ კვადრატად იყო დაყოფილი. ერთ-ერთ მათგანში პტოლომეოსთა დინასტიის სასახლეები იყო გაშენებული, აგრეთვე



ლემ ჩამოაყალიბა. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებად ცნობილი მეცნიერები ან პოეტები ინიშნებოდნენ (ერთ-ერთი მათგანი, აპოლონიოს როდოსელი, “არგონავტიკის” ავტორი იყო). მოკლე ხანში ალექსანდრიაში, თავისი მნიშვნელობით ბერძნული კულტურისათვის, შეცვალა ათენი.

ჩვენამდე მოღწეული ცნობებით აქ ინახებოდა 700 000 წიგნი, ანუ პაპირუსის გრაგნილი, ძველი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან და მრავალ ენაზე. აქვე ხდებოდა მათი თარგმნა და გადაწერა. აქ წარმოიშვა თვითონ სიგყვა “ბიბლიოთეკა” (ბერძნულად – წიგნსაცავი), შეიქმნა პირველი საკლასიფიკაციო სისტემა, ანბანური და საგნობრივი წყობა, პირველი კატალოგები (“პინაკეს”).

სამწუხაროდ განუწყვეტელმა დაპყრობებმა, ამბოხებებმა და ხანძრებმა, რომლებიც ასეთი რაოდენობით არც ერთ ბერძნულ ქალაქს არ განუცდიდა, სწრაფად დააგყო დალი ამ საოცრებას. კარგადაა ცნობილი რომაელების ეგვიპტეში ლაშქრობის შემდეგ ბიბლიოთეკის განადგურების შესახებ. ნაკლებად ცნობილია ის, რომ წიგნების დიდი ნაწილი გადაგანილ იქნა კონსტანტინოპოლში, ქრისტიანული მოღვაწეების მცდელობით “არაქრისტიანული” წიგნებისა და ნაშრომების დიდი ნაწილი გამოაკლდა ალექსანდრიას, მაჰმადიანმა მმართველებმაც აბანოს გასათბობად გამოიყენეს პაპირუსები. გიბონი წერდა “ცარიელი თაროების სანახა-

თეატრი, მუზეონი და ბიბლიოთეკა. ელინური ეგვიპტე მსოფლიოს უდიდეს კულტურულ და საგანმანათლებლო ქვეყანას წარმოადგენდა, რომელიც უმდიდრეს და უძლიერეს სახელმწიფოდ ითვლებოდა იმ დროში.

პტოლემეოს პირველი როგორც კი გახდა ელინური ეგვიპტის მბრძანებელი, ალექსანდრიის აღორძინება-აყვავებას შეუდგა. შემოიკრიბა სწავლულნი და შემოქმედი ადამიანები. აქაური მუზეონი, რომელიც გამოჩენილი იყო თავისი არქიტექტურით, აწარმოებდა არა მარტო მეცნიერულ-კულტურულ საქმიანობას, არამედ ახდენდა დაკვირვებებს ცის კამარამე, რისთვისაც აგებული იყო ობსერვატორია; გაშენებული იყო ბოტანიკური ბაღი, მოწყობილი იყო ზოოპარკი.

აქ ასობით მოსწავლე სწავლობდა, მათ ასიოდე მასწავლებელი ასწავლიდა. მათ განკარგულებაში იყო იმდროინდელი მსოფლიოს საუკეთესო ბიბლიოთეკა. პტოლემეოსის მეცადინეობით ეს ბიბლიოთეკა კარგად იყო ორგანიზებული. მის შექმნასა და განვითარებაში აქტიურად მონაწილეობდა ათენელი დემეტრიუს ფალერეველი, რომელმაც მრავალი წიგნი თარგმნა ეგვიპტურ, ასურულ, იუდეურ ენებიდან და ბიბლიოთეკას მრავალი ხელნაწერი მოუპოვა.

პტოლემეოს მეორე სხვადასხვა ქვეყნებში აგზავნიდა ელჩებს საუკეთესო წიგნების შესაძენად. დემეტრიუსის რჩევით მან არისტოტელეს მდიდარი ბიბლიოთეკაც შეიძინა, ხოლო პტოლემეოს მესამე იძულებულს ხდიდა ალექსანდრიის ნავსადგურში შემოსულ ყველა სტუმარს, დაეთმო ბიბლიოთეკისათვის ხელნაწერი, თუკი მას ასეთი კი გააჩნდა.

განსაკუთრებით ცნობილ მწერალთა და მეცნიერთა ორიგინალებზე ნადირობდა. მისი ხალხი ასეთ ორიგინალებს ჩამოართმევდნენ ხოლმე მფლობელთ, ურიცხვი გადამწერების მეშვეობით გადაიღებდნენ მას და პაგრონს ასლს უბრუნებდნენ წერილობითად დამოწმებულს, რომ ასლები დედანს საესებით ემთხვეოდა.

ერთ-ერთი დიდი მოუსავლიანობის დროს ის იმ პირობით დათანხმდა ათენელთათვის ხორბალი მიეყიდათ, თუკი ისინი ასლის გადასაღებად მას ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს ნაწარმოებთა ავტოგრაფულ გეჟსტებს თუ ათხოვებდნენ "გადასაწერად". ათენელებმა გირაოდ უზარმაზარი თანხა მოითხოვეს, რაზედაც პტოლემეოსი დათანხმდა, მაგრამ შემდეგ ათენელებს აღარ დაუბრუნა ორიგინალები, არჩია გირაო დაეკარგა.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკას აღორძინე-

ბის პიკში 800 ათასამდე ერთეული გააჩნდა მანძინ ცნობილ თითქმის ყველა ენაზე. აქ იყო თავმოყრილი თითქმის ყველაფერი, რაც კი საუკეთესო იყო იმ დროს ელინურ სამყაროში — ფილოსოფოსების, პოეტების გრაგიკოსების, ისტორიკოსების, ორაგორების, მათემატიკოსების, მედიკოსების, გეოგრაფთა და სხვათა შემოქმედება.

ბიბლიოთეკას ვრცელი ფართობი ეჭირა. გრაგნილები კარაღებში ინახებოდა, რომლებშიც ვერტიკალური თაროები იყო დაგანებული. კაცობრიობა ჯერ კიდევ არ იცნობდა ე.წ. კოლექსურ წიგნებს — ფურცლებს, რვეულებად შეკრულს გარეკანითა თუ ყლით. მიმდებარე ოთახებში გადამწერები მოღვაწეობდნენ. აქვე ხარისხდებოდა წიგნები და წესრიგში მოჰყავდათ ხმარებით გაცვეთილი გრაგნილები, რომელთა უმრავლესობა პაპირუსისაგან შედგებოდა. ცხადია, მრავალი იყო გყავის გრაგნილიც.


ბიბლიოთეკას გამოცდილი მუშაკები ემსახურებოდნენ. ხელმძღვანელებს თანამშემწეები ჰყავდათ. მთავარ ხელმძღვანელს უმაღლესი ხელისუფალი ირჩევდა. სხვადასხვა დროს ბიბლიოთეკას საქვეყნოდ განთქმული ადამიანები ედგნენ სათავეში: ფილოლოგი ენოდოტე, სწავლული პოეტი აპოლოლორუს როდოსელი, პოეტი-მეცნიერი კალიმაქე, მათემატიკოსი და გეოგრაფი ერაგოსფენე, ფილოლოგი არისტოფანე ბიზანტიელი.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკის სახელი შორს იყო გავარდნილი. სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიოდნენ აქ მის სანახავად და სამუშაოდ. სხვადასხვა დროს ამ ბიბლიოთეკით უსარგებლიათ ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს, როგორც იყვნენ: მათემატიკოსი ევკლიდე, გრიგონომეტრიის ფუძემდებელი ჰიპარქი, დიდი სწავლული და მოაზროვნე არქიმედე, ასკრონომი არისტარახ სამოსელი, რომელიც ძვ. წ. III საუკუნეში მივიდა დასკვნამდე, რომ დედამიწა მრგვალია; სამოსიდან იყო აგრეთვე ცნობილი ასკრონომი კაგონი, რომელსაც არქიმედე უდიდეს მეცნიერად თვლიდა.

მრავალსაუკუნოვანი არსებობის პერიოდში ამ ბიბლიოთეკამ უდიდესი როლი ითამაშა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების საქმეში.

ბიბლიოთეკის უზარმაზარ ფონდში ორიენტაციისათვის შედგენილი იყო სისტემატური კატალოგი, რომლის ავტორად კალიმაქე ითვლება.

კალიმაქე ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში რამდენიმე ათეულ წელს მოღვაწეობდა (ძვ. წ. 310-240). იგი ამავე დროს ნაყოფიერი მწერალი იყო. მან 800-მდე ნაწარმოები შექმნა ისტორიის, გრამატიკის, პოეზიის და სხვა დარგებში. პოეზიაში ის ახალი ე.წ. ალექსანდრიის მიმართულების ფუძემდებელია, მაგრამ მან განსაკუთრებულად გამოჩენილი სახელი ბიბლიოგრაფიის დარგში დაიმკვიდრა კატალოგის შედგენით. არისტოფანე ბიზანტიე-



ლის გადმოცემით, ეს კაგალოგი 120 ნაწილად იყოფოდა და მასში თავმოყრილი ყოფილა განსაკუთრებით გამორჩეული ნაწარმოებები. მოცემული იყო ცნობები არა მარგო წიგნზე, არამედ ავგორზეც. თუ ავგორი არ იყო ცნობილი, კალიმაქი ცდილობდა დაედგინა მისი ვინაობა. ეს კაგალოგი ითვლებოდა ჩვენთვის ცნობილ პირველ ბიბლიოგრაფიულ შრომად, და სწორედ ამიგომაც უწოდებენ კალიმაქეს “ბიბლიოგრაფიის მამას”. სამწუხაროდ,

თვითონ კაგალოგს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მის შესახებ ძალიან დაწერილებით ცნობებს გვაწვდის არისტოფანე ბიზანგიელი, თავის თხზულებაში “კალიმაქეს ფირფიტების შესახებ”. მიუხედავად ამისა, გაუგებრად რჩება, თუ როგორ იყო დოკუმენტების აღწერილობანი სისტემატიზებული. რაც შეეხება წიგნების განლაგების სისტემას, ის

მეგად რთული უნდა ყოფილიყო, რაც სავარაუდოა იმ მინაწერებით, რომლებიც წიგნებს უკეთებოდა – რომელ დარგს განეკუთვნებოდა იგი, რომელ ქვეყანას, სად და რომელი გადაამწერისაგან იყო დამზადებული და სხვ.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში გარდა კალიმაქისა 40 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა მისი მოწაფე ერაგოსფენე კირენელი, რომელიც გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებლად ითვლება. გერმინი “გეოგრაფია” მისი შემოღებულია. მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა შეძლო დედამიწის გრძემოწერილობის ამოგვა. ისტორიკოს სტრაბონის გადმოცემით, ერაგოსფენეს მოგზაურობის შესახებ უამრავი წიგნის წაკითხვა მოუხდა, რომლებიც ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში მოაპოვებოდა.

ბიბლიოთეკაში მრავალრიცხოვან თანამშრომელთა მოვალეობანი მკვეთრად იყო განსაზღვრული – ზოგი ახალშემოსულ ხელნაწერებს აღრიცხავდა, ზოგი მანუსკრიპტების გარჩევას ახდენდა, ზოგი ასლებს გადაიღებდა, ზოგი წესრიგს მეთვალყურეობდა, ზოგი ხელნაწერთა დაცვა-მოვლაზე იყო პასუხისმგებელი და ა.შ.

ბიბლიოთეკაში ფართოდ იყო გაშლილი გექსტოლოგიური საქმიანობა. აქ სპეციალურად იწვევდნენ ფილოლოგებს, რომლებსაც ევალებოდათ ერთმანეთისაგან გაერჩიათ ორიგინალი და ასლი, გამოეცნოთ ფალსიფიკაცია. გულმოდგინედ მუშაობდნენ გექსტების დადგენაზე. აქ ბენოლოგე ხანგრძლივად მუშაობდა ჰომეროსის ყველაზე უტყუარი გექსტის დადგენაზე.

თითქოს პარადოქსალურიც კი არის, რომ

ალექსანდრიის ბიბლიოთეკის აღრინდელი პერიოდი უფრო ნათელია, ვიდრე მისი ბოლო ხანის ისტორია. განსაკუთრებით ეს მის არაერთჯერად ხანძარს შეეხება. პირველი დაემთხვა ალექსანდრიაში იულიუს კეისრის ყოფნის დროს (47 წ.). როგორც ცნობილია, იულიუს სურდა, რომში საჯარო ბიბლიოთეკა გაეხსნა და გადაწყვიტა ალექსანდრიის ბიბლიოთეკიდან გაეგანა გარკვეული რაოდენობის გრაგნილები. როგორც ჩანს, ხანძარი არა თვით

ბიბლიოთეკას, არამედ იმ ფუთებს გაუჩნდა (ან განზრახ გაუჩინეს), რომლებიც გადასატანად იყო გამზადებული.

ლეგენდა დააქცეული აგრეთვე ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გადაწვის ამბავი არაბების შემოსევის დროს. გადმოცემით, როცა არაბთა მხედართმთავარს ამრუს უნახავს

ბიბლიოთეკა, უთქვამს: ეს წიგნები თუ ყურანს ეთანხმება, რაღა საჭირონი არიან? თუ არ ეთანხმებიან, მით უფრო არ შეიძლება მათი დაგოვებაო და ბიბლიოთეკის გადაწვა ბრძანა. ამ ფაქტის რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს. ზოგი მკვლევარი (პაკული და სხვ.) საეჭვოდ მიიჩნევენ ამას, რადგანაც თვლიდნენ, რომ არაბები ამ დროს საკმაოდ მაღალი კულტურის წარმომადგენლები არიან, რომელთათვისაც უცხო არ იყო წიგნიერი გარემო და თვით ამრუს სწავლული მხედართმთავარი ყოფილა.

ასე თუ ისე, ალექსანდრიის ბიბლიოთეკა არაერთხელ დაზარალებულა ხანძრისა თუ დარბევისაგან. დიდი დარცმვა მიაყენეს მას აგრეთვე პირველყოფილმა ქრისტიანებმაც, რაკი ერესიად მიიჩნევდნენ იქ დაცულ წიგნებს.

ამგვარად, ალექსანდრიის ბიბლიოთეკა თანდათან პარგახლებოდა. 273 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით ფაქტიურად მთლიანად განადგურდა ხანძრისაგან. ამის შემდეგ მხოლოდ ნაწილობრივ შეძლეს მისი აღდგენა, მაგრამ მან თავისი ძველი დიდება ვეღარ დაიბრუნა. 642 წელს არაბების მიერ ალექსანდრიის დაპყრობის შემდეგ ბიბლიოთეკამ სულ მალე შეწყვიტა არსებობა და მხოლოდ ხანგრძობის სახით შემორჩა კაცობრიობას... და რამდენად სასიხარულოა, რომ ალექსანდრიაში იმავე ადგილას დღეს უკვე აღმართულია სიმბოლურად ბიბლიოთეკის შენობა, რომელიც კაცობრიობის ცივილიზაციის უკვდავ ძეგლს უნდა წარმოადგენდეს.





2002 წლის 10-11 მაისს შვეიცარიის ქალაქ მონტრეში ევროსაბჭოს ეგიდით გაიმართა სამხრეთ კავკასიის საში ქვეყნის: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კულტურის მინისტრთა მე-2 შეხვედრა კოლოკვიუმი. შეხვედას დამკვირვებლის სტატუსით ასევე ესწრებოდნენ: რუსეთის, საბერძნეთის, თურქეთის, უკრაინისა და შვეიცარიის წარმომადგენლები.

შეხვედრის მიზანია იყო სამხრეთ კავკასიის საში ქვეყნის მონაწილეობით კულტურის სტრატეგიის ერთობლივი განსაზღვრა საბჭოური რეჟიმიდან დემოკრატიული საზოგადოებას კენ გარდამავალ პერიოდში ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე. ამასთან, STAGE-ის პროექტით გათვალისწინებული კონკრეტული წინადადებების განხილვა და მომავალი თანამშრომლობის მიმართულებების დასახვა.

STAGE - სამხრეთ კავკასიის საში ქვეყნის კულტურის სამინისტროებისა და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტია. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს კავკასიის რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობას და დაეხმაროს მათ კულტურის პოლიტიკის შეცვლაში. აღნიშნული პროექტის მიზანია აგრეთვე:

- კულტურის პოლიტიკის გატარების გამჭვირვალეობის დახურვა, სახელმწიფო სექტორს, კულტურის სფეროსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ახალი ურთიერთობების დასამყარებლად.
- ევროპის წამყვანი ქვეყნების კულტურის პოლიტიკის ოთხი ძირითადი ელემენტის განვითარება: (კულტურის თვითმყოფადობის წინ წამოწევა, კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა, შემოქმედების ყველა ფორმის სტიმულირება და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობა).
- რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავება.
- კულტურის სფეროს დახმარებით რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნება.

აღნიშნული პროექტის პროგრამა 2002-2003 წლისთვის სხვადასხვა სემინარებისა და ვორქშოპების ჩატარებას ითვალისწინებს, ასევე დაგეგმილია მუშაობის დამთავრება საქართველოს კულტურის პოლიტიკის მიმოხილვამდე, ევროსაბჭოს ექსპერტთა მოხსენების განხილვა საქართველოს კულტურის პოლიტიკის შესახებ მოხდება 2002 წლის 9-11 ოქტომბერს ქ. სტრასბურგში.

პროექტის ფარგლებში ასევე განხორციელდება რამდენიმე პროგრამა, რომლის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მინისტრების შეხვედრის დროს იქნა მიღებული.

მუზეუმების მხარდაჭერის პროგრამა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის

ეს პროგრამა დაეხმარება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანს მუზეუმების დარგში თანმიმდევრული კულტურული პოლიტიკის გატარებაში. პროგრამის მიზანია სამხრეთ კავკასიის საში ქვეყნის ერთმანეთთან და ევროპის ქვეყნების მუზეუმებთან დამშობილება, მუდმივი ინფორმაციის გაცვლა და გექნიკურ საკითხებზე კონსულტაციები მუზეუმების ძირითადი ფუნქციის აღსაღებლად, რაც მოიცავს:

- კოლექციებს
 - კონსერვაციას
 - სამეცნიერო კვლევებს
 - კომუნიკაციას
 - გამოფენებს
 - საზოგადოებრივ მუშაობას
 - საგანმანათლებლო პროგრამებს
- აღნიშნულ პროგრამაში გათვალისწინებული

იქნება ექსპერტების ვიზიტები, ვორქშოპები ისეთ თემებზე როგორცაა მუზეუმების მართვა, დამატებითი დაფინანსების წყაროების მოძიება, დასაქმება და სხვ. პროექტი შესაძლოა გაგრძელდეს სხვა ადგილობრივი და რეგიონალური მუზეუმების ჩართვით.

საბიბლიოთეკო სფეროს დახმარების პროგრამა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში

პროგრამის მიზანია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დახმარება საბიბლიოთეკო სფეროში თანმიმდევრული კულტურის პოლიტიკის გასატარებლად. პროგრამა ითვალისწინებს საში ქვეყნის ეროვნული ბიბლიოთეკების ერთმანეთთან და ევროპის ბიბლიოთეკებთან დამშობილებას, მუდმივი ინფორმაციის გაცვლისა და გექნიკური კონსულტაციების მიზნით, რათა აღდგეს და გაძლიერდეს თანამედროვე ბიბლიოთეკის ფუნქციები, რაც მოიცავს:

- წიგნალი ფონდების დიგიგალიზაციასა და შენარჩუნებას
- ბიბლიოგრაფიული მასალების შექმნასა და განახლებას
- მულტიმედიასთან ინტეგრირებული ბიბლიოგრაფიული მომსახურების შექმნას
- ინტერაქტიული მულტიმედია მისაწვდომობას ახალგაზრდებსა და ბავშვებისათვის
- მომსახურების შექმნას სპეციალური სასწავლო პროგრამებისათვის ("სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში")
- ინფორმაციის გაცვლას
- ვირტუალური ბიბლიოთეკის შექმნას

აგრეთვე ბიბლიოთეკების თანამშრომლებსათვის შიდა ტრენინგების ორგანიზებას, ექსპერტების ვიზიტს, ვორქშოპების მოწყობას ბიბლიოთეკების მართვაზე, დამატებითი დაფინანსების წყაროების მოძიებაზე, დასაქმებაზე და ა.შ.

კულტურის აღმინისტრატორების ტრენინგის პროგრამა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის

რეგიონის კულტურის აღმინისტრატორებისა და მენეჯერებისათვის აუცილებელია სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა იმისათვის, რომ მათ ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოსთან ადაპტირება შეძლონ, რათა ჰქონდეთ საშუალება ხელოვნების და კულტურის მნიშვნელოვანი როლის აღმოსაგრიებისა სამოქალაქო საზოგადოებაში. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს კულტურის აღმინისტრატორების სფეროში არსებული მოთხოვნების გამოკვლევას ინფრასტრუქტურისა და დაფინანსების მხრივ სამივე ქვეყანაში.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს რეკომენდაციების გაწევას, გექნიკურ დახმარებებს და საში საცდელი პროექტის განხორციელებას კულტურის მენეჯერთა ტრენინგების სფეროში, ყოველი ქვეყნის კულტურის პოლიტიკის პრიორიტეტებიდან გამომდინარე. საცდელი პროექტის ძირითადი თემები იქნება:

- კულტურის ორგანიზაციების მართვა
- მონაწილეობის სტიმულირება
- საზოგადოებასთან ურთიერთობა
- დამატებითი დაფინანსების წყაროები და ბიუჯეტის მართვა

ტრენინგი ჩატარდება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

მინისტრების შეხვედრაზე აგრეთვე განხილეს თანამშრომლობის კონკრეტული წინადადებები რუსეთსა და საქართველოს, ასევე შვეიცარიასა და საქართველოს შორის კინემატოგრაფიის სფეროში.



გერმანულ-ქართული ლექსიკონი
(რეცენზია)

ამთავრან სულაქველიძე
პედაგოგიკის ინსტიტუტის უფროსი
კათედრის პედაგოგი

შვეიცარიის სამეცნიერო კვლევის მოთხოვნათა ეროვნული ფონდის მხარდაჭერით გამოიცა გერმანულ-ქართული ლექსიკონი, რომლის ავტორი ვახლავთ ქართული კულტურის დიდი თავყვანისმცემელი და მეგობარი, შვეიცარიელი ქართველოლოგი პროფესორი იოლანდა მარშევი.

ი. მარშევი ქართველოლოგიის სფეროში გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოღვაწეობს. ქართული ენის შესწავლაში მას დიდი დახმარება გაუწია ციურისის უნივერსიტეტის ქართული ენის პროფესორმა კ. ჩხენკელმა. წლების განმავლობაში ის იყო ბაგონ კიგა ჩხენკელის მეცნიერ-ასისტენტი, ეხმარებოდა მას ქართულ-გერმანული ლექსიკონის შედგენაში. თავისი მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ (1960 წ.) ანდერძის თანახმად ციურისის უნივერსიტეტმა იოლანდა მარშევი მიანდო ქართულ-გერმანული ლექსიკონის რედაქტირება, რომელიც 1974 წ. გამოვიდა სამგომად.

დიდა ქალბატონი ი. მარშევის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. მის მიერ, თავის მეგობარ თანაავტორებთან ერთად (ლეა ფლური და რუთ ნოიკომი) გერმანულ ენაზე თარგმნილი იქნა "ვეფხისტყაოსანი", "ვისრამიანი", ქართველი მწერლების მოთხრობები და ასევე სტატიები ქართულ კულტურასა და ლიტერატურაზე. წლების განმავლობაში ი. მარშევი მოღვაწეობდა ციურისის უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა ლექციებს ქართულ ენაში. ამ უნივერსიტეტში ქართული ენის სწავლება უკვე დაკანონდა და ფაკულტატურ საგნად იქცა.

ჩვენ ხელთ არსებული გერმანულ-ქართული ლექსიკონი (Deutsch Georgisches Wörterbuch) ძირითადად გამომუშავებულია გერმანული ენით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის. ლექსიკონის შემდგენელთა მთავარ მიზანს წარმოადგენს ის, რომ რაც შეიძლება სრულყოფილად გადმოგვცენ გერმანული ენის სალექსიკონო შემადგენლობა, რომელშიც ჩართულია არა მხოლოდ საყოველთაოდ ხმარებული სიტყვები, არამედ ასევე შედარებით იშვიათად გამოიყენებული ლექსიკონი ერთეულებიც. ლექსიკონი მდიდარია ისეთი გერმანული, რომელთაც ვიყენებთ მეცნიერებისა და კულტურის სფეროში; მხატვრულ ლიტერატურაში და საგამეთო სტატიებში. ლექსიკონში გამოყენებულია ასევე ისეთი გამოთქმები, რომელთაც ფართოდ იყენებენ საყოფაცხოვრებო სასაუბრო ენაში.

აღრუელ წლებში გამოცემულ გერმანულ-ქართულ ლექსიკონებთან შედარებით ეს ლექსიკონი ყველაზე დიდი და სრულყოფილია თავისი მოცულობით.

ლექსიკონში სიტყვები ანბანური წესითაა დალაგებული. ერთი სიტყვის სტატიებში მოთავსებულია ყველა ის სიტყვა, რომელიც თავსიტყვის მეშვეობით არის ნაწარმოები. სიტყვათწარმოებაში მონაწილეობას იღებს არა ყველა სიტყვა, არამედ მხოლოდ ის სიტყვა, რომელიც ანბანური რიგის მიხედვით მოსდევს თავსიტყვის ბოლო ასოს. ყველა გერმანული სიტყვა ლექსიკონში მუქად არის დაბეჭდილი, მაშინაც კი, როცა გილდიან სათაურს ვხვდებით. მაგ. ein/ beziehen ~biegen (იხ. გვ. 135).

schwimm/art f, ~bassin, ~becken;

თითოეულ სალექსიკონო სტაგიაში მოცემულია მრავალრიცხოვანი მაგალითი თავსიტყვის სხვადასხვა წინადადებაში საილუსტრაციოდ. თითოეულ სალექსიკონო ერთეულს ახლავს გრამატიკული მარკერები, რომლებიც მიუთითებენ, თუ რომელი მეტყველების ნაწილს ეკუთვნის სალექსიკონო ერთეული და რა ფორმალური თავისებურებები ახასიათებს მას.

სარეცენზიო ლექსიკოგრაფიულ შრომაში არსებითი სახელი მოცემულია მხოლოდ რიცხვის სახელობითი ბრუნვის (ნომინატივის) ფორმით. იქვეა თანდართული მხოლოდ რიცხვის ნათესაობითის (გენიტივის) და მრავლობითი რიცხვის სახელობითი (ნომინატივის) ფორმები.

იხ. გვ. 201. Geld n (~es; ~er)
გვ. 409. Schwester f (~; ~n)
არსებითი სახელები, რომლებიც იხმარება მხოლოდ მხოლოდ რიცხვში pl. (plural).

იხ. გვ. 300. Leite ~ pl.
გვ. 355. Bocken.

რიგ შემთხვევაში თავსიტყვას გერმანულ ენაზე აქვს მოცემული განმარტებები. გვ. 194. Gebühr f (~; -en) zu bezahlnder betrag. გვ. 516. verlaufen ~ sich in einz Richtung fuhren, erstecken. სასურველი იქნებოდა, სალექსიკონო ერთეულებს ინტერპრეტაცია ერთი რომელიმე პრინციპით განხორციელებულიყო. სალექსიკონო ერთეულებს რიგ შემთხვევაში ახლავთ განმარტება გერმანულ ენაზე, რაც არ ახლავს მთელ რიგ ლექსებებს.

რაც შეეხება გზებს, ისინი ლექსიკონში მოცემულია საწყისი ფორმით, Infinitiv-ით, იქვეა მითითება, გზა გარდამავალია თუ გარდაუვალი და რომელ დამხმარე გზასთან იწარმოება Perfekt-ს (sien თუ hiben-თან) იხ. გვ. 294 laufen (intr. ist).

გვ. 143 einschlafen (intr. ist).
მოგიერთი გზასთან მოცემულია როგორც sien-ი, ასევე hiben-ი, ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ მასთან გამოიყენება ორივე ფორმა. თუ რა შემთხვევაში გამოიყენება ერთი ან მეორე (hiben/ sien), ამის ილუსტრაციას ახლენს მაგალითები. იხ. გვ. 435 stehen (intr. had); österr; schueiz: ist).

იხ. გვ. 409 schwimmen (int. Ist; ung. hat).
თუმცა ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ამგვარი მითითებები არ არის მოცემული. იხ. გვ. 351 perlen (int. Hat/ist).

ლექსიკონში გზებს ახლავთ მათი მიმართვის თავისებურებანი

გვ. 454. teilnehmen (an et. (D))
გვ. 584 zugehen (intr. ist) auf. J n/et
ლექსიკონში გამოხატულია აგრეთვე გზის უკუქცევითობა sich ნაცვადასხვით. იხ. გვ. 265 kämnen sich (D) (die Haare)

გვ. 365 sich anziehen; გვ. 187 sich fügen.
მედსართავი სახელი ლექსიკონში მოცემულია თავისი საწყისი ფორმით, დადებით ხარისხში. ამავდროულად ცალკე სტატიებადაა წარმოდგენილი მისი უფრობითი და აღმაგებითი ხარისხის ფორმები. საწყისი ფორმა კი დართულია ფრჩხილებში. იქვეა მოცემული მისი ადვერბიალური ფუნქციით ხმარება. იხ. გვ. 338 niedrig a; ad
გვ. 135 eilig a. Ad;
იხ. გვ. 250 hoher (comp. v. hoch); გვ. 301 lieber

(comp. v. lieb). აქვეა მოცემული მისი გამოყენება წინადადებაში. მაგ. er ist mir lieber als mein Bruder.

ცალკეულ შემთხვევებში მოცემულია სალექსიკონო ერთეულის ანგონიმი ან სინონიმი, მაგრამ ეს არ აგარებს სისტემატურ ხასიათს. იხ. გვ. 20 Alt (Ggs. neu; jung).

კავშირები მოცემულია წინადადებაში, რომლებიც მიგვითითებენ მათი ხმარების სპეციფიკაზე.

იხ. გვ. 556. Wenn – (Zeit) ~ es regnet, bleiben wir zu Hause. იხ. გვ. 113 dans; გვ. 341 ob;

ჩვენებითი ნაცვალსახელური მზნიშნები მოცემულია აღნიშვნებით daraus, darin, darunter იხ. გვ. 112.

ლექსიკონში მიზანდასახულადაა შერჩეული სიგყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარების შემთხვევები. გადატანითი მნიშვნელობის აღსანიშნავად გამოყენებულია გრაფიკული ნიშნები fig (figürlich).

იხ. გვ. 176 fest – er braucht seine feste Hand. გვ. 394 schlagen – seine stunde hat geschlagen.

გვ. 547 Waggen – das Wasger geht bis zum Hals. ყოველ თავსიგყვას ლექსიკონში თან ახლავს თვალსაჩინო მაგალითი დამოუკიდებლად მიუხედავად იმისა, თუ რა სემანტიკური სტრუქტურის მქონეა ლექსიკური ერთეული. მაგალითების შერჩევას პრინციპად თითოეული სალექსიკონო ერთეულთან მოცემულია ამ სიგყვის გამოყენების იშვიათი შემთხვევა. მაგ. იხ. გვ. 198 gehen.

დადებითად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ მრავალრიცხოვანი სიგყვის სემანტიკური სტრუქტურის ლექსიკონში ფიქსირებულია ქართული ენის შემსწავლელთათვის შედარებით მეტად გამოსადეგი და გამოსაყენებელი მნიშვნელობები. გერმანული ენის სიგყვისა და გამოთქმების თარგმნისას ნათლად ჩანს ავტორის მცდელობა, მოეწოდებინა ბუსტი, ქართული ეკვივალენტები და ამავდროს შეენარჩუნებინა ენის სტილისტურობა.*

შვეიცარიელი ქართველოლოგი იოლანდა მარშევი კარგად იცნობს ქართულ კულტურასა და მის გრადიციებს. მისი მოღვაწეობა მისასაღმებელია ყოველი ქართველისათვის. ღიღია მისი ღვაწლი ორ ხალხთა შორის კულტურული, მეცნიერული და ლიტერატურული ურთიერთობის განვითარების საქმეში. მან მშვენიერი ლექსიკონი უბოძა გერმანული ენით დაინტერესებულ ფართო აუდიტორიას, რისთვისაც ის ყოველი ჩვენგანის გულწრფელ მადლობას იმსახურებს.

* ლექსიკონის გამოწერა შესაძლებელია ქვემოთ მოცემულ მისამართზე. **Kaukasus – Verlag Postfach 571 D. 72235 Freudenstadt Schweiz Deutsch-Georgisches Wörterbuch von Jolanda Marchev**



მართლაც, ჩვენ ვღუშვართ, როდესაც ვხედავთ წიგნის უნდა ვტყუდეთ. სწორედ ამხე გამოხატავს გულისტკივილს ქეთევან გუგუშაშვილი ამ პატარა მხატვრობის ხანახანტში. ავტორი დიდი და თბილი გრძობით გვეცხაუბრება. სასიამოვნოა, რომ არიან ახალგაზრდები, რომლებსაც გულორწეულად აღელვებთ დღეს წიგნის ბედი. ჩვენც ვუყურებთ თვლებით მათ. სწორედ ამით არის მოტივირებული ჩვენს მიერ ახალგაზრდა ავტორის გულისხმადების გამოქვეყნება.

რელაქციისაგან:

წუხილი ღუმილში
უგნურ მოსწავლეს,
რომელმაც არ იცის
სახელმძღვანელოს თასი...

ქეთევან გუგუშაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ურთიერთობათა კოორდინაციის სპეციალობის I კურსის სტუდენტი.

წარმავალია ყველაფერი ამ ქვეყანაზე... ყველაფერი წარმავალია... თვით სიცოცხლეს წარმავალთა წუთისოფლის განკარგულებაშია. სახელმძღვანელოს წიგნის ყოველი ფურცლის გადაშლას ჰგავს აღამიანთა ყოველი დღე. სახელმძღვანელოს თითო ფურცელი თითქოს აღამიანის ცხოვრების ამსახველია. იგი მასთან ერთად გადადის უკვდავებაში და მარადიულობას ეზიარება. სახელმძღვანელოსა და სიცოცხლის რომელიღაც განსაზღვრულ მონაკვეთს შორის საოცარი მსგავსებაა, და ამ მსგავსებაში როგორი დიდი განსხვავებაა! უწინდებურად შეგვიძლია გადავშალოთ სახელმძღვანელო, წავიკითხოთ რომელიღაც მონაკვეთი და თვალწინ წარმოგვიდგება მისი დასწავლის დრო. იშლება წარსულის ფურცლები და რაღაც გაურკვეველი გულისტკივილი შეგვმარავს. წიგნის ფურცლების უკან დაბრუნება შეგვიძლია, მაგრამ წლების უკან დაბრუნება შეუძლებელია. და თითქოს ამ შემზარავ განცდას წიგნიც გრძობს, თავის წუხილს ღუმილით გადმოგვცემს და რაღაც მოქმედებით, ნებსით თუ უნებლიედ, ჩვენი მოზიარე ხდება. არ შემიძლია არ აღვნიშნო, როგორ წავაწ-

ელი მღუმარე წიგნის წუხილს ძველი სახელმძღვანელოს ფურცლების, მისი გატრეცილი საგანძურის გადაშლისას. ჩემი წარსული გამახსენდა; მომავლიც, როგორი ბრმა სიყვარულით შორსმჭვრეტელი ვუფრთხილდებოდი ამ საუკუნო საგანძურს. და ახლა რას ვხედავ: ამ გრძნეულ, საქართველოს მოქანცულ მემკვიდრის ამსახველ ფურცლებს რაღაც უხელოება შეშინებია: მოსწავლეს, რომელსაც ნაკლებად ესმის წიგნის ღირსება, არასაპაგიო დანაშაული ჩაუდენია; დაუჩაგრავს, დაუმონებია, ფეხქვეშ გაუთელავს სახელმძღვანელოს ღირსება, მელნით დაუჯღაბნია და განჯულ საქართველოს მაგიანის ამსახველ ფურცლებზე თავისი უგნურება გამოუხატავს. წიგნი ჩიოდა, მაგრამ რა? მისი წუხილი გვერდითმყოფ წიგნების მწუხარებას არ გასცდენია. მე უძლური ვცდილობდი მისთვის მემშველა, მეწამლა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. შევიგრძენი ჩემი უსუსურობა და გული მეტკინა; ორივენი ვწუხდით და ჩვენი წუხილი ღუმილის ფარგლებს არ გასცდენია.



ბავშვთა აღზრდის სპეციალისტებისათვის

მართულ ენაზე გასულ წელს გამოცა ქეთი ბერკ უოლშის მეტად მნიშვნელოვანი წიგნი “შევექმნათ ბავშვებზე ორიენტირებული ჯგუფები”. იგი წარმოადგენს მეთოდოლოგიურ ნაშრომს დაწყებითი სკოლებისათვის, უძღვის პალმელა კუგლინის წინასიტყვაობა და შესრულებულია სერიით – ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის.*

აღნიშნული წიგნი ინსტიტუტის ღია სამოგადოებო-სა და ბავშვთა რესურსების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დემოკრატიული განვითარების გზაზე მყოფი აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის, აგრეთვე ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენელი ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე პროცესებს ასახავს.

“ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა” 1994 წელს ჩამოყალიბდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა პრობლემებზე სამუშაოდ და იგი ამჟამადაც განაგრძობს მოქმედებას, რისი დასტურია ხსენებული წიგნის გამოცემა. პროგრამა სკოლებში განათლების დემოკრატიული სისტემის დანერგვის მეორე საფეხურია. ამ პროგრამის დანერგვის სურვილი იმ მშობლებსა და პედაგოგებს გაუჩნდათ, რომლებიც 3-5 წლის ბავშვებისთვის შექმნილი პროგრამების განხორციელების საქმეში იყვნენ ჩაბმული. მათ აღიარეს სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი პროგრამის წარმატება და ამ პროგრამის შემდგომ საფეხურზე განგრძობის საჭიროება.

წიგნში წარმოდგენილი პროგრამა გვთავაზობს სწავლების მეთოდოლოგიას, რომელიც სკოლამდელი ასა-

კის ბავშვების სწავლების ფილოსოფიას ეყრდნობა, ამავე დროს, პატივს სცემს და აჩვენებს პროგრამაში ჩართული ქვეყნების განათლების სისტემის გრადიციებსა და სტანდარტებს. წარმოდგენილი მასალა განკუთვნილია მასწავლებლებისა და ყველა იმ პირისათვის, რომლებიც დაწყებითი კლასების მისწავლეთა განათლების პროცესში იღებენ მონაწილეობას.

წიგნი შედგება 3 ნაწილისაგან: 1. ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამის პრეზენტაცია, 2. ნაბიჯ-ნაბიჯ დაწყებითი პროგრამის დანერგვა, 3. სწავლის გამოცდილების უნიფიცირება. დაყოფილია 15 პარაგრაფად, რომლებშიც განხილულია უაღრესად აქტუალური და პრობლემატური საკითხები: განათლება XXI-ე საუკუნისათვის, ხასიათის ჩამოყალიბება, განმასხვავებელი მაგალითები, წიგნიერება, ინტეგრირებული სწავლება, თემატური სწავლება და სხვ.

წიგნი დაერთვის ბიბლიოგრაფია და ბავშვთა რესურსების საერთაშორისო ორგანიზაციის პუბლიკაციების ნუსხა ინგლისურ ენაზე.

ნატო მკამლიშვილი

* უოლში ქეთი ბერკი. შევექმნათ ბავშვებზე ორიენტირებული ჯგუფები: სასწავლო მეთოდოლოგია დაწყებითი სკოლებისათვის/პამელა ა. კუგლინის წინასიტყვაობით. – [თბ]: ინსტიტუტი ღია სამოგადოება, ბავშვთა რესურსების საერთაშორისო ორგანიზაცია, [2001]. – გვ., ილ. – (ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა ბავშვებისათვის და მათი ოჯახებისათვის).

სიბრძნის საუნჯე

“შეეკითხე გარდასულ თაობებს და ყურად იღე მამა-პაპის სიბრძნე”
(ბიბლიის საგანძურადან)

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკატმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის დოცენტი **ოთარ ოსაძე** ნახევარ საუკუნეზე მეტია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. მას იცნობენ როგორც რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორს და მრავალი საინტერესო წიგნის შემდგენელს. მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ იგი ორიგინალური კოლექციონერიც არის, რომელიც მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე აგროვებდა არა რაიმე ძვირფას ნივთებს, არამედ მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა ბრძნულ აზრებს. ეს უამრავი მასალა (ანდაზები, აფორიზმები, სენტენციები, დეფინიციები, მაქსიმები, ხაგოვანი სიგყვა-თქმანი) სისტემატიზებული აქვს საგნობრივად ასე რომ, მის მიერ შეგროვილი ბრძნული აზრების კარგოთეკა ერთგვარად ეხეც კოლოპედიური ხასიათისაა. კარგოთეკის რამდენიმე ასეულ რუბრიკაში ასიათასობით გამონათქვამია თავმოყრილი. შემდგენელს მისი გამოცემა 35 გომად აქვს განზრახული (აზრათა მარდახშა: (ამონარიდი ქართული და მსოფლიო ლიტერატურის საგანძურიდან); სერიალური გამოცემა; ნაკვეთი 1; აბათ-წესობი – აბა. თბ., [2001].), – 352 გვ., მაგრამ დღემდე მისი მხოლოდ პირველი ნაკვეთის დაბეჭდვა მოხერხდა. წიგნი გამოცა პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორის პროფ. ვახტანგ სართანის თანადგომითა და დახმარებით, ამავე დროს ის გამოცემის რედაქტორიცაა. წიგნის წინასიტყვაობაში იგი წერს: “...ჩვენ წინაშეა ო. ოსაძის “აზრთა მარდახშა, ამონარიდი ქართული და მსოფლიო ლიტერატურის საგანძურიდან”. ეს არის

საკმაოდ ღიმი, საინტერესო ნაშრომი, რომელსაც ავტორმა 30 წელზე მეტი მონახლომა და რომელშიც აკუმულირებულია მსოფლიოს ღიმი მონაშროვნეთა სიბრძნე. ვის გამოხატევა არ შეხვდებით აქ, სხვადასხვა ქვეყნების გამოჩენილ ადამიანთა მიერ სხვადასხვა ეპოქაში შემოქმედებითი პროცესის დროს ნათქვამ საინტერესო აზრებს, რომელთაც თავის დროზე საჭიროდ ჩათვალეს, რომ მათი ეს უცყუარი და პირუთენელი თვალითახედა სხვებისთვისაც გაეზიარებინათ. როგორც ამოკრეფილი მასალიდან ჩანს, ეს ბრძნული გამოხატულებები 30 გომს გადააჭარბებს და ეს იქნება ქართულ სინამდვილეში უნიკალური შემთხვევა, რაც ჩვენს მომავალს, ბუნებრივია, დიდად წაადგება და დღესაც ღიმი ინტერესით წაიკითხავენ (აღბათ, ასეთი მოცულობის ნაშრომი სხვა ენაზე შესაძლოა არც იყოს).

სამწუხაროა, რომ დღესთვის თბილქტური მიმდებრის გამო შეუძლებელია მომდევნო ნაკვეთების გამოცემა. იმიტომ, მომავალში ეს საქმე გამოსწორდება. სასურველია, ჩვენს სამოგადოებას ხელთ ჰქონდეს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ავტორთა დიდებული გამოხატულებები ერთად თავმოყრილი და თემატურად კლასიფიცირებული. ავტორი სავსებით შეგნებულად თავს უყრის ყველა მნიშვნელოვან გამოხატულებას, რაც არა მარტო ჩვენს ქართველ დიდ მოღვაწეებს წარმოუთქვამთ, არამედ შედარებით ნაკლებად ცნობილ ავტორთა მიერ გამოქვეყნებულ ნააზრევებსაც.

წიგნის შექმნა შეიძლება თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. დ. კოტეგიშვილი ბიბლიოთეკატმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის უფრ. მასწ.



საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

3 აპრილს ენისა და კულტურის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო შეხვედრა შვეიცარიის სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში ბაგონ შგეფან შპეკთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ბიბლიოთეკარები, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრები; შეხვედრას უძღვებოდა ბიბლიოთეკის დირექტორი გულნარა სგურუა; საუბარი შეეხო შვეიცარიისა და საქართველოს კულტურულ ურთიერთობებს.

6 აპრილს ბათუმის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოეწყო ბიბლიოთეკის კვირეულის დახურვა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობიდან ერთად კვირეულის დახურვაში მონაწილეობდნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის, გამგეობის და ჟურნალ "საქართველოს ბიბლიოთეკის" რედაქციის პასუხისმგებელი პირები.

17 აპრილს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს მორიგი სხდომა. განიხილეს ქ. რუსთავის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების მდგომარეობის საკითხი. ინფორმაცია გააკეთა ქ. რუსთავის საბავშვო ბიბლიოთეკის დირექტორმა ნათელა ლობჯანიძემ; ამავე სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია ქ. თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სგულენგთა და პროფესორ-მასწავლებელთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების შესახებ. ინფორმაცია გააკეთა ბიბლიოთეკის დირექტორმა ლალი ყაულაშვილმა;

19 აპრილს ქ. წყალგუბოში გაიხსნა საბიბლიოთეკო კვირეულის დღეები. კვირეულის გახსნას ესწრებოდნენ იმერეთის რეგიონის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორები, ქ. წყალგუბოს რეგიონის ბიბლიოთეკარები; კვირეულის გახსნას დაესწრნენ და საბიბლიოთეკო მუშაობის აქტუალურ საკითხებზე ისაუბრეს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილმა; ასოციაციის გამგეობის წევრებმა: გ. თაყნიაშვილმა და გ. სგურუამ; შეხვედრას უძღვებოდა ქ. წყალგუბოს საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი სულიკო სვანიძე;

25 აპრილს აღინიშნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დღე. ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში შეიკრიბნენ თანამშრომლები, მკითხველები, პრესისა და გელევიზიის წარმომადგენლები. დამსწრეთ სამგასმით აღნიშნეს ეროვნული ბიბლიოთეკის მნიშვნელობა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. გადაწყდა, ყოველწლიურად აღინიშნოს ეროვნული ბიბლიოთეკის დღე 25 აპრილს.

30 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო საბიბლიოთეკო კვირეულის საზეიმო დახურვა. ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ რაიონული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები, მკითხველები, ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებელი პირები. : შეკრებილთ ერთხმად აღიარეს კვირეულის წარმოგებით წარმატებით ჩაგარება, ის ფაქტი, რომ საბიბლიოთეკო კვირეულმა ერთგვარად გამოაცოცხლა ქართული წიგნიერი სამყარო. კვირეულის დახურვაზე ფულადი ჯილდოები გადაეცათ სხვადასხვა ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს, მკითხველებს; უფრო ვრცლად ამ ღონისძიების შესახებ იხ. მასალები ჩვენი ჟურნალის ამავე ნომერში.

10 მაისს ქ. გორის საბიბლიოთეკო გაერთიანების ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. შეხვედრა ჩაგარდა კვირეულის პროგრამით. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. გორის გამგეობის ხელმძღვანელი მუშაკები, სგუმრები თბილისიდან – საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობისა და ჟურნალ "საქართველოს ბიბლიოთეკის" რედაქციის წარმომადგენლები.

15-16 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გერმანული ინსტიტუტის მიერ ჩაგარდა სემინარი თემაზე "ბიბლიოთეკები გერმანიის გაერთიანების დროს", მოხსენება გააკეთა დრემლენის საჯარო ბიბლიოთეკების ხელმძღვანელმა პორსგ არენდ ფლემინგმა; სემინარის მასალები ითარგმნა ქართულ ენაზე და დაურიგდა დიდ ბიბლიოთეკებსა და საინფორმაციო დაწესებულებებს.

31 მაისს საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო გალერეაში მოეწყო კულტურის სამინისტროს ვებ გვერდის პრეზენტაცია. ღონისძიებას უძღვებოდა საქართველოს კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე.

19-22 ივნისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩაგარდა თბილისის წიგნის მეთოხე ფესტივალი. მოეწყო კერძო და სახელმწიფო გამომცემლობათა ბეჭდვითი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

21 ივნისს ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრში ჩაგარდა თბილისის საჯარო და სპეციალური ბიბლიოთეკების მეთოდისგთა სემინარი. მეთოდისგებმა წარმოადგინეს ინფორმაციები ფანდრეიმინგის, ბავშვებთან მუშაობის, კელაგოგიური ფსიქოლოგიის, საბიბლიოთეკო მარკეტინგის და საბიბლიოთეკო საქმიანობის თანამედროვე სხვა აქტუალურ საკითხების შესახებ.


ცინლა ბრეგვაძე საბიბლიოთეკო დარგის გამოცდილი სპეციალისტია. დაამთავრა ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ერთ-ერთი დიდი ფაბრიკის ბიბლიოთეკის გამგელ, შემდეგ მუშაობის კულტურის სახლის ბიბლიოთეკას განაგებდა. მიღებული აქვს ფილოსოფიური განათლება, აგრეთვე დამთავრებული აქვს სახალხო უნივერსიტეტის ბუნების დაცვის ფაკულტეტი. გამოირჩეოდა როგორც კარგი ორგანიზატორი და ენერგიული მუშაკი. საქართველოს ცნობილ ქურნალ-გაზეთებში ხშირად აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს. აქვს გამოქვეყნებული ნარკვევები საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების რეპრესიების მსხვერპლთა შესახებ. იგი მხაგრულ შემოქმედებაშიც ცდის კალამს. შექმნილი აქვს ჩანახატები, მოთხრობები, იგაზები, რომლებშიც გაცხადებულია ავგორის გულისგვივლი ცხოვრებისეულ უკუღმართობაზე, ლაპარაკია ადამიანის სულიერი მარგობის სიმძიმეზე, სევდაზე, მოწოდებაა ურთიერთთანაგრძობისა და დახმარებისაკენ. უმეგესად ის ალუგორიულ ფორმებს მიმართავს. მისი შემოქმედების ორ ნიმუშს ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.

ცინლა ბრეგვაძე

ნაკრძალში
(იგავი)

მგელმა კურდღელი დაჭირა გყეში და დაგლიჯა. მოშორებით თხა კიკინდა ბალახს. დათვმა, რომელიც ნაკრძალის მეველედ იყო დანიშნული, ორთავე შენიშნა. მივარდა თხას, ერთი მაგარი წიხლი უთავაზა და სულ კინწისკვრით გააგლო გყიდან, თანაც ემუქრებოდა, მეორედ აქ რომ დაგინახო, ცოცხალი ვერ გადამიჩნებო. მერე მგლისაკენ გაეშურა, წააღგა თავს დრუნჩდასისხლიანებულ მტაცებელს, თვალი ჩაუკრა და დაბალ სმაზე ჩაულაპარაკა: "ოღონდ იცოდე, სხვამ არაფერ დაგინახოსო".

გამაძღარი მგელი ბუნაგისაკენ გაეშურა, შეძვრა, გაიშოგა გახტმე და არხეინად ხვრინვა ამოუშვა.



ცინლა ბრეგვაძე

რა ენადღელება, როცა მფარველად მოწყალე დათვი ჰყავს?
მარტოდ მოკმითა შორის

ფიჭვის ხეს ღრმად გაუდგამს ფესვები, აზიდულა მალა; სწორი და ლამაზი, სიმშვენიერით ავსებს იქაურობას, არაფის არაფრით ჩამორჩება, მაგრამ მისი გული განუკურნებელი სენითაა დაჩრდილული. ამდენ მოძმეთა შორის მაინც მარგოა და ეული – არ ჰყავს ვინმე მესაიდუმლე, ფიქრების გამზიარებუ-

ლი, თანამოაზრე და თანამგრძობი. "რა მძიმეა უმეგობროდ ყოფნა, როცა შენი წუხილი ვერავისთვის გაგინდვია, შენი არსებობა არაფის არაფრად მიაჩნია, არაფის არ შეგხარის, არ იცის შენი ფასი" ... რამდენჯერ გაუფიქრია მწუხარედ თავდახრილ ფიჭვს.

მარგოა, ყურადღებას არაფერ აქცევს, თითქოს არ იყოს ამ ქვეყნად; უღრან გყეში მცენარეების მეტი რაა, გვერდიგვერდ ღვანან, ერთმანეთს შეჰყურებენ, მაგრამ თითქოს ვერც კი ამჩნევენ მას. ყველას თავისი სამრუნავი აქვს, პირადულზე ფიქრობს და ოცნებობს. ნეტავ იმათ თუ ჰყავთ მეგობრები, თავიანთი გულის მესაიდუმლენი?

ფიჭვის ხე თითქოს ბუნებას განზრახ დაუჩაგრავს – სულიერი მარგობისათვის გაუწირავს! მერე რა მძიმეა მარგობის განცდა. თითქოს შენს მოძმეთა შორის ხარ, მაგრამ მაინც მარგოა და ეული. ვის გინდა გამოეხმაურო, ვინ გაგვიგებს? მწარეა ამის გაფიქრება, მაგრამ მაინც ურჩევნია იფიქროს, რადგან ამ დროს მაინც გამყოფითმება ხოლმე ცხოვრებისეულ სინამდვილე.


რა ძნელი ყოფილია მეგობრის პოვნა, – ფიქრობს დამწუხრებული, – ნუთუ მხოლოდ მისთვის გადაიწურა წყალი, რაგომ არგუნა ბედმა ასეთი მძიმე ხვედრი? მაგრამ... "არა! არ შეიძლება ასე დავრჩე. უმეგობროდ, უთანაზიაროდ!" – თითქოს რაღაც გადაწყვიტავს, ძალის მოზღვავება იგრძნობს... მუდამ იმაზე ფიქრობს, რა ქნას, რა მოიმოქმედოს. მაშინაც კი, როცა დღისით მთელი ქვეყანა ფხიბლობს, მოძრაობს და მოქმედებს, ის განუწყვეტლივ ფიქრობს ურყევი მღუმეარებით. ხანდახან მტკიცედ გადაწყვეტს ხოლმე, რომ რაღაც უნდა გააკეთოს, რომ ეს ერთფეროვნება როგორმე დაარღვიოს, მაგრამ ძალა არ ჰყოფნის და არც იცის, როგორ მოიქცეს.

ფიქრებით დამძიმებულს ჩათვლიმა... მიწის გულზე ირგვლივ მოდებულ სუროს ფოთლებს შუა კარგა ხანს ეძინა განჯვით დაქანცულს. რაღაც უცნაურმა ფაქტმა გამოაღვიძა. მწვანით შემოსილი სუროს პაგარა ღერო თითქოს ვედრებით შემოჰყურებდა. წყნარად შებედა განსრულ ფიჭვს: "ჩემო მშვენიერო, ყოველმხრივ შემკული და დიდებული, შენი ბადალი არაფერ არის ამ უღრან გყეში. მომეცი ნება, შემოვეჭლო შენს განს და ასე დავრჩე შენთან შემოხვეული მთელი სიცოცხლე. ხომ იცი, ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია არსებობა, თუ ვინმეს მივეყრდნობით და მივეწვდებით".

ფიჭვის ხეს ცა გაეხსნა სიხარულით: "ძვირფასო! მეც დიდი ხანია მეგობარს დავეძებ, შევნაგრი ოცნებების თანაზიარს, ვისაც შემძლია ფიქრები გაფუშიარო, ჩემი აზრები გავანდო, წუხილი გაუნაწილო!"

სუროს ღერომ სიხარულით სულ მალლა-მალლა წამოჰყო თავი და შემოეჭლო ფიჭვის განს. ფიჭვი სიხარულით შეირბა, ფესვები შეარყია, მოღუხებული წიწვის ღეროები გამოცოცხლდნენ და ხალისიანად ამოძრავდნენ.

შედეგების საეფოს მხობტა



იოლ ცხოვრებას არ მისდევდა და არც უყვია. ყოველთვის უანგაროდ ემსახურებოდა თავის საქმეს, კეთილსინდისიერად, თავდადებად, პროფესიული ცოდნით.

ალექსანდრე შალვასძე ნამორაძე საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა როგორც საბიბლიოთეკო სამოგალობაში,

ისე მკითხველებში. დღეს ის თვალსაჩინო მუშაკია, კარგი ორგანიზატორი, რომელიც ენერგიულად იღვწის იმ სარბიელში, რომელიც მან სიცრმობიდანვე აირჩია.

მამა უბრალო მშრომელი კაცი იყო – სამამულო ომში დაიღუპა 1941 წელს. დედა – დიასახლისი – ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ გაჟისთვის არაფერი დაეკლო, ოღონდ ნასწავლი, განათლებული ადამიანი გამოსულიყო. ჯერ მშობლიური სოფლის – ახის (დმანისის რაიონი) სკოლაში სწავლობდა, შემდეგ გომარეთის სკოლაში გადავიდა, რომ საშუალო დაემთავრებინა და სწავლა უმაღლესში განეგრძო. სკოლა რომ დაასრულა, ორი წელი საბჭოთა არმიის იმსახურა და 1959 წელს ბიბლიოთეკამცოდნობის ფაკულტეტზე მოეწყო, რომელიც 1963 წელს დაამთავრა და მუშაობა 47-ე ბიბლიოთეკაში დაიწყო, ხოლო როდესაც ლოგკინზე ახალი ბიბლიოთეკა გახსნეს (42), იქ გადაიყვანეს, სადაც დღემდე მუშაობს და თანამშრომელთა და მკითხველთა დიდი სიყვარულით სარგებლობს.

ალექსანდრე ნამორაძე სიცრმობიდანვე ემბარა პოეტური მუშის თავყვანისცემის მომხმობელ საქმიანობას. წერდა გულწრფელ უშუალო, გრძნობით აღსავსე ლექსებს. პირველი წარმატება 1964 წელს ეწვია, როდესაც რუსთაველის დაბადებს 800 წლისთავთან დაკავშირებით 31-ე საავიაციო ქარხნის შემოქმედებითი კოლექტივის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მის ლექსს პირველი პრემია მიენიჭა. ამის შემდეგ არაერთხელ დაიბეჭდა მისი ლექსები ისეთ პოპულარულ კურსულ-გაზეთებში, როგორც იყო: "დილა", "პიონერი", "ნიანგი", "დროშა", "ცისკარი", "ახალგაზრდა კომუნისტი", "თბილისი", "სოფლის ცხოვრება", "წიგნის სამყარო", "საქართველოს რესპუბლიკა", "ლიტერატურული საქართველო". განუსაზღვრელია მისი შემოქმედების თემატიკა. დირშესანიშნავია, რომ წიგნი მისი ცხოვრების განუყოფელი თანამგზავრია. ბიბლიოთეკა მისთვის ის ოაზი-

სია, ის განძთა კუნძული, რომელიც არა თუ მხოლოდ ალბამებს, საზრიანს ხდის მის არსებობას. თუ რა დიდი და გულწრფელი სიყვარულითაა აღვსებული ბიბლიოთეკის მმართველი, მეგყველებს მის მიერ შეთხზული ლექსი "შედეგების სამეფოში", რომელიც მან საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას უძღვნა. ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ ამ ლექსის ფრაგმენტებს:

"წმინდა გაძარო, საუნჯეთა დიდი საეანეკ, შემოველ, შენი იღუმალი მიხმობს შარები. უკვდავთა აზრი შეუმცდარი მაწრობს, მამად-

ლებს,

გონიერთათვის ღია არის შენი კარები...

მუშის მეფენო, სიგყვამბულ ენის დიდება თქვენი ხედრია, სიბრძნე თქვენგან მოედინება. და ჩემს სამშობლოს უნეტარეს ძეგლად სჭირდება თქვენი შედეგით ქმნილებით დაგვირგვინება",

– სიამაყის გრძნობით აღსავსე სტრიქონებით მიმართავს ავტორი ეროვნულ განძთა საუნჯეს და არანა კლები ამადლებული გონით ცდილობს პოეტურად გამოხატოს თავისი ნაზრევი გენიოსთა ქმნილების შესახებ, როგორც უკვდავების გვირგვინზე:

"დრო ქელს მოიხდის სილამაზის ფერთა წინაშე, როს უკვდავება გვირგვინს ადგამს მშვენიერებას. დმერთს ხალხისათვის საუნჯეთა გაბლას მინამ-

ვერს

ძვირფას საქუქრად უწყალობებს... ასე იქნება!

წლები შეავსებს საუკუნეს, დრო წარმავალი ჩვენს ისტორიას შეაგოვებს ცხოვრების ავ-კარგს და სურათებად შემორჩება სახე მრავალი, ჩემს ქვეყანას რომ სინამდვილის ჩუქურთმით ქარ-

გავს...

მაღალ ქმნილებას მეამბოხის სული სჭირდება, რომ შეძლოს დიდი ქარგხილის კვლავ დამშე-

ლება.

მარადისობას შერჩებიან ამბად თხრობილი შედეგები და ეპოპეის ყველა გმირები... ბიბლიოთეკა ჩემს გონებას აზრებით ქარგავს. არის სამეფო შედეგების, ფიგულებს არ გავს. სილამაზის და შთაგონების ღვთაებრივ ამბავს აქ ვეზიარე დიდ საუნჯეს, რომ დაუსტამბავს. იმედია, ალექსანდრე ნამორაძე თავის პროფესი-

ულ საქმიანობასთან ერთად ნაყოფიერად განაგრძობს შემოქმედებით მოღვაწეობასაც.

რას არ გაიბონებ

რა შეუძლია კითხვას (გადმოღებულია "კვირის პალიტრის" კალენდრი-დან)

შპვდი მეცნიერის გამოკვლევით, აქტიური კითხვა კარგი საშუალებაა ისეთი დაზავლების პროფილაქტიკისათვის, როგორც ალკოჰოლიზმი, რომელიც ძლის ადამიანის გენის უჯრედებს. კითხვის დროს ადამიანი აიძულებს გენს, იმუშაოს და ამით აიძუქმდოს გონებრივი შემადლებლობანი. მეცნიერებმა ექსპერიმენტულად დაადასტურეს: ვინც მოწიფულობის ხანაში ბევრს კითხულობს, არ ავადდება ამ საშიხელი სენით, დიხანს ინარჩუნებს მესხიერებას, ცოცხალ ამროვნებას და შემოქმედებით უნარს.

არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის (1160-1234) ნამდვილი სახელი ყოფილა: აბუ ალ-ჰასან ალი იბნ ალ-ქარიშ მუჰამად იბნ აბდ ალ-ქარიშ იბნ აბდ ალ-ვაჰიდ აშ-შაიბანი. არაა გამორიცხული, რომ ეს რეკორდი არ იყოს. ის კი სამდვილად საეჭვოა, ყველამ შეძლოს მისი დამახსოვრება. ასეთი რამ, როდესაც ადამიანი რამდენიმე სახელს ატარებს, ქრისტიანულ-ებრაული კულტურის ქვეყნებშიც გვხვდება, თუმცა გვარებიც საკმაოდ გრძელიც არსებობს – აბოაო-


ლირიშელოვიანტიგირი კოვსკი, გალბითმან კარა, კაპეტანოვიჩი, პაპანდოვალლორო კომონლურონი კოლა კოპულოვსკი და სხვ.

ალექსანდრე მაკედონელის კითხვის შეთოდე

ალექსანდრე მაკედონელი – დიდი ფილოსოფოსის არისტოტელის მოწაფე – ძალიან ბევრს კითხულობდა. ხშირად თავს აიძულებდა დადლილობის დროს გამოფხიზლე-ბულიყო და ეკითხა და ეკითხა. როცა კითხულობდა, ამ მიზნით, ხელში ლითონის ბურთულა კი ეჭირა, ქვემოთ სპილენძის თასი ედო, როგორც კი მოღვაწეობდა და ძილი ქუთუთობს დაუძძიმებდა, ბურთულა ხელიდან უვარდებოდა და ხმაურით ჩაენარცხებოდა ხოლმე თასში. ალექსანდრე ფხიზლეობდა, იღებდა კვლავ ბურთულას ხელში და კითხვას განაგრძობდა.

აქლემების კუხები – მთარული ბიბლიოთეკა

სპარსეთის დიდგამირი აბდულ კარიმ იბნალი, რომელიც X საუკუნეში მოღვაწეობდა, ცნობილი ბიბლიოფილი იყო. სადაც არ მიიღობდა – საბრძოლველად თუ ქვეყნის მონახავლობებად – თავისი მოავალბათასიანი ბიბლიოთეკა 400 აქლემით მიჰქონდა თან, თანაც წიგნები აქლემებზე ახანის რიგის მიხედვით ჰქონდა გახაწვლებული.




საბიბლიოთეკო კვირეულის დღეები

საბიბლიოთეკო კვირეული

Yves
Rocher

ქვემოთხედი
ბიბლიოთეკა



საბიბლიოთეკო
კვირეულის
საზვიადო დასურვის
დროს საუკეთესო
ბიბლიოთეკარებსა
და მკითხველებს
გადაეცათ კრიზები.

ფრანგული კოსმეტიკის
ცნობილი ფირმის,
ივ როჟეს (Yves Rocher)
მალაზიამ, რომელიც
თბილისში, რუსთაველის
2/4-ში მდებარეობს,
ერთ-ერთი ბიბლიოთეკარი
დააჯილდოვა საკუთარი
წილით



ქვემო
ბიბლიოთეკა